"საქართველოს მომავალ პრეზიდენტს" პარლამენტი არ სჭირდება A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 2003 წელი. №283 (495)

ფასი 50 თეთრი

# ვის ეშინია "ეგზით პოლების"

ხელისუფლების უსუსური არგუმენტები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს ქართულ რეალობასთან




"ეგზით პოლების" უზრუნველმყოფელი კომპანიების ხელმძღვანელები პრეზენტაციაზე.

ეკა კვესიტაძე

*2 ნოემბერს, საარჩევნო ყუთების დახურვის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობას საშუალება მიეცემა, არჩევნების გაუყალბებელი შედეგები გაიგოს.*

*ეს, ეგრეთ წოდებული, "ეგზით პოლების" მეშვეობით მოხდება, რომელსაც ამერიკული კვლევითი კომპანია "გლობალ სტრეტეჯი გრუპი", ქართველ სოციოლოგებთან ერთად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩაატარებს. "ეგზით პოლი" სოციოლოგიური კვლევის საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს. ეს მეთოდი არჩევნების დღეს იმ ამომრჩეველთა ანონიმურ გამოკითხვას ითვალისწინებს, რომელთაც საკუთარი არჩევანი უკვე გააკეთეს. გამოკითხვის შედეგები სრულად და ერთდროულად იქნება ხელმისაწვდომი მასობრივი ინფორმაციის ყველა დაინტერესებული საშუალებისთვის.*

*პროექტი ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს", ევრაზიის ფონდის, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ისა და ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური ხელშეწყობით. საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდიკით, მთლიანობაში, 500 საარჩევნო უბანზე 23 ათასი ამომრჩეველი გამოიკითხება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### ქართული ხელისუფლების "რჩეულმა" სახემ არჩევნების შედეგები უკვე იცის

სოციალისტთა თავკაცის გათვლებით, მისი ბლოკი უფრო მეტ ხმას მოაგროვებს, ვიდრე "ბურჯანაძე-დემოკრატები", "ნაციონალები", ლეიბორისტები" და "ახლები" ერთად.

A2

## ეკონომიკა

### ვის ხელში აღმოჩნდება სასმელი წყლის მარაგი?

საზოგადოებისგან ფარულად კიდევ ერთი სახელმწიფო სააქციო საზოგადოება იქმნება, რომლის დაქვემდებარებაში მოექცევა ქვეყნის წყლის რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა.

A4

## სამართალი

### სამტრედიის მოვლენებს სამართლებრივი შეფასება მიეცემა

გუშინწინ სამტრედიაში მოწყობილ საპროტესტო აქციაზე სამართალდამცველმა ორგანოებმა სასწრაფო რეაგირება მოახდინეს და პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება"-ს ლიდერთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

A7

## წინასწრები ინფორმაცია

### ხელშეკრულებები საქართველოსათვის გაზის შეუფერხებლად მოწოდების შესახებ

**ხვალ, 30 ოქტომბერს, "ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" კომპანიის ხელმძღვანელები თბილისს ესტუმრებიან. ისინი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთად ხელს მოაწერენ ხელშეკრულებებს ბუნებრივი გაზის მოწოდების შესახებ.**

**გაზსადენის ინვესტორებსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას შორის გაფორმდება ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც ინვესტორები გარანტიას აძლევენ საქართველოს ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად და გარანტირებულად მიწოდებისა და, აგრეთვე, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულების შესახებ.**

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 17 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 17 | |
| გორი | 8 | |
| ახმეტა | 10 | |
| ჭიათურა | 12 | |
| გაგრა | 8 | |
| სამტრედია | 16 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1019 |
| ევრო | 2.4626 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5554 |
| რუბლი | 0.0702 |

# ხელისუფლება ქუთაისში გაყალბებისთვის ემზადება

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

არჩევნებამდე 5 დღით ადრე იმერეთში ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა. რკინიგზის გადაკეტვასთან დაკავშირებული ინციდენტის დასრულების შემდეგ, კონფლიქტური სიტუაცია უკვე ქუთაისში წარმოიშვა. ვითარება საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებამ დაძაბა. გადაწყვეტილების მიხედვით, საუბნო კომისიების 18 თავმჯდომარე თანამდებობას გამოეთხოვა. აღნიშნულ ფაქტს ოპოზიციის მწვავე რეაქცია მოჰყვა. მათი განმარტებით, ხელისუფლებამ ის თავმჯდომარეები მოიცილა, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკის დირექტივებს არ ასრულებდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო საუბნო კომისიის მოხსნილი თავმჯდომარეები, უშედეგოდ მოითხოვდნენ განემარტათ განთავისუფლების მოტივები. საოლქო კომისიაში მათ კითხვებს პასუხს ვერავინ სცემდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საოლქო კომისიის გადაწყვეტილებამ ქუთაისში საპროტესტო აქციები გამოიწვია.*

# ვოლოშინი გადადგა?

რუსული პრესის ცნობით, გუშინ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ალექსანდრ ვოლოშინმა. ჯერჯერობით უცნობია, მიიღო თუ არა მისი გადადგომა პუტინმა.

ვოლოშინის შესაძლო გადადგომას რუსი ჟურნალისტები ერთხმად უკავშირებენ "იუკოსის" შეფის, ხოდორკოვსკის დაპატიმრების ფაქტს. ვოლოშინი ელცინის თანამებრძოლია და დღესაც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად ითვლება. მისი თანამდებობაზე ყოფნა რუსეთის ხელისუფლების ორი დაჯგუფების, პირობითად, ელცინისა და პუტინის გუნდებს შორის ბალანსის არსებობას მოწმობდა. ცნობილია, რომ ელცინის გუნდის ბირთვს ოლიგარქები წარმოადგენენ, პუტინისას კი – "კაგებეშნიკები".



*ელცინის ოჯახის ბოლო გავლენიანი წარმომადგენელი ტოვებს კრემლს.*

"ოლიგარქების" ლიდერის ხოდორკოვსკის დაპატიმრებამ ეს ბალანსი დაარღვია. ამიტომ, ამბობენ რუსი ჟურნალისტები, ამ ბალანსის სიმბოლომაც თანამდებობა დატოვა.

"კაგებეშნიკები" კი ამ ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონებად იქცნენ.

# მორიგი ნადირობა კუდიანებზე საქართველოში

*არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით კვლავაც კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. ორი დღის წინ ცესკო-ს მიერ მიღებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების მიერ არაერთგზის დეკლარირებული განცხადებები, "ამ საკითხის ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტის" თაობაზე, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. ასე რომ, ნებისმიერი არჩევნების თანმდევი მუდმივი პრობლემა – ამომრჩეველთა გაყალბებული სიები აქტუალობას არც 2 ნოემბრის წინ კარგავს. ეს კი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - ხელისუფლებას სულაც არ სურს მისი მოგვარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, არც ერთი უწყება კუდიანებზე ნადირობას არ დაიწყებდა...*

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში საერთაშორისო ორგანიზაცია IFES-ის მიერ მომზადებული სიების გამოყენებაზე უარს აცხადებს. კომისიამ უკვე მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ბაზის საფუძველზე სახელმწიფო სტრუქტურები - ცესკო, თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო, აგრეთვე, იუსტიციისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები დააზუსტებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უჩინმაჩინი სიები და მდიდართა ღარიბული საარჩევნო კამპანია

რუსთავი საარჩევნო არეულობისთვის მზადაა

მაია მოსიაშვილი

**მოდი, ვნახოთ სია...**

იურისტმა დავით უსუფაშვილმა, რომელიც თბილისში ცხოვრობს, თავისი თავი რუსთაველ ამომრჩეველთა სიაში ნახა. ამ სიაში კიდევ 40 ათასი ადამიანია, რომელიც ოდესღაც რუსთავში ცხოვრობდა, თუმცა დიდი ხანია ამ ქალაქთან აღარაფერი აკავშირებს. ეს კი იმას მოწმობს, რომ რუსთაველ ამომრჩეველთა დაუჯერებელი სიმრავლის პირველი წყარო პოლიციის სამმართველოა, რომლის საპასპორტო სამსახური წლების განმავლობაში თავის საქმეს არ აკეთებდა (იგულისხმება მოქალაქეთა რეგისტრაციის სიზუსტე) და, რაც ყველაზე ცუდია, სიებში ქალაქში არარსებული ადამიანების დაფიქსირებით, საარჩევნო პროცესი, ფაქტობრივად, პარალიზებულია.

სამაგიეროდ, სიაში ვერ მოხვდა რუსთავში რეალურად მცხოვრები უამრავი ადამიანი, რომლებმაც არჩევნებამდე 4 დღით ადრეც კი არ იციან, შეძლებენ თუ არა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას. "24 საათი" ათეულობით ადამიანს ესაუბრა, რომლებმაც საუბნო კომისიებში განცხადების შეტანა ვერ

გაგრძელება A3 გვერდზე

# "იუკოსის" თავსატეხი

ადამ მჭედლიძე

მიხაილ ხოდორკოვსკი დაპატიმრებულია ერთი უბრალო მიზეზის გამო - იგი მავანს არ მოსწონს, თუმცა – რატომ, ეს, ჯერჯერობით, ბოლომდე გარკვეული მაინც არაა.

ცხადია, უამრავი მიზეზი შეიძლება მოძებნო იმისათვის, რომ ხოდორკოვსკი არ მოგწონდეს. კრემლში აღზევებული ნეოკომუნისტებისათვის ერთიც იკმარებს: მან თავის დროზე კანონი დაარღვია. მაგრამ განა მხოლოდ მან? ალბათ, ყველა ოლიგარქმა დაარღვია და ფეხქვეშ გათელა კანონი, როცა პრივატიზაციის დროს გროშებად ჩაიგდო ხელში უზარმაზარი ქონება. რატომ მათ არ ერჩიან?

როცა 2000 წელს პრეზიდენტი პუტინი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მან ოლიგარქებს მეტად მარტივი გარიგება შესთავაზა: ნუ ჩაერევით პოლიტიკაში და ჩვენც არ შევუდგებით თქვენი წარსული ცოდვების ჩხრეკას. ხოდორკოვსკის დაპატიმრების ვერსიებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული და რეალური სწორედ ამ გარიგებაზე უარის თქმას უკავშირდება - ხოდორკოვსკიმ პოლიტიკური ამბიციები ვერ მოთოკა. სწორედ იმავე მიზეზის გამო არიან შერისხულნი ისეთი ოლიგარქები, როგორებიცაა ბორის ბერეზოვსკი და ვლადიმირ გუსინსკი. ეს უკანასკნელი "ენტევეს" განაგებდა, რომელიც "კრიჭაში ედგა" კრემლს. ბერეზოვსკის გავლენა კი, არა მხოლოდ მედიაში, არამედ საკუთრივ პოლიტიკაშიც იმდენად დიდი იყო, რომ მას, უბრალოდ, არ შეეძლო ასე იოლად ჩამოშორებოდა სცენას. შედეგი ყველასათვის ცნობილია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# გამტაცებლები დააკავეს, გატაცებული კვლავ მძევლად რჩება

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბოლო სამი დღის განმავლობაში აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი დაჯგუფების სამი წევრი დააკავეს. სამივე მათგანს, ზუგდიდელი როლანდ ჩანგელიას გატაცებასთან ერთად, სეპარატისტული აფხაზეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ბრალდებათ. გავრცელებული ინფორმაციით, ორი დღის წინ სოფელ დარჩელში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ჯამბულ ღურწკაია და ალექსანდრე სამუშია, გუშინ, გვიან ღამით დაკავებულ ტარას კათალანძესთან ერთად, იმ ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან, რომელიც უკვე კარგა ხანია, რაც აფხაზ კრიმინალებს ემორჩილება და მათ დავალებებს ასრულებს. აფხაზ კრიმინალებთან დაახლოებული, გალის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფების მეთაურის ვინაობა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, უკვე დადგენილია, თუმცა მისი დაკავება ძალოვანმა სტრუქტურებმა, ჯერჯერობით, ვერ მოახერხეს. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, არის ვერსია, რომ აფხაზურ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად მოქმედი ქართველი კრიმინალების საქმიანობას ზუგდიდის ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთი მაღალჩინოსანი მფარველობდა. კონკრეტულად ვინ არიან ისინი, ამის გარკვევა, რა თქმა უნდა, ძნელია. **"გამოძიება დაადგენს ყველაფერს, კრიმინალების მფარველებიც გამოიკვეთებიან",** - ასეთი მოკლე და კონკრეტული პასუხებით იფარგლებიან სამართალდამცველები.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "საქართველოს მომავალ პრეზიდენტს" პარლამენტი არ სჭირდება



"შევარდნაძის შეკვეთილ წვიმით" დასველებული "ლეიბორისტები" პროფკავშირების კულტურის ცენტრს შეეფარნენ.

სოფო ბუკია

- არჩევნების დღეს თითზე არაფერს არ წავასმევინებ, კასეტა მაქვს სახლში, სადაც უფალი ამბობს - ნიშანს ნუ დაიდებთო.

- რას ამბობ, ქალო, ნანა დევდარიანმა თვითონ წაისვა, ვერ დაინახე?

- დევდარიანი იელოველია და იმიტომ...

- ჰოო, მართალი ხარ. მაგრამ პატრიარქმაც ხომ ნება დაგვრთო?!

- რა ვიცი, აბა, მე მგონი, მაინც უნდა ვკითხოთ შალვას.

- ჰო, მართალი ხარ, შალვას უნდა ვკითხოთ, აუცილებლად ვკითხოთ ...

**"ახლა კი სცენაზე გამოვა ის, ვის გამოჩენასაც თქვენ გარინდულნი ელოდებით, ვინც ქართველი კაცის ყველა ღირსებას თავის თავში ატარებს... ვინც პატიოსნების, ნიჭიერების, ეროვნულობის განსახიერებაა... სცენაზეა ..."** – სოსო შატბერაშვილმა პროფკავშირების სასახლის პარტერში მარკირების მავნე თვისებებზე მოსაუბრე ქალბატონებს სიტყვა შეაწყვეტინა. "ლეიბორისტების" ჰიმნისა და ბოლომდე გავსებული დარბაზის მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით, დარბაზში **"საქართველოს მომავალი პრეზიდენტი", "ჟან მარეს ორეული", "ჩვენი ერთადერთი იმედი"** შალვა ნათელაშვილი შემოიჭრა. ნათელაშვილმა ვაკისა და საბურთალოს ამომრჩევლების წინაშე გუშინ ოფიციალურად წარადგინა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები: ჯონდი ბაღათურია – საბურთალოზე და ედიშერ კვესიტაძე – ვაკეში.

28 ოქტომბრის წვიმიანმა ამინდმა "ლეიბორისტების" წისქვილზე ნამდვილად არ დაასხა წყალი. ამომრჩეველთან ურთიერთობას ნათელაშვილი და მისი თანაგუნდელები მეტრო "გოცირიძესთან", ღია ცის ქვეშ აპირებდნენ, მაგრამ უამინდობის გამო, პროფკავშირების სასახლეში გადაინაცვლეს. **"შევარდნაძემ, ეტყობა, ზევით ჩააწყო, ნათელაშვილს მიტინგი რომ არ ჩაეტარებინა,"** – ხუმრობის ხასიათზე დადგა ბატონი შალვა.

აღფრთოვანებულ მხარდამჭერებს "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა განუმარტა, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურია. ამიტომ, ვინ გაიმარჯვებს ამ ტურში - **"შევარდნაძის მიერ გამოჩეკილი მადიანი დინოზავრები"** თუ **"ხალხის ნაწილი – შალვა ნათელაშვილი"** - ძალიან მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, ბატონმა შალვამ აღნიშნა, რომ "ლეიბორისტები" ჭეშმარიტ პარტიას წარმოადგენენ და არა **"წინასაარჩევნო საშოვარზე შეკრებილ ბლოკს თუ აგურს, რომელსაც ზოგ-ზოგიერთები იმიტომ ქმნიან, რომ მერე თავში გვირტყამენ ჩვენ, ხალხს."**

"ლეიბორისტების" ლიდერი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსი უნდა ხელმძღვანელობდეს ბიბლიური პრინციპით - "არ ავნო". ბატონი შალვა, თურმე, თავად ამ პრინციპის მიმდევარია. ამიტომ, **"ამომრჩეველთან მის შეხვედრებზე ვერ დაინახავთ "ბინტიან" ადამიანებს"**, რომლებიც **"სხვა პარტიების საარჩევნო გასვლებზე ჩვეულებად იქცნენ." "ჩვენ მთელი საქართველო მოვიარეთ ბათუმიდან ლაგოდეხამდე, გარდაბნიდან სვანეთამდე, ყველგან არნახულად შეგვხვდა ხალხი..."** – თავს იწონებს ბატონი შალვა.

რაც შეეხება პარლამენტს, ბატონი შალვას ნება რომ იყოს, იგი საერთოდაც გააუქმებდა მას: **"პარლამენტი საერთოდ არ გვჭირდება, მაგრამ როგორც პასპორტის გარეშე ქვეყნიდან ვერ გავა ადამიანი, ისე პარლამენტის გარეშე საერთაშორისო საზოგადოება არ გვცნობს. ასე რომ, სანამ კაცობრიობას უკეთესი არ გამოუგონია, პარლამენტი უნდა ავიტანოთ,"** – დაინდო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო "საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა".

"ჩვენი ერთადერთი იმედის" შემდეგ სცენაზე მონაცვლეობით გამოჩნდნენ წითელ ჰალსტუხებში გამოწყობილი ჯონდი ბაღათურია და ედიშერ კვესიტაძე. ისინი ბატონ შალვას, ზოგადად, "ლეიბორისტულ პარტიას" და საკუთარ ამომრჩეველს სიყვარულში გამოუტყდნენ და მუდამ გვერდში დგომას დაჰპირდნენ. **"ჩვენ შევძლებთ შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟს. თქვენ, თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ამაში,"** – ისმოდა სცენიდან.

გუშინ სცენაზე გამოჩნდა "ლეიბორისტების" თეატრალური სახე, მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი, რომელმაც დარბაზს სთხოვა: **"თუ ჩემს მიმართ რაიმე გრძნობა გაქვთ, დამიჯერეთ... ჯონდი ბაღათურია და ედიშერ კვესიტაძე პატიოსანი ადამიანები არიან, რომლებიც პარლამენტში თქვენს ინტერესებს დაიცავენ."**

გუშინვე ნათელაშვილი დიდუბის რაიონის ამომრჩეველს შეხვდა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ჯემალ მარგველიძე წარუდგინა.

დღეს "საქართველოს მომავალი პრეზიდენტი" ისანი-სამგორის მოსახლეობას გაახარებს.

## ქართული ხელისუფლების "რჩეულმა" სახემ არჩევნების შედეგები უკვე იცის

### და მას უცხოელ დიპლომატებს აცნობს

გიორგი ასანიშვილი

*ამჟამინდელი მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დღეს მხოლოდ ფორმალურად, "ქაღალდზეღა" არსებობს. მაგრამ ვახტანგ რჩეულიშვილს წუთითაც არ ავიწყდება, რომ ისტორიის სამარეში ლამის უკვე ჩასვენებული, პარლამენტის ვიცე-სპიკერია. ალბათ, სწორედ ამ გარემოების ხაზგასასმელად მიიპატიჟა მან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები პარლამენტის ბიუროს სხდომათა ოთახში. თავად მიწვევის მიზეზი კი ფრიად კეთილშობილური იყო: სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთ ლიდერს სტუმრებისთვის ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა გაეცნო. თუმცა, მოხდა ისე, რომ ერთსაათიანი მონოლოგის უმეტესი ნაწილი რჩეულიშვილმა იმის ახსნას მოანდომა, თუ რატომ მიაღწევს წარმატებას სახელისუფლებო ბლოკი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში და როგორი შოკისმომგვრელი მარცხი ელოდება ოპოზიციას - სოციალისტთა თავკაცის გათვლებით, მისი ბლოკი უფრო მეტ ხმას მოაგროვებს, ვიდრე "ბურჯანაძე-დემოკრატები", "ნაციონალები", ლეიბორისტები" და "ახლები" ერთად.*



უცხოელმა დიპლომატებმა ვერაფერი გაარკვიეს, რომელია მისი სამშობლო და რომელი - მისი მეზობელი.

ვახტანგ რჩეულიშვილის ღრმააზროვანი ანალიზის მოსასმენად, ალბათ, მართლაც ღირდა ლოდინი - სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთმა მთავარმა სახემ უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე მისვლა 20 წუთით დააგვიანა. ნუ იფიქრებთ, რომ ვიცე-სპიკერი ამ დროს სტრატეგიულ საკითხებზე მუშაობდა და საპატიო სტუმრები ამიტომ ალოდინა. სულაც არა - ვიდრე უცხოელები ბიუროს ოთახში იცდიდნენ, ვიცე-სპიკერი პარლამენტის დერეფანში ინტერვიუებს არიგებდა. ძნელი სათქმელია, რატომ გამოიჩინა რჩეულიშვილმა დიპკორპუსის მიმართ უპატივცემულობა. შესაძლოა, სამაგიეროს გადახდის მიზნითაც - მასთან შეხვედრაზე საელჩოების პირველი პირები არ გამოცხადდნენ და შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლები გამოაგზავნეს.

მიუხედავად ამისა, ვიცე-სპიკერმა არ დაიზარა და სტუმრებს დეტალურად გააცნო თავისი საავტორო ნამუშევარი - ჯვარისებრი კონცეფცია, რომელიც, თურმე, გარდა იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს, ამერიკისა და რუსეთის პოლიტიკური წრეების დიდი მოწონებითაც სარგებლობს.

ვახტანგ რჩეულიშვილი იმ ტიტანურ შრომაზეც საუბრობს, რომელსაც ის, პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ეწევა. როგორც ირკვევა, ვიცე-სპიკერის ნოვატორულმა ნიჭმა ამ სფეროშიც იჩინა თავი. რჩეულიშვილს არ მოსწონს, რომ კონფლიქტის ზონაში ქართული სოფლები ცალკეა, ოსური - ცალკე. მისი აზრით, ეს ორი ხალხის შერიგების პროცესს აფერხებს. როგორც ჭეშმარიტ სოციალისტს შეჰფერის, რჩეულიშვილი ინტერნაციონალურ გარემოზე ოცნებობს, რომელშიც ქართველები და ოსები გვერდიგვერდ, შეხმატკბილებულნი იცხოვრებენ. ამას რჩეულიშვილი "მშვიდობიან ზონას" უწოდებს და წინადადებას იძლევა, ცხინვალში აშენდეს მრავალსართულიანი სახლი, რომლის მობინადრეთა ნახევარი ქართველები იქნება, ნახევარი - ოსები. ანალოგიურ პროექტზე, თურმე, კლინტონის ფონდს უმუშავია აფრიკაში ("где-то в Африке", - კონკრეტულად რომელ ქვეყანაში, რჩეულიშვილი ვერ იხსენებს) და "სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარე ამერიკელების გამოცდილების დანერგვას თავის სამშობლოშიც აპირებს.

ვახტანგ რჩეულიშვილს სტუმრებისთვის არც ის "დაუმალავს", რომ "გარკვეული სირთულეების მიუხედავად, საქართველოს საკმაოდ ბევრი მიღწევები აქვს". ამის აღნიშვნისას, ვიცე-სპიკერმა დიპლომატთა სახეებზე, ეტყობა, უნდობლობა ამოიკითხა და ამიტომ, საჭიროდ ჩათვალა, მათი სათქმელი თავად ეთქვა.

**"თუ ასეთი ჭკვიანები არიან ქართველები, მაშინ რატომ ცხოვრობენ ასეთ გაჭირვებაში?"** - კითხულობს რჩეულიშვილი და საკუთარ შეკითხვას ერთობ ფილოსოფიურად პასუხობს.

**"უხსოვარ დროში, ოკეანის საერთო მასიდან ჯერ ერთი კუნძული ამოიმართა, მერე მეორე, ბოლოს კი - კონტინენტები. ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ქართულ ეკონომიკაშიც: ქაოსიდან უკვე ამოიმართა, მაგალითად, საავიაციო ქარხანა, მას სხვა წარმატებული საწარმოები ამოუდგებიან გვერდში და..."** - ახალი ქართული ეკონომიკის დემიურგს ჰგავდა გუშინ ვახტანგ რჩეულიშვილი.

ჰოდა, როგორც შემომქმედს შეშვენის, "სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარესაც ერთნაირად შესტკივა გული როგორც სახელისუფლებო ბლოკზე, ისე ოპოზიციაზე. იგი შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ზოგიერთი ოპოზიციური ჯგუფი, შეიძლება, პარლამენტს გარეთ დარჩეს.

კარსმომდგარი არჩევნების რჩეულიშვილისეული პროგნოზი ასე გამოიყურება: სახელისუფლებო ბლოკი მოაგროვებს ხმების 30 პროცენტს, "აღორძინება" - 17-ს, "ლეიბორისტები" - ცხრას, "ბურჯანაძე-დემოკრატები", "ნაციონალები" და "ახლები" - შვიდ-შვიდს. ასეთი ბალანსის გათვალისწინებით, ვიცე-სპიკერი არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ოპოზიციური ჯგუფი შვიდპროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს. რჩეულიშვილის აზრით, ასეთი საფრთხე ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილის გუნდს ემუქრება. **"მე თვითონ ვგულშემატკივრობ მიშას, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისი მომხრეებითურთ, იგი ქუჩაში გამოვარდება,"** - წუხს სახელისუფლებო სახე.

"ვასიუკელებთან" (დიპლომატებთან) ერთობლივი სეანსის დასრულების შემდეგ, რომლის დროსაც სვლებს მხოლოდ ქართული პოლიტიკის დიდოსტატი აკეთებდა, უცხოელებმა გაოგნებულებმა დატოვეს პარლამენტი. მართლაც, საქართველოს გარდა, განა სადმე არის ოპოზიცია, ხელისუფლების მხრიდან ასე ზრუნვით მოსილი?

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი თბილისს ეწვია. საქართველოში 2 ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე იგი თანამეგობრობის ქვეყნების დამკვირვებელთა 67-კაციან ჯგუფს უხელმძღვანელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი წინასაარჩევნო "ეგზით პოლების" წინააღმდეგ გამოდის. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დღეს ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნა, ამერიკაში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, "სი-ენ-ენ"-მა არჩევნების წინ ეგზიტპოლების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა.

რჩეულიშვილის თქმით, საქართველომ უნდა გაიზიაროს ამერიკის გამოცდილება. მით უფრო, რომ საქართველოში ე.წ. "ეგზით პოლების" ობიექტურობაში ყველას ეჭვი ეპარება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის განცხადებით, ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება.

ამავე დროს, მისი თქმით, ძნელია გელაევის ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა, რადგან იგი იმალება და შეიძლება გვარიც შეიცვალა. რუსლან გელაევის მებრძოლთა ნაწილი, სავარაუდოდ, ასევე საქართველოში დარჩა, - თქვა თენგიზ კიტოვანმა.

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 40 დამკვირვებელი უკვე თბილისში იმყოფება.

როგორც ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელმა ანდრეა მალნატიმ განაცხადა, 400-მდე მოკლევადიანი დამკვირვებელი მიმდინარე კვირის განმავლობაში, საქართველოს ყველა რეგიონში თანაბრად გადანაწილდება.

მოკლევადიანი დამკვირვებლები, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპარლამენტის პარლამენტარებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით კენჭისყრის, ხმების დათვლისა და შედეგების ტაბულირების მონიტორინგს განახორციელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, ცესკო-ს მიერ AFES-თან ხელშეკრულების გაწყვეტის თაობაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ბრძანებით, სამხედრო ნაწილებში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სპეციალური შტაბი შეიქმნა. გენშტაბში სამხედრო ნაწილებში გახსნილ საარჩევნო უბნების რაოდენობას არ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ შესაბამისი ინფორმაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე გაიგზავნა **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**სიღნაღი.** გუშინ საარჩევნო ბლოკმა "ჯუმბერ პატიაშვილი – ერთობა" სიღნაღში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ცნობილი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის ვაჟიშვილი დიმიტრი გონაშვილი წარადგინა. დღესვე ბლოკმა თელავში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა ალექსანდრე ბასილაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ს მდივანი გიორგი მიქანაძე აცხადებს, რომ ცესკო-ს მიზეზით საპარლამენტო არჩევნები არ ჩაიშლება, თუმცა საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გამოავლინონ ყველა ის პირი, რომელთა მიზეზითაც წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით, პრობლემები შეიქმნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღმაშფოთებელი და პროვოკაციული უწოდა პოლიტიკური ბლოკის „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება" წევრების მიერ გუშინ სამტრედიაში სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვას და სამართალდამცავი ორგანოებისგან აქციის ორგანიზატორთა მოქმედების სამართლებრივი შეფასება მოითხოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, არჩევნების დღეს ეგზიტპოლის ჩატარებას (ამომრჩევლის გამოკითხვა ხმის მიცემის შემდეგ), რომელსაც 2 ნოემბერს ამერიკული კვლევითი კომპანია „გლობალ სტრატეჯი გრუპი" განახორციელებს, ქვეყნის კანონმდებლობა არ ზღუდავს. **მედია-ნიუსი**

## უჩინმაჩინი სიები და მდიდართა ღარიბული საარჩევნო კამპანია

პირველი გვერდიდან

მოახერხეს იმის გამო, რომ ისინი ან დაკეტილია, ან მათ განცხადებებს იქ არ იღებენ მოტივით - სიები არ აქვთ. ერთ-ერთი მათგანი მერიის პრესსამსახურის უფროსი მარიკა ფიროსმანაშვილიცაა, რომელმაც თავისი თავისა და ოჯახის წევრების სიაში შეყვანა დღემდე ვერ შეძლო, რადგან უბანი მუდმივად დაკეტილი ხვდებოდა.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების ვადების რამდენჯერმე გადაწევამ რეალურად ვერაფერი შეცვალა. უფრო ზუსტად, ამან კიდევ უფრო დააბნია ხალხი, ხოლო ხელისუფლებას საშუალება მიეცა, მისთვის საჭირო სიით ჩაატაროს არჩევნები.

რუსთავის საოლქო კომისიას სიების საკუთარი ვერსია თითქმის ყველა პარტიამ მიაწოდა, თუმცა მათ ეს მონაცემები ჯერაც არ დაუმუშავებიათ და დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ პარტიების ნამუშევარი უსარგებლო "მაკულატურად" იქცევა. სამაგიეროდ საოლქომ რამდენიმე დღის წინ ცესკო-ს გადაუგზავნა შესწორებული და შემცირებული ვარიანტი, რომელიც მხოლოდ საუბნო კომისიების მონაცემებით და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა დახმარებით შემუშავდა. დღეს შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად ზუსტია საოლქოს მიერ გაკეთებული 63- ათასიანი სია, რადგან ის, კომისიის რამდენიმე წევრის გარდა, რუსთავში არავის უნახავს. დღეისათვის რუსთავის 54-ვე საუბნო კომისია უფუნქციოდაა დარჩენილი და იქ სიების დაზუსტებაზე მუშაობა არ მიმდინარეობს.

გუშინ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ფრიდონ კენკებაშვილის წარმომადგენლები საოლქო კომისიაში აცხადებდნენ, რომ სიებში მრავალგზის არის დუბლირებული იმ ადამიანების გვარები, რომლებიც "რუსთავცემენტში" მუშაობენ და სახელისუფლო ბლოკის კანდიდატს აძლევენ ხმას. მათივე თქმით, არარსებულ კორპუსებში ათასობით არარსებული მოქალაქეა დაფიქსირებული. **"რად გინდათ ასეთი რაღაცეები, იცოდეთ, ხალხი გარეთ დარჩება და არეულობა მოხდება,"** - აფრთხილებდნენ ისინი საოლქო კომისიას.

### მოდი, ვნახოთ ფული...

დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო ფონდების შესახებ ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან პირები, რომლებიც შემოწირულობებს აკეთებენ, რეალურ დამკვეთებად ითვლებიან და შემდგომში განუსაზღვრელი გავლენა აქვთ მათ მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკოსებზე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოსახლეობა ერკვეოდეს, თუ ვინ დგას ამა თუ იმ კანდიდატის უკან.

რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის ათი კანდიდატი იბრძვის. მათგან ორი - გოგი სალაყაია და სოსო ალავიძე - სხვებთან შედარებით მდიდარ ადამიანებად ითვლებიან. "24 საათი" გთავაზობთ მათი საარჩევნო ფონდების შესახებ ინფორმაციას 27 ოქტომბრის მდგომარეობით.

**გიორგი სალაყაია - ბლოკი "ახალი საქართველოსათვის"**

საარჩევნო ფონდის ანგარიში - "ტი-ბი-სი" ბანკი, N700829

1. ელდარ მამალაძე - 1000 ლარი
2. ტარიელ შაქარაშვილი - 1000 ლარი
3. ჯემალ ანთიძე - 1000 ლარი
4. გიორგი კახიანი - 900 ლარი

ანუ, "საქცემენტის" გენერალური დირექტორის საარჩევნო ფონდის ანგარიშზე, არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე, სულ რაღაც 3900 ლარი ირიცხება. სამწუხაროდ, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, სალაყაიას ფონდის მმართველმა ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოცემა არ ისურვა. ისღა დაგვრჩენია მკითხველს ვაუწყოთ, რომ სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს თავისი პლაკატები 14 ბილბორდზე აქვს განთავსებული, თითოეულის ქირა კი დაახლოებით 400 დოლარი ჯდება. სალაყაია ერთადერთი კანდიდატია, რომლის წინასაარჩევნო კამპანიას ორი თვის მანძილზე ყოველდღიურად აშუქებს ადგილობრივი ტელევიზია ორ-სამ წუთიანი სიუჟეტებით. ოფიციალური ინფორმაციით, ადგილობრივ ტელევიზიაში ერთი წუთი სარეკლამო დრო 60 დოლარი ღირს.

**იოსებ ალავიძე - საინიციატივო ჯგუფი**

საარჩევნო ფონდის ანგარიში - "საქართველოს ბანკი", N002700282

1. იოსებ ალავიძე - 3440 ლარი
2. უჩა ცარციძე - 40 ლარი
3. უშანგი მგელაძე - წიგნი "ვინ არის გენერალი იოსებ ალავიძე" (ღირებულება 800 ლარი)

გენერალ ალავიძის ფონდში დღემდე სულ 4280 ლარია შესული, აქედან 1274,40 ლარი მას პოლიგრაფიულ მომსახურეობაზე დაუხარჯავს, 756 ლარი და 1382 ლარი კალენდრებსა და სხვადასხვა ზომის პლაკატებზე. ალავიძის კამპანია ადგილობრივი ტელევიზიით არ შუქდება, რადგან მას იქ დრო არ შეუძენია.

**ფრიდონ კენკებაშვილი - საინიციატივო ჯგუფი**

საარჩევნო ფონდის ანგარიში - "საქართველოს ბანკი", N002700283

კენკებაშვილის ფონდში, მისივე ინფორმაციით, 4000 ათას ლარამდე შემოწირულობა შეგროვდა, რომელიც მისივე ოჯახის წევრებს გაუღიათ. გამოცდილი პოლიციელი აცხადებს, რომ მას ადამიანები უანგაროდ ეხმარებიან და კამპანია მინიმალური დანახარჯებით მიმდინარეობს. მისი თქმით, ალავიძე და სალაყაია რეალურად დიდ თანხებს ხარჯავენ ამომრჩეველთა გულის მოსაგებად, თუმცა ოფიციალურად ამას არ აფიქსირებენ.

**"ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის გია ხევიაშვილის** კამპანია პარტიის ფონდიდან ფინანსდება. ის აცხადებს, რომ ზუსტად არ იცის, რამდენი უჯდება მის პარტიას ხევიაშვილის გადეპუტატებისათვის ბრძოლა.

### მოდი, ვნახოთ ხალხი...

რუსთაველები ანეკდოტებად ჰყვებიან მაჟორიტარი დეპუტატობის მსურველთა წინასაარჩევნო "საგმირო საქმეებს", რომლებსაც ისინი ამომრჩეველთა გულის მოსაგებად სჩადიან. რამდენიმე მაგალითი: **მეგობრობის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის ეზოში ჯერ არაყი და მისაყოლებელი მიიტანეს, ხალხი რომ შეგროვდა, დეპუტატობის კანდიდატიც მივიდა და წარმატებული აგიტაცია გასწია; მე-8 მიკრო-რაიონის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლებს წინასაარჩევნოდ გაზი გაუყვანეს და ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის დასასველებლად დეპუტატობის კანდიდატმა მათ ჭედილა და ღვინო გაუგზავნა; "ინტერნატებში" ხალხი გაბრაზებულია, გარეუბანი ვართ და მარტო ვაშლიღა შეგვხვდაო.**

საბოლოოდ, ხალხი მაინც უკმაყოფილოა. "24 საათის" გამოკითხვამ აჩვენა, რომ წინასაარჩევნო საჩუქრები მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებს, რადგან ისინი მალე თავდება და თანაც ყველას არ ხვდება. მაგალითად, ნაჩუქარი ჭედილა შეიჭამა თუ არა, მისი გამომგზავნისათვის ხმის მიცემის სურვილიც ავტომატურად გაქრა. ამას, ალბათ, კანდიდატებიც მიხვდნენ, რადგან მსგავსი დახმარებების გაწევა უკვე შეწყვიტეს და მათ შტაბებთან უკმაყოფილო ხალხის რიგები ყოველდღიურად იზრდება.

## ელჩები პრეზიდენტთან



დიპლომატიური კორპუსი მიიჩნევს, რომ საქართველოში არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად ყველანაირი პირობა არსებობს.

საქართველოს პრეზიდენტთან გუშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები შეიკრიბნენ. საუბრის ძირითადი თემა კარსმომდგარი არჩევნები იყო. ელჩები კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ, თუ რითი შეიძლება დაეხმარონ საქართველოს ამ არჩევნების ჩატარებაში. იტალიის სრულუფლებიანმა ელჩმა ფაბრიციო რომანიმ აღარ დააკონკრეტა, რა შეიძლება ელოდებოდეს საქართველოს არჩევნების ტოტალურად გაყალბების შემთხვევაში, მაგრამ ის კი თქვა, რომ "პრეზიდენტთან ელჩების შეხვედრაზე მომავალი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი". გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩთა შეფასებით, საქართველოში არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად ყველანაირი პირობა არსებობს.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## მოკლედ

### ბერძენიშვილმა ეუთო-სთან შეხვედრაზე უარი განაცხადა

ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დავით ბერძენიშვილმა შეხვედრაზე უარი უთხრა საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებს.

როგორც დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის ფაქტი, თუ როგორ იქცეოდნენ ეუთო-ს დამკვირვებლები ბათუმში 23 აგვისტოს, როდესაც აჭარის ხელისუფლებამ "ნაციონალების" მიერ ორგანიზებული მიტინგი სასტიკად დაარბია.

ბერძენიშვილის ინფორმაციით, ბათუმში იმ პერიოდში ეუთო-ს ორი დამკვირვებელი იმყოფებოდა ინგლისიდან და სლოვაკეთიდან, რომლებთანაც დეპუტატობის კანდიდატს მუდმივი კავშირი ჰქონდა, თუმცა მიტინგის დარბევისას "ისინი დაიმალნენ" და მხოლოდ აქციის დასრულების შემდეგ "გამოჩნდნენ".

მიტინგის დარბევის შემდეგ, ეუთო-ს დამკვირვებელთა მისია დავით ბერძენიშვილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვებას და ჩოლოქის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გადალახვას ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მანქანით სთავაზობდა, მაგრამ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვა.

დავით ბერძენიშვილი 24 ოქტომბერს ჩოლოქის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან სასტიკად სცემეს, რის გამოც იგი დღესაც მკურნალობის კურსს გადის.

მიტინგის დარბევისას, აჭარის ხელისუფლებამ პოლიცია, ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული დაცვის წევრები გამოიყენა.

აქციის დარბევისას, 100-ზე მეტი დემონსტრანტი დაშავდა, მათ შორის - დეპუტატობის კანდიდატები. **პრაიმ-ნიუსი**

### კანონი აჭარისთვის ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება

"დემოკრატიული აღორძინების კავშირის" განცხადებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია ინფორმირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა რაოდენობისა და სიების შესახებ.

როგორც "დაკ"-ის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ განაცხადა, მისი ინფორმაციით, აჭარის საოლქო კომისიამ ცესკო საქმის კურსში, დაახლოებით, ათი დღის წინ ჩააყენა.

მისივე თქმით, ამომრჩეველთა სიები თავად აჭარის საარჩევნო უბნებში უკვე გამოკრულია.

ცოტნე ბაკურია არ ფლობს ინფორმაციას, გადმოეცა თუ არა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აჭარის ამომრჩეველთა სრული სია.

მისივე ინფორმაციით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის აჭარის რეგიონში 270 ათასზე მეტი ამომრჩეველია დარეგისტრირებული. **პრაიმ-ნიუსი**

### კოდორში გაერო-ს მისიის უსაფრთხოების გარანტიებს ემზარ კვიციანი იძლევა

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა მოლაპარაკებები გამართა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გენშტაბის უფროსთან - თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე ვლადიმერ არშბასთან და კოდორის ხეობაში მონიტორინგის განახლებისათვის მზადყოფნა დაადასტურა.

ემზარ კვიციანმა განაცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის, უსაფრთხოების გარანტიები მისცეს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებს, რომლებიც მონიტორინგს კოდორის ხეობაში უახლოეს მომავალში განაახლებენ.

მისი თქმით, ამჟამად ყველაფერი გაერო-ს მისიაზე იქნება დამოკიდებული, რომელმაც პატრულირების დაწყების თარიღი უნდა განსაზღვროს.

მანამდე, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ გაერო-ში მიღებულია გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში მონიტორინგის განახლების შესახებ, რომელიც ივნისში შეწყდა, ამ რეგიონში დაუდგენელი პირების მიერ გაერო-ს 4 თანამშრომლის გატაცების გამო.

მონიტორინგის უსაფრთხოება ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, - თქვა მან.

სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ძველი ფორმატი უცვლელი იქნება - პატრულირების დროს, გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად, რუსი მშვიდობისმყოფელები იქნებიან.

მისი განცხადებით, აფხაზური მხარე კვლავ მოითხოვს კოდორში რუსი მშვიდობისმყოფელების მუდმივი საგუშაგოს გახსნას, რადგან სხვა შემთხვევაში ეფექტური ვერ იქნება მონიტორინგი, რომლის მიზანია კოდორის ხეობის დემილიტარიზაციის შესახებ ადრე მიღწეული შეთანხმების შესრულების გაკონტროლება. **პრაიმ-ნიუსი**

# ხელისუფლება ქუთაისში გაყალბებისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

**"როდესაც კომისიის პირველი სხდომა ჩავატარე, საჯაროდ განვაცხადე, რომ არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიის, ვარ აბსოლუტურად თავისუფალი და ჩემს კომისიაში არ იქნება საუბარი არანაირ გაყალბებასა და მაქინაციებზე. ამ განცხადებას მე ყველა სხდომაზე ვიმეორებდი. ალბათ, ამიტომაც გამათავისუფლეს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას 34-ე საარჩევნო კომისიის აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ რუსუდან ფერაძემ.

სამართლიანი არჩევნების დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ აღნიშნულმა ფაქტმა, შესაძლოა, ქუთაისში არჩევნების ჩატარება საფრთხის ქვეშ დააყენოს.

გუშინ აღნიშნული მოვლენები არ განვითარდებოდა, "მრეწველებს" ოპოზიციისთვის შეუფერებელი ნაბიჯი რომ არ გადაედგათ. საქმე ისაა, რომ ერთი თვის წინ, საქართველოში პირველად, ოპოზიცია გაერთიანდა და საოლქო და საუბნო კომისიებში უმრავლესობა ჩამოაყალიბა. ორი დღის წინ კი, სახელისუფლებო ბლოკის ინტენსიური ზეწოლის შედეგად (სამსახურიდან გაგდების მუქარით), ხელისუფლებამ საოლქო კომისიაში "მრეწველების" ორი წარმომადგენელი გადაიბირა. შედეგად, უკვე სახელისუფლებო ძალები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში და პირველი, რაც გააკეთეს, მათთვის არასასურველი კომისიის თავმჯდომარეები გაათავისუფლეს. ამას მოჰყვა საოლქო კომისიის შენობის წინ ოპოზიციის აქცია. "ბურჯანაძე-დემოკრატები", "ნაციონალები" და "აღორძინება" საოლქო კომისიის გადაწყვეტილებას ერთობლივად აპროტესტებდნენ.



ზურაბ სოტკილავამ ქუთაისში "ბურჯანაძე - დემოკრატების" მხარდამჭერი კონცერტი გამართა

**"იყიდება ქუთაისი. ფასი შეთანხმებით!"**

**"მრეწველები გაიყიდნენ!"**

**"მთავრობა არჩევნებს აყალბებს!"**

**"ვიტალი, შენი სიბინძურეებით ქუთაისი უკვე დაიღალა!"**

ასეთი გახლდათ აქციის მონაწილეთა პლაკატების შინაარსი.

ქუთაისში მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდნენ. პარლამენტის თავმჯდომარემ მოსახლეობასთან შეხვედრები შეწყვიტა და აქციაზე მივიდა. იგი, პირველ პირგში, საოლქო კომისიის ხელმძღვანელს კოტე თევდორაძეს ესაუბრა. შეხვედრის დასასრულს ნინო ბურჯანაძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა: **"მე ნამდვილად ვერ შევეგუები იმას, რომ 18 კომისიის თავმჯდომარე არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაათავისუფლონ. ამას შედეგად, სასამართლო პროცესები მოჰყვება, რომელიც, ალბათ, ორ დღეს გასტანს, რის გამოც უბნები, პრაქტიკულად, პარალიზებული იქნება. ეს ყოველივე კი სერიოზული საფრთხის ქვეშ ჩააყენებს ქუთაისში ნორმალური არჩევნების ჩატარებას. ის ადამიანები, ვინც ამ დადგენილებას ხელი მოაწერა, ძალიან ნათელი ინსტრუქციით მოქმედებდნენ. ხელისუფლებას ქუთაისში ნორმალური არჩევნების ჩატარება ხელს არ აძლევს. ვფიქრობ, რომ ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. საოლქო კომისიის თავმჯდომარეს ვურჩიე, რომ სასწრაფოდ მოიწვიოს კომისიის სხდომა და ამ საკითხის განხილვას ხელახლა დაუბრუნდეს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის დაპირებების შემდეგ აქცია დაიშალა. საღამოს კი ქუთაისს ძველი დიდების წლები ზურაბ სოტკილავას კონცერტმა გაახსენა. სახელოვანმა მაესტრომ საკუთარი კონცერტი ნინო ბურჯანაძესა და ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებს" მიუძღვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, საღამომ ანშლაგით ჩაიარა.

# ვის ეშინია "ეგზით პოლების"

პირველი გვერდიდან

გუშინ ამ პროექტის ორგანიზატორებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ამერიკული კვლევითი კომპანიის წარმომადგენელიც ესწრებოდა. "გლობალ სტრატეჯი გრუპი" ამერიკაში სტრატეგიული, მარკეტინგული და საზოგადოებრივი კვლევების ერთ-ერთ წამყვან კომპანიას წარმოადგენს. მისი მომსახურებით სარგებლობენ ისეთი ცნობილი ორგანიზაციები, როგორიც არის "ეი-ბი-სი", "სი-ბი-ესი", "ამერიკან ექსპრესი" და ასე შემდეგ. 2000 წელს "გლობალ სტრატეჯი გრუპმა" დაგეგმა და განახორციელა ალ გორის საპრეზიდენტო კამპანია.

მიზეზი, რის გამოც არჩევანი სწორედ ასეთ გავლენიან და საერთაშორისო პრესტიჟის მქონე კომპანიაზე გაკეთდა, ძალიან მარტივია. თავი რომ დავანებოთ იმას, რამდენად შეუძლია იგივე ტიპის ქართულ ორგანიზაციას ასეთი სამუშაოს მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარება, ერთი პრობლემა ყველა შემთხვევაში გაჩნდებოდა. ხელისუფლება და ხელისუფლებასთან დაახლოებული პოლიტიკური პარტიები, რა თქმა უნდა, სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენებდნენ ქართული კომპანიის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს და მაშინვე განაცხადებდნენ, რომ კომპანიამ (თუ კომპანიებმა) "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ნაციონალური მოძრაობის" ან "ახლების" დაკვეთა შეასრულა. თუ ხელისუფლებას ამ ფაქტის დამტკიცება გაუჭირდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მისი მანიპულირებით საშულება მაინც ექნებოდა და ამ საშუალებას მაქსიმალურად გამოიყენებდა. მით უმეტეს მაშინ, როცა "ეგზით პოლები" სახელისუფლებო ბლოკისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს და, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

განვითარებულ ქვეყნებში "ეგზით პოლების" მთავარი დანიშნულება მოსახლეობის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და არჩევნების შედეგების წინასწარ მიწოდებაა. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, სოციოლოგიური გამოკითხვის ამ მეთოდს ასეთ ქვეყნებში უფრო დიდი დატვირთვა აქვს, რადგან პროფესიულად ჩატარებული "ეგზით პოლები", ხმათა პარალელურ დათვლასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების ყველაზე თვალსაჩინო სურათს იძლევა.

მაშინ, როდესაც დღეს საქართველოში ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებისთვის რაც შეიძლება მეტი შანსი დაიტოვოს, და რაც მთავარია, როგორმე შემდეგ ამ შედეგების ლეგიტიმაცია მოახერხოს, მისთვის "ეგზით პოლები" სერიოზულ საშიშროებას შეიცავს. მით უმეტეს, მაშინ, თუ სოციოლოგიურ გამოკითხვას არა ქართული კომპანიები (რომელიც ადვილია, მიკერძოებაში დაადანაშაულო), არამედ გავლენიანი უცხოური ორგანიზაცია ჩაატარებს.

სახელისუფლებო ბლოკის ან "აღორძინების" ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორიც, მაგალითად, ირინა სარიშვილი, ლევან მამალაძე ან ცოტნე ბაკურიაა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც შეეცდებიან, ამერიკული კომპანიის თანამშრომლებს შორის ვინმე სომხური გვარის ან წარმომავლობის ადამიანი აღმოაჩინონ და შეთხზან მათთვის საყვარელი კონსპირაციული თეორია სომხური წარმოშობის ქართველ ჰომოსექსუალისტ-კოსმოპოლიტ-მასონ-რუსეთის აგენტ პოლიტიკოსებზე, რომელთაც არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ უცხოური ორგანიზაციებიც ფსიქოტროპული ზემოქმედების ქვეშ ჰყავთ. მაგრამ მათ მიერ შეთითხნილი თეორიები ნამდვილად აღარ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ამერიკული კომპანიის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები გაყალბებულად გამოაცხადოს.

"ეგზით პოლების" შედეგების უგულებელყოფა ასე ადვილი რომ არ იქნება, ამას ხელისუფლებაც აცნობიერებს. ამაზე კარგად მიანიშნებს რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტი, როცა თავად სახელმწიფო მინისტრი ევაჭრებოდა "რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორს, უარი ეთქვა "ეგზით პოლებზე". ეს იყო ხელისუფლების ერთ-ერთი პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში, ის "რუსთავი 2"-ს მე-9 მეტრული არხის გადაცემას ჰპირდებოდა.

დღეს უკვე ხელისუფლება ახალ ტაქტიკას დაადგა და აცხადებს, რომ "ეგზით პოლებზე" ამერიკაშიც კი უარი თქვეს და მისმა გამოქვეყნებამ, შეიძლება, ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების ამ ორ არგუმენტს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს.

ამერიკაში "ეგზით პოლებთან" დაკავშირებით ერთადერთი პრობლემა შეიქმნა. იმის გამო, რომ ქვეყანაში დროის სხვადასხვა ზონაა, იქ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების გამოქვეყნება ერთგვარი ზემოქმედების ფორმად ჩაითვალა დროის იმ ზონის მოსახლეობაზე, სადაც ხმის მიცემისთვის დრო კიდევ რჩებოდა. ანუ საუბარი იყო იმაზე, რომ არჩევნების შედეგების წინასწარ გამოცხადებას შესაძლოა, გავლენა მოეხდინა იმ ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ხმა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიცემული.

საქართველოში ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს, რადგან ჩვენთან დროის მხოლოდ ერთი ზონაა, ხოლო "ეგზით პოლების" შედეგები მხოლოდ საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ გამოქვეყნდება.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, თავიდანვე არასწორი და გაუგებარია, როცა ვინმე კითხვას ამდაგვარად სვამს – გამოიწვევს თუ არა "ეგზით პოლების" გამოქვეყნება დესტაბილიზაციას. ჩვენს შემთხვევაში, ეგზით პოლების მთავარი დანიშნულებაა, ამომრჩეველს მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია (ერთიდან სამ პროცენტამდე ცდომილებით), ხოლო ამომრჩეველს ასეთი ინფრომაციის მიღების კონსტიტუციური უფლება აქვს და იმის კონსტიტუციური უფლებაც - რომ, გაყალბების შემთხვევაში, თავისი ხმა დაიცვას.

ერთადერთი, რასაც ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლია, ეს ხელისუფლებაა, რომელსაც ეყოფა თავხედობა, დემოკრატიული არჩევნების დასაცავად ჩადებული მექანიზმების მიუხედავად, ხალხის ხმის მოპარვა და არჩევნების გაყალბება მაინც მოინდომოს.

# კანცელარიას აბსანძის მუქარა არ აშინებს

*შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბლოკის - "ეროვნული თანხმობა - იბერია გაბრწყინდება" - ლიდერების მიმართ. სამტრედიაში, სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვის გამო გურამ აბსანძეს, ნოდარ ნათაძეს, პეტრე გელბახიანსა და ბლოკის კიდევ რამდენიმე წევრს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.*

ლელა მჭედლიძე

როგორც გუშინ საღამოს, პრეზიდენტის პრესმდივნის კახა იმნაძის განმარტებიდან გაირკვა, ნარჩემაშვილი სწორედ პრეზიდენტის დავალებით მოქმედებდა. **"პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღმაშფოთებელი უწოდა სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვას და სამართალდამცავი ორგანოებისგან აქციის ორგანიზატორთა მოქმედების სამართლებრივი შეფასება მოითხოვა. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრ კობა ნარჩემაშვილს წესრიგის დაუყოვნებლივ დამყარება დაავალა."**

აბსანძეს მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არ ეშინია. თურმე, არა იმიტომ, რომ ერთით მეტი ან ნაკლები საქმე მის დოსიეს ბევრს არაფერს შეჰმატებს. შედარებითი სიმშვიდისთვის მას სხვა მიზეზი აქვს. როგორც ირკვევა - ერთბაშად რამდენიმეც. **"სისხლის სამრთლის საქმის აღძვრა იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც რკინიგზის სადგურს გადაუარგადმოუარა, სასაცილოა. პირველ რიგში, საქმე ამომრჩეველთა სიების გამყალბებელთა წინააღმდეგ უნდა აღიძრას. გარდა ამისა, გზა პირველად სამართალდამცველებმა გადაკეტეს და არა "ეროვნული თანხმობის" მომხრეებმა, რომელთა მიერ გზის გადაკეტვასაც სუფთა სიმბოლური ხასიათი ჰქონდა,"** - ამბობს აბსანძე და ამტკიცებს, რომ სარკინიგზო მაგისტრალი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილას არ გადაკეტილა და მიმოსვლა თავისუფლად შეიძლებოდა შემოვლითი გზით. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ აბსანძე, გელბახიანი, დოკვაძე და ბურჭულაძე თავს აქციის ორგანიზატორებად არ მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა არასწორი სიების გამო გაღიზიანებული "ეროვნულები" საქართველოს სხვადასხვა რაიონში საპროტესტო აქციების გამართვას არ უარყოფენ, ისინი, ამავე დროს, აცხადებენ, რომ **"გზის გადაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება აქციის მონაწილეებმა თავად, სპონტანურად მიიღეს. ასე რომ, დამნაშავე სწორედ აქციის მონაწილე 8000 კაცი გამოდის".**

მიუხედავად საკუთარი უდანაშაულობის ასეთი რწმენისა, "ეროვნულები", გამოძახების შემთხვევაში, პროკურატურაში მისვლაზე უარს არ ამბობენ. ამასთან ერთად კი არც საპროტესტო აქციების შეწყვეტას აპირებენ. თვის ბოლოსთვის შეიძლება, არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ დაწყებული აქცია, უკვე თავად არჩევნების საწინააღმდეგო პროტესტში გადაიზარდოს, **"რადგან გაყალბებული არჩევნების ჩატარებას არჩევნების არჩატარება სჯობს",** - ამტკიცებენ გურამ აბსანძე და ნოდარ ნათაძე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათაძემ ძალზე სერიოზულად გააფრთხილა ხელისუფლება, რომ **"გაყალბებული არჩევნების შედეგს "ეროვნულები" არ სცნობენ და სახელმწიფოს მშენებლობას ნულოვანი მდგომარეობიდან დაიწყებენ."** როგორც ჩანს, ეროვნული "თანხმობის ბლოკის" მუქარამ სახელმწიფო კანცელარიამდე დროულად მაინც არ მიაღწია. კახა იმნაძე გუშინ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ **"პრეზიდენტმა სამართალდამცავი ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორაგანოებისგან მთელ ქვეყანაში სამართალდარღვევათა აღკვეთა და სანიმუშო წესრიგის დამყარება მოითხოვა, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში."**

ხელისუფლების გარდა, გუშინ ბლოკის ლიდერები ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შემოსწყრნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა სიებში არსებულ დარღვევებზე ყველა საუბრობს, ფაქტია, რომ ჩვენს საპროტესტო აქციას არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ შემატებიაო, - ამხელენ "ფსევდოოპოზიციას" აბსანძე და მისი თანამოაზრეები. მათი აქციის შალვა ნათელაშვილისეული შეფასება კი, მათი აზრით, საკმაოდ მიაგავს სახელისუფლებო ბლოკის პოზიციას. თუმცა, "ეროვნულებიდან" ის უკვე არავის გახსენებია, რომ არჩევნების გადადების იდეა, მათთან ერთად, მთავარ "სოციალისტ" ვახტანგ რჩეულიშვილსაც გაუჩნდა.

# მორიგი ნადირობა კუდიანებზე საქართველოში

პირველი გვერდიდან

შესაძლებელი იყო თუ არა ამ სკანდალის თავიდან აცილება? - კითხვა, რაღა თქმა უნდა, რიტორიკულია, რადგან პასუხი ისედაც ყველასათვის ნათელია – მისი თავიდან აცილება არა თუ შეიძლებოდა, არამედ აუცილებელიც იყო. მით უფრო, რომ ეს მხოლოდ იმ რამდენიმე ორგანოს კომპეტენციაში შედის, რომელიც, უშუალოდ, საქართველოს პრეზიდენტს ექვემდებარება. ამის მიუხედავად, არჩევნებამდე ზუსტად ოთხი დღით ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისია ხმამაღლა აცხადებს, რომ სიების დაზუსტებას მხოლოდ ახლა იწყებს. პრეზიდენტი კი დუმს.

### ვის სჭირდება არჩევნების გაყალბება?

ბუნებრივია, იმას, ვისაც მასში გამარჯვების იმედი არ აქვს და მხოლოდ საკუთარ ხელთ არსებულ ადმინისტრაციულ რესურსებს ეყრდნობა. ასეთი ძალა კი დღეს საქართველოში მხოლოდ ერთია – სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის".

ისევე, როგორც ნოდარ დუმბაძის ზურიკელა ვაშალომიძისათვის სოდის მიღების მრავალი ხერხი არსებობს, ასევე ხელისუფლებისთვისაც არჩევნების გაყალბების საკმაოდ ბევრი მეთოდია ცნობილი. მათ შორის პირველ ადგილზე ამომრჩეველთა სიებია.

იგი წლების განმავლობაში ამ მეთოდს წარმატებით იყენებდა. მართალია, დღეს სახელმწიფო მინისტრი და სხვა მაღალჩინოსნები თითს ზურაბ ჟვანიას გუნდისაკენ იშვერენ და ამით პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ, მაგრამ პრობლემა გაცილებით ღრმაა – არჩევნების გაყალბება სახელმწიფოს მიერ აღებული კურსია და უშუალოდ შემსრულებელზე მეტად, ის სახელმწიფო მანქანაა დამნაშავე, ვინც ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას ამის საშუალებას აძლევდა.

საინტერესოა, უკითხავს თუ არა საქართველოს პრეზიდენტს, რამდენი ადამიანი, რამდენი ამომრჩეველი ცხოვრობს საქართველოში? ფლობს თუ არა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა ზუსტ მონაცემებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე? და თუ არა, ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეების არც რაოდენობა და არც მათი სოციალური მდგომარეობა არ აინტერესებს? რაღა თქმა უნდა, ესეც რიტორიკული შეკითხვებია, რადგან დიდი ხანია, პასუხები ყველამ შესანიშნავად ვიცით.

საერთო სურათი წლიდან წლამდე არ იცვლება – ნებისმიერი არჩევნების წინ სახელისუფლებო მანქანა არჩევნების გასაყალბებლად ემზადება. თუმცა, ეს მზადება დღემდე ასე ღიად, ასე აშკარად არასდროს არ მიმდინარეობდა. დღეს წინასაარჩევნო მაქინაციების გამჭვირვალობა, როგორც იტყვიან, სახეზეა.

### რა სარგებლობა მოაქვს ამომრჩეველთა სიებს

პირდაპირი. რაც უფრო მეტია მასში გაყალბებული მონაცემები, მით უფრო ადვილია მისით მანიპულირება. სამწუხაროდ, დღემდე, ამომრჩეველთა პასიურობის წყალობით, ეს მეთოდი ყოველთვის ამართლებდა. რეალურ ამომრჩეველთა გვერდით, ყოველთვის იყვნენ მკვდარი სულები, გარდაცვლილები, არარსებული პიროვნებები. შედეგად, იზრდებოდა ამომრჩეველთა რაოდენობა; შესაბამისად, ხელოვნურად მცირდებოდა იმ პარტიათა შედეგები, რომლებიც არ ფლობდნენ გაყალბების მექანიზმებს; ტრიალებდა საარჩევნო კარუსელები და მარაოები, სპეციალურად ამისთვის თითოეულ უბანზე იქმნებოდა დამატებითი სიები და ა.შ. მომკილი მოსავალი კი, როგორც წესი, ხელისუფლების აქტივებში იყრიდა თავს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები – პრეზიდენტის რწმუნებულები, გამგეობები, პოლიციის განყოფილებების უფროსები.

როგორც ჩანს, ამ არჩევნებზეც სწორედ ეს სცენარი უნდა ამუშავებულიყო. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ზეწოლისა და ოპოზიციური პარტიებისა და ამომრჩეველთა აქტიურობის გამო საჭირო გახდა, შექმნილიყო იმის ილუზია, რომ ყველა წინა არჩევნების გაყალბებაში ხელისუფლების მაღალჩინოსნებს არანაირი წვლილი არ მიუძღოდათ და ყველაფერში დამნაშავე მხოლოდ ჟვანია-სააკაშვილის გუნდი იყო.

### ფარსი

ხელისუფლების მხრიდან თვალებში ნაცრის შეყრის პროცესი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის პარალელურად, საქართველოში ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვის დადგენასა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალ წესზე ე.წ. "ცაცანაშვილის ქვეკომისიამაც" დაიწყო მუშაობა. ორივე ჯგუფი პარლამენტში სისტემატურად იკრიბებოდა და, დაახლოებით, ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებს იღებდა, მაგრამ ყველაზე პარადოქსული ის იყო, რომ მათ ერთმანეთის საქმიანობის შესახებ ძალზე ცოტა რამ იცოდნენ.

ცნობისთვის: პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ ამ ქვეკომისიას იმდენად რთული და ძნელად დასამახსოვრებელი სახელწოდება ჰქონდა, რომ, უბრალოდ, "ცაცანაშვილის ქვეკომისიად" იხსენიებდნენ. თავად განსაჯეთ: მას "საქართველოს საკონსტიტუციო საკითხთა შემსწავლელი და წინადადების შემმუშავებელი კომისიის საარჩევნო სისტემის სრულყოფის თაობაზე წინადადებების შემსწავლელი ქვეკომისია" ეწოდებოდა.

მოგვიანებით, ცაცანაშვილის ქვეკომისია პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტს იღებს, რომელიც ასე ჟღერს:

"ამომრჩეველთა სიების შედგენა-დაზუსტების მიზნით, პირველ ივნისამდე თვითმმართველობისა და მმართველობის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა თვითმმართველობის ერთეულების მიხედვით უზრუნველყონ რეგისტრაციის შესაბამისად, ამომრჩეველთა მონაცემების შედგენა".

და კიდევ: ჯერ კიდევ იმ დღეებში ცხადი გახდა, რომ პოლიტიკური პარტიები ამ ქვეკომისიას არ ენდობოდნენ. პარლამენტი საერთოდ არ ინტერესდებოდა მისი საქმიანობით. თავის მხრივ, არც ცაცანაშვილის ქვეკომისია იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობისადმი. თავად პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ამას შემდეგნაირად ხსნიდა: ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვის დადგენა აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა და პარლამენტი ამ საქმეში მოგვიანებით უნდა ჩაერთოსო.

პირველ ივნისს ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად აცხადებენ, რომ სამუშაოები დასრულებულია და ახლა ჯერი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზეა. პარალელურად, ცენტრალური საარჩევნო კომისია აფორმებს ხელშეკრულებას არასამთავრობო ორგანიზაცია IFES-სთან, რომელმაც ამომრჩეველთა კომპიუტერული ბაზა უნდა შექმნას და იგი ცესკო-ს ვებ-გვერდზე განათავსოს. ამის შემდეგ კი სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, აღარ აქტიურობენ.

თავის მხრივ, IFES-ი საინფორმაციო ბანკში იმ მონაცემების შეტანას იწყებს, რომელსაც მას ცესკო აწვდის. არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე კი ირკვევა, რომ ეს მონაცემები, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ხელისუფლება კი პასუხისმგებლობას იხსნის და აცხადებს, რომ მონაცემები IFES-მა გააყალბა... თუმცა, მრავალ კითხვაზე პასუხი ჯერაც გაუცემელია – რა მონაცემები გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცესკო-ს, სად დაიკარგა ის კომპაქტდისკი, სადაც თბილისის ამომრჩეველთა მონაცემები იყო შეყვანილი, რატომ აღარ დაინტერესებულა შინაგან საქმეთა სამინისტრო ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენით?

### ჩაშლილი მიზანი

შინაგან საქმეთა სამინისტრო საარჩევნო სიების დამახინჯებისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა აცხადებს, რომ სამინისტრომ თავის დროზე საარჩევნო სიების შედგენასთან დაკავშირებით, ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა დაფიქსირებისთვის, ტიტანური შრომა გასწია და ცესკო-ს რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ნუსხა გადასცა. **"ხოლო, სად მოხდა აღნიშნული ჩამონათვალის დამახინჯება, ეს გამოძიებით უნდა გაირკვეს,"** - აცხადებს მინისტრის მოადგილე.

თოდუას თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული ნუსხა საარჩევნო სიები არ არის. **"მას სხვადასხვა უწყებების მიერ დაზუსტებული მონაცემები უნდა დამატებოდა და მათთან შედარება უნდა მომხდარიყო. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ რეალურ ვითარებასთან მაქსიმალურად დაახლოებული საარჩევნო სია მიგვეღო,"** – ახცადებს სამინისტროს მაღალჩინოსანი. ცენტრალური საარჩევნო კომისიაც უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ კომპიუტერული ბაზა არაზუსტია და გამოსავალი მხოლოდ ერთადერთია – თავიდან დაიწყოს მუშაობა ამომრჩეველთა სიების დასადგენად.

და ეს განცხადება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კეთდება.

ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ამომრჩეველთა და ოპოზიციის აქტიურობა რომ არა, არჩევნები იმ სიებით გაიმართებოდა, რომელსაც დღეს სახელისუფლებო წრეები ასე აქტიურად იწუნებენ. შესაბამისად, გაყალბების ალბათობაც ძალზე მაღალი იქნებოდა.

### სიების თავიდან შედგენა - ერთადერთი გამოსავალი?

ახალი საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოში გაუქმებულია დამატებითი სიების პრაქტიკა. ამასთან, აუცილებელ ნორმად შემოდის ამომრჩეველთა მარკირების პროცედურა. ერთი შეხედვით, კანონის ამ ორ მოთხოვნას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. და მაინც: ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პრეზიდენტი სასწრაფოდ იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სხდომას და განსახილველად მხოლოდ ერთ საკითხს სთავაზობს – შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კოდექსის გარდამავალ დებულებებში ჩაიდოს მუხლი, რომლის თანახმად, მხოლოდ ამ არჩევნებზე დასაშვები იქნება დამატებითი სიების პრაქტიკის აღდგენა. მით უფრო, რომ ამომრჩეველი მარკირებული იქნება და უამრავი დამკვირვებლის თვალწინ საარჩევნო კარუსელების დატრიალება ძალზე გაჭირდება.

საინტერესოა, რომელი პოლიტიკური პარტია წავიდოდა ამ ინიციატივის წინააღმდეგ? ალბათ, არც ერთი. ამის მიუხედავად, პრეზიდენტი ოლიმპიურ სიმშვიდეს იჩენს და ცესკო-ს მოქმედებისთვის სრულ კარტ-ბლანშს აძლევს.

არჩევნებამდე ოთხი დღე რჩება. საარჩევნო სიები კი მხოლოდ ახლა მოწმდება...

# საბაჟოს შეფი მოსალოდნელ რეფორმებზე საუბრობს



საბაჟოს ხელმძღვანელს საკვალიფიკაციო ტესტირების იმედი აქვს.

თამარ ივანიძე

**"საბაჟო-საგადასახადო სისტემების მიერ 2004 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის — 440 მილიონი ლარის ამოღება იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ საბაჟოზე მიმდინარე რეფორმები სრულად განხორციელდება,"** - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელმა დავით თარხან-მოურავმა.

საბაჟოს შეფი სტრუქტურულ რეფორმაში გულისხმობდა ახალი საბაჟო კოდექსის შექმნას, მებაჟეებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის ჩამოყალიბებასა და მათთვის უფლებამოსილების გაზრდას.

მას მომავალი ბიუჯეტის პარამეტრების შესრულებისკენ გადასადგმელ ნაბიჯად მიაჩნია საბაჟოს მოხელეთა სახელფასო უზრუნველყოფაც.

მისი თქმით, საბაჟო დეპარტამენტში სასწრაფოდ გადასაწყვეტია შრომის ანაზღაურების საკითხი. **„თუ საბაჟო ორგანომ არ მიიღო მის მიერ მობილიზებული თანხების 15 პროცენტი, ის ვერ შეძლებს დაკისრებული ფუნქციების ნორმალურად შესრულებას, განსაკუთრებით - საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული მაჩვენებლების ზრდის პირობებში",** — განაცხადა დავით თარხან-მოურავმა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ასეთი მექანიზმი მუშაობდა საგადასახადო დეპარტამენტშიც (დავით სალარიძის ხელმძღვანელობის პერიოდში) და როგორც საგადასახადო ინსპექციის იმჟამინდელი თანამშრომლები აცხადებდნენ, კორუფციაში ჩართვის მოტივაცია ჩვეულებრივ ინსპექტორს გაცილებით ნაკლებად ჰქონდა.

საბაჟოს შეფს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია თანამშრომელთათვის ხელფასების ზრდა. მისი თქმით, საბაჟოს მიერ ამოღებული თანხის 7 პროცენტი თანამშრომელთა ხელფასებს უნდა მოხმარდეს.

სიახლეა ასევე ის, რომ საბაჟო დეპარტამენტში უახლოეს ხანში დასრულდება ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის ჩამოყალიბება. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა განაცხადა, ჯერჯერობით, შესამუშავებელია შესაბამისი სტრუქტურა, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საშტატო ერთეულები.

**"სისტემა დაკომპლექტდება შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე მაღალპროფესიონალი სპეციალისტებით. სპეციალისტებს კი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შეარჩევენ, რომელიც დეპარტამენტში დეკემბერში გაიმართება. ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის უფროსს ფინანსთა მინისტრი ნიშნავს, დანარჩენ თანამშრომლებს კი საბაჟო დეპარტამენტი",** - აცხადებს თარხან-მოურავი.

საბაჟოს ხელმძღვანელს საკვალიფიკაციო ტესტირების იმედი აქვს. მას ევროსაბაჟოს ექსპერტები წაუძღვებიან. თარხან-მოურავის თქმით, შესაძლოა, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურში საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებიც დაინიშნონ; ტესტირებაში მონაწილეობის მიღება კი შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ყველა მსურველს შეეძლება.

*მონიტორინგი*

# საპენსიო დავალიანება იზრდება

წინა კვირას სოციალური ფონდის ხარჯებმა შეადგინა 9,7 მილიონი ლარი; მათ შორის - 4,8 მილიონი ლარით დაფინანსდა პენსიები, ხოლო 4,9 მილიონი ლარით - ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები. როგორც იქნა, დასრულდა მაისის თვის პენსიების დაფინანსება. ივნისის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 4,9 მილიონი ლარია, ივლისში - 9,8 მილიონი ლარი, აგვისტოში - 10,1 მილიონი ლარი, სექტემბერში 13,7 მილიონი ლარი, ხოლო ოქტომბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა. დაიწყო ძალოვანი სტრუქტურების სექტემბრის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 1,2 მილიონი ლარია. ხოლო ოქტომბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

**26 ოქტომბრისათვის უმწეოთა სოციალური დახმარება და რეგრესული პენსიები დაფინანსებულია მხოლოდ აგვისტოს ჩათვლით. თუმცა ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯერ კიდევ სექტემბერში გადაირიცხა უმწეოთა სოციალური დახმარებისა და რეგრესული პენსიების ტრანსფერები.**

**ასეთი დაგვიანებები დამახასიათებელია სოციალური ფონდისათვის. კერძოდ, აპრილის თვის რეგრესული პენსიების ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაირიცხა 19-23 მაისს, ხოლო სოციალურმა ფონდმა იგი დააფინანსა 9-13 ივნისს; უმწეოთა სოციალური დახმარების ივლისის ტრანსფერი გადაირიცხა 11-15 აგვისტოს, ხოლო სციალურმა ფონდმა დააფინანსა 30 აგვისტო - 5 სექტემბრის შუალედში.**

**როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად ჩამორჩენა თითქმის ერთ თვეს შეადგენს. რას მოხმარდა 1 მილიონ 265 ათასი ლარი? აღნიშნული მონაცემები ეყრდნობა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსა და სოციალური დაზღვევის ფონდის მიერ ოფიციალურად მოწოდებულ ინფორმაციას. ამ საკითხის უფრო დეტალური შესწავლა ნათელს მოჰფენდა არსებულ მდგომარეობას.**

უმძიმესი მდგომარეობაა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაშიც. 26 ოქტომბრისათვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ხარჯების ცხრა თვის (?!) გეგმა დაფინანსებულია 85,1 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის პროგრამა - 55,1 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა - 49,3 პროცენტით.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 26 ოქტომბრისათვის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | %<br>[illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 54,862 | 46,880 | 85.1% |
| [illegible] | 10,755 | 7,393 | 68.7% |
| [illegible] | 17,341 | 15,[illegible] | 88.[illegible]% |
| [illegible] | 5,700 | 5,366 | 94.1% |
| [illegible] | 918 | 901 | 98.2% |
| [illegible] | 3,068 | 1,698 | 55.1% |
| [illegible] | 1,035 | 209 | 20.1% |
| [illegible] | 1,425 | 1,029 | 72.2% |
| [illegible] | 150 | 88 | 58.7% |
| [illegible] | 450 | 361 | 80.1% |
| [illegible] | 3,945 | 1,946 | 49.3% |
| [illegible] | 290 | 201 | 69.[illegible]% |
| [illegible] | 1,560 | 875 | 55.9% |
| [illegible] | 1,580 | 372 | 23.6% |
| [illegible] | 280 | 21 | 7.4% |
| [illegible] | 515 | 480 | 93.2% |

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."
IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY ... Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. ... 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65
სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30
E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

# "იუკოსის" თავსატეხი

პირველი გვერდიდან

მაგრამ ამავე დროს არსებობენ სხვა ოლიგარქები - ვლადიმირ პოტანინი, მიხაილ ფრიდმანი და რომან აბრამოვიჩი. ისინი პოლიტიკურ თამაშებს მიღმა დარჩნენ და მთელი ყურადღება გადაიტანეს 1998 წლის ფინანსური კრახის შედეგად დაზიანებული საკუთარი იმპერიების აღდგენაზე. შედეგად მათ არავინ ახლო ხელი.

ამ თეორიის მიხედვით, ხოდორკოვსკის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ღიად აფინანსებდა პოლიტიკურ პარტიებს და ეს მაშინ, როცა დეკემბერში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული, მომავალ წელს კი საპრეზიდენტო. ალბათ, სწორედ ამან ითამაშა დიდი როლი იმ გარემოებაში, რომ "იუკოსის" თავკაცი 2008 წლის არჩევნებისას პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნევა. პუტინს კი შემცვლელად სერგეი ივანოვი ეგულება და, ალბათ, არაფერზე დაიხევს უკან, რათა გაძლიერებულ-აღდგენილი რუსეთის იმპერია მას დაუტოვოს.

არსებობს მეორე თეორიაც. ამ თეორიის მიხედვით, პუტინი პრეზიდენტად დასვა ბორის ელცინმა თავისი ოჯახის წევრებისა და ოლიგარქების კლანის (მათ შორის - ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩის) რჩევით. ეს ნიშნავს, რომ პუტინი, ასე თუ ისე, მაინც "ოჯახის" წარმომადგენელია. მაგრამ ამავე დროს იგი სხვა პოლიტიკურ კლანთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული, მისი ფესვები "ოჯახზე" უფრო მეტად მშობლიური სანკტ-პეტერბურგის სპეცსამსახურებშია გადგმული. ერთ დროს იგი სუკშიც მუშაობდა და პეტერბურგის ადმინისტრაციაშიც. სუკი (როგორც ყველა სპეცსამსახური) კანსაკუთრებული ფენომენია. იქაური თანამშრომლები მტკიცედ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი და ამ კავშირს, უმეტეს შემთხვევაში, მთელი ცხოვრების განმავლობაში ინარჩუნებენ. პუტინის შემთხვევა ამ წესს ადასტურებს - დღეს რუსეთის მთავრობის წამყვანი პოსტების უმრავლესობა ყოფილ სუკელებს (ან სამხედროებს) უკავიათ.



ხოდორკოვსკის შეცდომა ის იყო, რომ იგი ღიად აფინანსებდა პოლიტიკურ პარტიებს.

მოკლედ, მეორე თეორიის მიხედვით, ხოდორკოვსკის ებრძვის ხელახლა აღზევებული სუკის კლანი. რა მოტივები შეიძლება ჰქონდეს ამ კლანს? შესაძლოა, მას სურს, ხელთ იგდოს (ან დაიბრუნოს) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგული ეკონომიკური და ფინანსური ძალაუფლება და ახლა ამ მიზნით ხოდორკოვსკის იმპერიას მისდგა, რომელსაც მთელ რუსეთში ბადალი არ მოეძებნება. შესაძლოა, მათ სურთ რუსეთის ეკონომიკური განვითარების ბერკეტები ბიზნესმენებს გამოაცალონ და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარონ. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ორივე ეს მოტივი ერთად მუშაობდეს. თუკი ეს ვერსია უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე პირველი, მაშინ მალე იმავე აბრამოვიჩსა და ფრიდმანსაც მისდგებიან.

ერთი მომენტიც არ უნდა გამოგვრჩეს: ყოფილ სუკელებს ნამდვილად არ უნდა მოსწონდეთ "იუკოსის" წილის "ექსონმობილისათვის" მიყიდვის პერსპექტივა. საერთოდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში "იუკოსის" გაძლიერებას ყველა სპეციალისტი პუტინისათვის დიდ საფრთხედ მიიჩნევდა. კომპანიამ აშკარად დაჩაგრა პრეზიდენტის ფავორიტი ნავთობგიგანტი "ლუკოილი." ჯერ იყო და, არ გავიდა იაპონიისათვის ნავთობის მიწოდების პროექტი, რომელსაც "ლუკოილი" ლობირებდა და სამგიეროდ მოწონებულ იქნა რუსეთიდან ჩინეთში ნავთობსადენის მშენებლობის იუკოსისეული პროექტი. შემდეგ "იუკოსმა" "სიბნეფტი" გადაყლაპა, რისი წყალობითაც არა მხოლოდ საბოლოოდ ჩამოიტოვა უკან "ლუკოილი," არამედ მსოფლიოს ნავთობგიგანტების ხუთეულში შევიდა. როგორც ჩანს, ამ გარიგების გამოცხადება ბოლო წვეთად იყო კრემლისათვის და "იუკოსზე" ნადირობაც გაჩაღდა, რასაც დასაბამი მისცა კომპანიის გენერალური დირექტორის, პლატონ ლებედევის დაპატიმრებამ.

ასეთ ვითარებაში "ექსონმობილისგან" წინადადება ხოდორკოვსკისათვის, ალბათ, მისწრება იყო. თუკი ამერიკული კომპანია "იუკოსში" წილს შეიძენდა, მას ველარავინ ახლებდა ხელს. "იუკოსის" საქმეში ვინ აღარ ჩაერია: პუტინი თვით ჰენრი კისინჯერმაც კი მოინახულა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ხოდორკოვსკი მას ფულს უხდიდა და ამერიკული დიპლომატიის ყოფილი ვარსკვლავი ყველანაირად ეცადა, დაერწმუნებინა ახალი "ცარი," რომ მას ხელი არ შეეშალა "ექსონმობილისა" და "იუკოსის" გარიგებისათვის.

რუსეთის ბაზარზე ამერიკელთა შემოსვლის პერსპექტივამ კიდევ უფრო გააღიზიანა სუკის კლანი. მართალია, რუსულ სანავთობო სექტორს ჰაერივით ესაჭიროება ინვესტიციები და მის გარეშე ნავთობწარმოება ამ ქვეყანაში შეიძლება დაახლოებით 10 წელიწადში გაჩერდეს (გათვლებით, სრული მოდერნიზაციისათვის რუსული ნავთობმრეწველობა ნახევარ ტრილიონამდე დოლარს ითხოვს). მაგრამ ჩანს, სუკის კლანი ხვალინდელ დღეზე ნაკლებად ფიქრობს და, რაც მთავარია, ამერიკა კვლავაც უმთავრეს გამაღიზიანებლად რჩება იმ საბჭოური მენტალიტეტის ხალხისათვის, რომლებიც კრემლში ისევ მომრავლდნენ. საბჭოური მენტალიტეტით კვლავაც შეპყრობილია რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი და ამიტომ წინასაარჩევნოდ პუტინს და მის მომხრეებს უცხოელების შემოშვება რუსული ნავთობის სექტორში (რომელიც ქვეყნისათვის უმთავრესი შემოსავლის წყაროა) დიდად არ აწყობთ.

კიდევ ერთი მიზეზი: "იუკოსი" ყველასგან გამოირჩევა თავისი საქმიანობის გამჭვირვალობით და ყველაზე უფრო აქტიურად ნერგავს ბიზნესში დასავლურ სტანდარტებს. არც ეს მოსწონთ კრემლის მამებს, რომლებიც საბჭოურ კონსპირაციასა და კულუარულ გარიგებებს არიან დაჩვეულნი.

ასეა თუ ისე, 11 სექტემბრის შემდეგ დასავლეთის უპირველეს მეგობრად გამოცხადებულმა პუტინმა კვლავ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ იგი ისევ თვითმპყრობელ "ცარად" რჩება, მისი ქვეყანა კი შუა საუკუნეების იმპერიად, რომელსაც ბევრი უკლია თანამედროვე ბიზნესსტანდარტებამდე; დემოკრატიულ ფასეულობებზე ხომ საუბარი აღარაა.

# ვის ხელში აღმოჩნდება სასმელი წყლის მარაგი?

ეთერ მამულაშვილი

*საზოგადოებისგან ფარულად კიდევ ერთი სახელმწიფო სააქციო საზოგადოება იქმნება, რომლის დაქვემდებარებაში მოექცევა ქვეყნის წყლის რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა. სავარაუდოდ, საქართველოს წყლის საერთაშორის კორპორაცია წლის ბოლომდე უნდა დაფუძნდეს. მისი საწესდებო კაპიტალი დაახლოებით 30 მილიონი ლარით განისაზღვრება. კორპორაციისთვის წესდებით განსაზღრულ პრიორიტეტებს შორის სასმელი წყლის ექსპორტიც არის მოხსენიებული. ეს მაშინ, როცა კახეთის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სულ ცოტა ათი წელიწადია, რაც .სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი.*



"მთელი სასმელი წყალი რამდენიმე პირის ხელში აღმოჩნდება."

დაახლოებით ათი დღის წინათ ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი შევიდა, რომელიც ამ უკანასკნელს 1 ნოემბრამდე წყლის საერთაშორისო კორპორაციის დაფუძნებას ავალებდა. სამინისტრო, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოსთან ერთად, დღეს ამ დავალებაზე აქტიურად მუშაობს. ზემოთ ხსენებული ორივე უწყება წყლის საერთაშორისო კორპორაციის დაარსების წინააღმდეგი არ არის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილებას, რომელიც კორპორაციის წესდებაში იქნა შეტანილი.

კორპორაციას რამდენიმე ძირითადი ამოცანა დაეკისრება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და სასმელად გამოსაყენებელი ზედაპირული წყლების მოპოვება, დამუშავება, ჩამოსხმა, რეალიზაცია, მარკეტინგი და მათთან დაკავშირებული ყველა სხვა საქმიანობის ორგანიზება და რეგულირება, მათ შორის შესაბამისი ინფრასტრუქტურის – მილსადენების, ჩამოსასხმელი ქარხნების, წყლმომარაგების სისტემებისა და კომუნიკაციების შექმნა და რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის აქციათა 100 პროცენტი სახელმწიფო საკუთრება იქნება. როგორც კორპორაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, საქართველოს სახელმწიფო გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე სანდრო თვალჭრელიძე განმარტავს, წესდებით, კორპორაციას აკრძალული ექნება აქცითა თუნდაც ერთი პროცენტის ნებისმიერი ფორმით გასხვისება.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის წინააღმდეგი გამოდის და მას "მორიგ სახელმწიფო ავანტურად" აფასებს. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო "თემთა კავშირი თბილისი", რომელმაც გუშინ მერიის შენობაში საკმაოდ ხმაურიანი პრესკონფერენცია მოაწყო. "თემთა კავშირი თბილისი" მიიჩნევს, რომ წყლის კორპორაციის დაფუძნება არის კიდევ ერთი მცდელობა კლანური ინტერესების დაკმაყოფილებისა. **"ამის მერე მთელი სასმელი წყალი რამდენიმე პირის ხელში აღმოჩნდება. ის იქნება ბატონ-პატრონი და ჭიქა წყალსაც კი მამასისხლად მოგვყიდის",** - აცხადებენ "თემთა კავშირში".

სხვათა შორის, სასმელი წყალი დღეს კახეთის რამდენიმე რაიონში (და არა მარტო კახეთში) წარმატებით იყიდება. ერთი ლიტრი წყლის ფასი აქ (სეზონის მიხედვით) 1.2-1.5 თეთრამდე მერყეობს. უკანასკნელი ათი წელიწადია, რაც ამ რეგიონში ონკანში მოჩუხჩუხე სასმელი წყალი მოსახლეობას თვალითაც არ უნახავს. სანდრო თვალჭრელიძე გუშინდელი პრესკონფერენციის ავტორთა საპირისპიროდ აცხადებს, რომ წყლის კორპორაციის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ამ ხალხისთვის წყლის მიწოდებაც იქნება.

*მოკლედ*

## სსფ-ს მისიის ვიზიტი დღეს დასრულდება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი დღეს დასრულდება. გუშინ მისიის წარმომადგენლებმა ყველა შესაბამისი თანამდებობის პირი ჩამოიარეს, შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს. დღეისთვის კი დაგეგმილია მისიის ბოლო შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, სამთავრობო მაგიდაზე დაიდება "ჩანაწერი", რომელსაც სსფ-ს ამჟამინდელი შუალედური მისია საქართველოს ხელისუფლებას დაუტოვებს. დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ ფონდი მოითხოვს 2003 წლის ხარჯების შეკვეცას, "აგრობიზნესბანკის" პრივატიზებას, საბაჟო ტარიფების "ოპტიმიზაციას" ანუ შემცირებას და 2004 წლის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების რეალობასთან მიახლოებას, ანუ ასევე შემცირების მიმართულებით გადახედვას.

ფონდის რეკომენდაციების შესახებ დეტალურ ინფორმაციას "24 საათის" ხვალინდელ ნომერში მოგაწვდით.

*24 საათი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** გუშინ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 82-ე ვაჭრობა გაიმართა, სადაც სამი საბროკერო კომპანია მონაწილეობდა. სავაჭროდ წარდგენილი 17 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ სამის აქციები გაიყიდა. მათ შორისაა ს/ს "ჭიათურმანგანუმის", "ხიდმშენის" და უნივერმაღ "თბილისის" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ - 7025 ცალი, ღირებულებამ კი 2639,25 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ნოდარ გობიანიძე "გაზპრომის" შვილობილ კომპანია "გაზექსპორტთან" ხელშეკრულების გასაფორმებლად მოსკოვში ჩასვლას გეგმავს ნოემბრის შუა რიცხვებში. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, ხელშეკრულების პროექტი უკვე მზადაა, ცნობილია მისი რამდენიმე პირობაც. კერძოდ, "იტერასთან" შარშან გაფორმებული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, "გაზექსპორტთან" გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი ქართულ მხარეს ბუნებრივი აირის საფასურის წინასწარ გადახდის ვალდებულებას არ აკისრებს. აირის ღირებულება იგივე რჩება. "იტერას" მსგავსად "გაზექსპორტი" "თბილგაზს" 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს საქართველოს საზღვარზე 60 დოლარად მიჰყიდის. ხელშეკრულების არარსებობის მიუხედავად, "გაზექსპორტი" თბილისს ბუნებრივ აირს 1 ოქტომბრიდან აწვდის. ამჟამად დედაქალაქი 500 ათას კუბურ მეტრ აირს მოიხმარს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში თხილისა და კაკლოვანი კულტურების სანერგე მეურნეობათა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში აღნიშნული კულტურების განვითარების ეროვნული სტრატეგია შემუშავდება, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ზრდას ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრისათვის. პროექტის ღირებულება 283 ათასი დოლარია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატა აზიის ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საბჭოს (ASOSAI) სრულუფლებიანი წევრი გახდა. 1992-1993 წლებიდან საქართველოს კონტროლის პალატა მსოფლიოს ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საბჭოსა (INTOSAI) და ევროპის საბჭოს (EUROSAI) წევრია. **ინტერ-პრესი**



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, ვინც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეიკტორს.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



central@procreditbank.ge
vake@procreditbank.ge
saburtalo@procreditbank.ge
stationsquare@procreditbank.ge
kutaisioutlet@procreditbank.ge
zugdidi@procreditbank.ge
gori@procreditbank.ge
marneuli@procreditbank.ge
gldani@procreditbank.ge
varketili@procreditbank.ge
lilo@procreditbank.ge
kutaisi@procreditbank.ge
poti@procreditbank.ge
batumi@procreditbank.ge
batumioutlet@procreditbank.ge
kobuleti@procreditbank.ge

# არადემოკრატიული ქვეყნები თამაშში არ მონაწილეობენ

შოთა უტიაშვილი

*"24 საათის" სტუმარია ბრიუს ჯექსონი, "გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" პრეზიდენტი და "აშშ-ს ნატო-ს კომიტეტის" დამფუძნებელი.*

**- საქართველოზე მუშაობა თქვენ, დაახლოებით, ერთი წლის წინ დაიწყეთ. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს საქართველო უფრო ახლოსაა ნატო-სთან, ვიდრე ერთი წლის წინ?**

- ერთი რამ აშკარად შეიცვალა. აღარავინ საუბრობს მხოლოდ ნატო-ში ინტეგრაციაზე, საუბარია ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციაზე. მეორეც, საუბარია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ 14 ქვეყნის ინტეგრაციაზე 170-მილიონიანი მოსახლეობით, რომლებიც პარალელური გზით მიდიან წინ. მათგან ზოგისთვის ევროკავშირია პრიორიტეტი, ზოგისათვის - ნატო, ზოგი ჯერ მხოლოდ სტაბილურობის პაქტით კმაყოფილდება.

ცხადია, საერთაშორისო საზოგადოება წელს ნაკლებად ფიქრობდა ამ რეგიონზე. ყველა ერაყით იყო დაკავებული.

ბევრი რამის გაკეთება ვერც რეგიონის ქვეყნებმა მოახერხეს. სამხრეთ კავკასიაშიც წელს დიდი შიდაპოლიტიკური აქტივობის წელი იყო: კოჩარიანის არჩევნები, ალიევის ინფარქტი, არჩევნები აზერბაიჯანში, წინასაარჩევნო პარალიზი საქართველოში. ეს ყველაფერი ბევრის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა

თუმცა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა სტრატეგიული გეგმების შემუშავების თვალსაზრისით. ვაშინგტონმაც და ბრიუსელმაც შეიმუშავეს ამგვარი ხედვა "ახალი დემოკრატიების" შესახებ.

**- ეს ოფიციალური დოკუმენტებია?**

- ბრიუსელში – ოფიციალურია. ეს არის სოლანას (ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კოორდინატორი) "სტრატეგიული კონცეფცია" და პროდის (ევროკომისიის პრეზიდენტი) "სამეზობლო ინიციატივა". აშშ-ში კი ამგვარი დოკუმენტი ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა და მას მხარი დაუჭირა თეთრმა სახლმა, ასე რომ, იგი ნახევრად ოფიციალურია.

ამერიკა ეტაპობრივად მიდის ახალ დემოკრატიებთან ურთიერთობისათვის სტრატეგიული კონცეფციის შექმნის აუცილებლობამდე.

რაც შეეხება საქართველოს, მისთვის იყო პლიუსებიც და მინუსებიც. საქართველომ ორ ფორუმზე წარადგინა თავისი მიღწევები სამხედრო რეფორმის სფეროში, რამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამხედრო რეფორმა ყოველთვის წინ უსწრებს სამოქალაქო საზოგადოების რეფორმას, რადგან მისი გაკეთება უფრო ადვილია, სამხედროებს შეგიძლია უბრძანო.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია: სამხედროების კონსოლიდაცია, მათი რაოდენობის შემცირება და ასე შემდეგ, მაგრამ რაც მთავარია, ბორბალი ტრიალებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ განზომილებას, აქ ვითარება უფრო სტატიკურია. იზრდება შეშფოთება იმის გამო, რომ საქართველო ვერ ახერხებს წინსვლას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ქართველი პოლიტიკოსები უფრო შეშფოთებულნი ჩანან, და ისინი მეტად უფრთხიან რუსეთს. ეს უარყოფითი მხარეა. იმედი, რომ არჩევნების შემდეგ საქართველო უფრო თვითდაჯერებული იქნება და პრობლემების გადაჭრას შეუდგება.

**- მაგრამ, თქვენს მიერ ხსენებულ პროდის ინიციატივაში საქართველო ვერ მოხვდა.**

- პროდის ეს გადაწყვეტილება იყო უსამართლო, მცდარი და იგი უნდა გამოსწორდეს. ამის გამოსწორება აუცილებელია, რადგან, თუ არა ხარ "სამეზობლო ინიციატივის" წევრი, მაშინ ნატო-ში შესვლის შანსები, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოს ორივე ორგანიზაციასთან ნაყოფიერი თანამშრომლობა შეუძლია. პროდიმ და სოლანამ აღიარეს, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო და ისინი მზად არიან, გადასინჯონ ეს გადაწყვეტილება, თუ კავკასიის ქვეყნები დაამტკიცებენ, რომ არიან დემოკრატიული სახელმწიფოები, შეუძლიათ ერთმანეთთან თანამშრომლობა და აღწევენ პროგრესს იმ საკითხებში, რომლებიც ევროკავშირს აინტერესებს.

**- როდესაც ჩვენ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, ლაპარაკია მხოლოდ საქართველოს ინტეგრაციაზე თუ სამივე სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოსი?**

- ჩვენ მხარს ვუჭერთ რეგიონულ მიდგომას. ბოლო პერიოდში არც ერთი ქვეყანა არ წევრიანდება მარტო.

**- ხომ არ შეუქმნის ეს საქართველოს დამატებით პრობლემებს სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტის გამო?**

- ისინი პირიქით ამბობენ, რომ საქართველო უქმნის მათ პრობლემებს, რუსეთთან მოუგვარებელი საკითხების გამო. ყველა სხვისკენ იშვერს თითს.

თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს ის ფაქტი, რომ სომხეთი ესაზღვრება ნატო-ს წევრ თურქეთს, რომ აზერბაიჯანს უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები გააჩნია, რომ საქართველოს აქვს პოლიტიკური კავშირები და საერთო მიმზიდველობა და მას აქტიურად უჭერენ მხარს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნები.

თუ სამი ქვეყანა გადაწყვეტს რესურსების გაერთიანებას, მაშინ ისინი სერიოზულ კანდიდატურებად იქცევიან. თუ რომელიმე მათგანი გადაწყვეტს, უარი თქვას, ამასაც არა უშავს. ასე მოხდა სლოვაკეთის შემთხვევაშიც.

საქართველო ვერ გამოვა სამხრეთ კავკასიიდან და ვერ გადავა სკანდინავიაში. ამიტომ, მან უნდა აჩვენოს რეგიონული პასუხისმგებლობა და მეზობლებთან დიალოგის სურვილი.

**- რამდენად შეცვალა ერაყის ომმა ვითარება კავკასიაში და რა გავლენას ახდენს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციაზე აშშ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკა?**



ბრიუს ჭექსონი

- ერაყის ომს კავკასიის გეოპოლიტიკურ ვითარებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია, გარდა იმისა, რომ ყურადღება მოგვაკლდა.

რაც შეეხება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას, წელს ის საკმაოდ კარგი იყო. ზაფხულში აშკარად გამოჩნდა, რომ რუსულ დემოკრატიას შავი დღე უდგას. ეს დაადასტურა თავისუფალ მედიაზე თავდასხმამ, მეზობლებისათვის ხელების გადაგრეხვამ (რისი ბოლო მაგალითიც უკრაინა იყო) და ბოლოს – ხოდორკოვსკის დაპატიმრებამ.

დილას დავწერე სტატია "ვაშინგტონ პოსტისათვის", სადაც პუტინის რუსეთის მარცხზე ვსაუბრობ. მაშინ, როდესაც ორმხრივი ურთიერთობები ძალიან სტაბილურია, დასავლეთში რუსულ დემოკრატიას და მეზობლებთან მის ურთიერთობას სულ უფრო ეჭვის თვალით უყურებენ.

**- თქვენ ახსენეთ, რომ საუბარია არა მხოლოდ ნატო-ში, არამედ ყველა ძირითად ევროატლანტიკურ სტრუქტურაში გაწევრიანებაზე. რომელი უსწრებს წინ, ნატო-ში ინტეგრაცია თუ ევროკავშირში?**

- ხშირად ისინი ერთდროულად ხდება. ის სახელმწიფოები, რომლებსაც უსაფრთხოების პრობლემები აწუხებთ, ცდილობენ, ჯერ ეს პრობლემა გადაჭრან. ასე ხდება, მაგალითად, ბალკანეთში. ისეთი ქვეყანა კი, როგორიცაა მოლდოვა, ჯერ ევროკავშირში გაწევრიანებას შეეცდება, უკრაინა ორივეში გაერთიანებას ერთდროულად ცდილობს.

ჯერ არ ვიცით, საით წავა სამხრეთ კავკასია. იმედი გვაქვს, გაზაფხულზე ჩავატარებთ დიდ კონფერენციას ადგილობრივი და ევროპული ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელზეც ამ საკითხებს განვიხილავთ. ბევრ ძალიან ცნობილ ადამიანს, მათ შორის, ჰაველსა და ბზეჟინსკის სურთ ჩამოსვლა.

**- რას უნდა ელოდოს საქართველო ნატო-ს სტამბოლის სამიტისაგან?**

- სტამბოლი არ იქნება მხოლოდ ერთი დღე, ეს მთელი პროცესია. ჯერ იქნება არჩევნები საქართველოში, შემდეგ - კონფერენცია "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში, მიუნხენის კონფერენცია, პრემიერ-მინისტრების შეხვედრა, აპრილში, იმედია, თბილისის კონფერენცია, შემდეგ - კიევი, შემდეგ, ივნისში სტამბოლი – ყველა მათგანზე იქნებიან ევროკავშირისა და ნატო-ს მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც სტამბოლის სამიტის დღის წესრიგზე იმსჯელებენ. პრეზიდენტ შევარდნაძეს ვუთხარი, რომ თითოეულ ამ კონფერენციაზე საქართველოს უნდა ჰყავდეს დელეგაცია, რომელიც ისაუბრებს იმაზე, უკვე რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს. თამაშის წესები ისეთივეა, როგორც ფეხბურთში: საჭიროა მთელი სეზონი ითამაშო, პირდაპირ ფინალში არავინ დაგიშვებს

მეორე, სტამბოლი არ არის მხოლოდ ნატო-ს სამიტი. აქ 55 ქვეყნის ლიდერები შეიკრიბებიან. ამისათვის ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. იმედი გვაქვს, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთი პოზიციით გამოვა. იმედი გვაქვს, მოვაწყოთ 3+1 ფორმატის შეხვედრები ბუშთან, პროდისთან, სხეფერთან (ნატო-ს მომავალი გენერალური მდივანი).

სტამბოლისაგან უნდა ველოდოთ, რომ უკვე რაღაც მინიშნებები იქნება გაწევრიანების შესაძლო თარიღთან დაკავშირებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2009 გონივრული თარიღია. უნდა ვიფიქროთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე და შავი ზღვის ქარტიაზე. კონკრეტულად საუბარი რთულია, რადგან სტამბოლამდე ჯერ შვიდი თვეა. მაგრამ, ამ სამიტზე უკვე იქნება მინიშნებები იმაზე, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ მომდევნოზე.

**- რა გავლენას იქონიებს 2 ნოემბრის არჩევნები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციაზე?**

- არჩევნები გადამწყვეტ როლს ასრულებს. არადემოკრატიული ქვეყნები თამაშში არ მონაწილეობენ. მოხდა ისე, რომ საქართველოში არჩევნები დემოკრატიის ტესტი იქნება. არჩევნები მჭიდროდ უკავშირდება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსაც. ახლა უნდა გამოჩნდნენ ახალი ლიდერები, რომლებიც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობენ.

**- თუ ესმის ეს მთავრობას? ბოლო ხანს მაღალი რანგის ამერიკული დელეგაციები ჩამოვიდნენ, მაგრამ პრაქტიკულად, ხელცარიელნი დაბრუნდნენ უკან.**

- ახალი დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები გადამწყვეტ სიტუაციებში, როგორც წესი, სწორ არჩევანს აკეთებდნენ. არ მესმის, რატომ არ უნდა მოიქცეს თბილისი ისე, როგორც მოიქცა ვილნიუსი, პრაღა, ვარშავა და ა.შ? იმედი მაქვს, რომ 2 ნოემბერს ქართული დემოკრატია გაიმარჯვებს.

**- ხომ არ დაკარგა ინტერესი ევროპამ კავკასიის მიმართ?**

- ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში არსებობს ტენდენცია, რომ მთელი ინტეგრაციის პროცესი აღიქვან, როგორც მოლაპარაკება: "მე მწამს ღმერთის, მაგრამ მინდა, რომ ამაში პაპმა დამარწმუნოს." სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. ეს პროცესი არ არის მოლაპარაკება, იგი უფრო ქორწინებას ჰგავს, საქართველო უნდა ცდილობდეს, მოხიბლოს დასავლეთი.

გულახდილად რომ ვთქვათ, ერთი მილიარდი ადამიანი არ წავა მოლაპარაკებებზე საქართველოსთან. თქვენ ან იზიარებთ მათ ღირებულებებს, ან არა. ისინი თქვენ გამო თავიანთ პოზიციას და სტანდარტებს არ შეიცვლიან. კოპენჰაგენის კრიტერიუმებში და სხვა დოკუმენტებში ეს სტანდარტები ზუსტად არის ასახული.

ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დემოკრატიულ ქვეყანას, რომელმაც ეს კრიტერიუმები შეასრულა და არ მიიღეს. რატომ უნდა იყოს საქართველო ნაკლებ მისაღები, ვიდრე ბულგარეთი ან ესტონეთი?

დღეს არავინ საუბრობს ჩრდილოეთ ევროპის უსაფრთხოების პრობლემებზე. ასეთი რამ აღარ არსებობს. ყურადღების ცენტრში ექცევა კავკასია, ბალკანეთი და ადრიატიკის რეგიონი. მოვიდა დრო, კავკასია პრობლემების რეგიონიდან შესაძლებლობების რეგიონად გადაიქცეს. იმედი მაქვს, 2 ნოემბერი ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნება.

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** როსტოვის ოლქში, "ზაპადნაიას" მაღაროში, 700 მეტრის სიღრმეში კვლავ იმყოფება 13 მაღაროელი. მაშველებმა გუშინ 3,2 სანტიმეტრის დიამეტრის ხვრელის გაჭრა მოახერხეს. ამან მაშველებს წარმატების იმედი ჩაუსახა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მაღარო, სადაც ხვრელი გაჭრეს, ჯერ არ არის წყლით დატბორილი. მაშველები იმედოვნებენ, რომ მაღაროში ჯერ კიდევ ცოცხალია 13 მაღაროელი, თუმცა მათგან, ჯერჯერობით, არანაირი სიგნალი არ ისმის. მაშველები მიწისქვეშ, დაახლოებით სამ მეტრზე აპირებენ ჩასვლას, რათა "ზაპადნაიას" შახტაში გვირაბი გაჭრან. ამ სამი მეტრის გასაჭრელად კი, სულ ცოტა, ორი აფეთქება მაინც იქნება საჭირო. რაც შეეხება წყლის ნაკადს, ორშაბათთან შედარებით, წყალმა აშკარად იკლო და ამჟამად საათში 9-10 სანტიმეტრს შეადგენს. "ზაპადნაიას" მაღაროში ჩასასვლელად სამხედრო-სამთო სამაშველო ნაწილის სამი სპეცჯგუფი ემზადება.

■ ■ ■

**ისრაელი.** ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ მისი ხელისუფლება არ გეგმავს პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერის იასირ არაფატის ლიკვიდაციას. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფატს პასუხისმგებლობა ეხსნება "ათასობით ებრაელის მკვლელობისათვის," - დასძინა შარონმა. "თქვენ შეგიძლიათ, არ ინერვიულოთ. ის ცოცხალია, ჯანმრთელი და საკმაოდ აქტიური იმისათვის, რომ დახოცოს მშვიდობიანი ხალხი," - ირონიული ღიმილით განუცხადა შარონმა ჟურნალისტებს.

როგორც ცნობილია, სექტემბერში ისრაელის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იასირ არაფატის "მოშორების" შესახებ, თუმცა ოფიციალურ თელ-ავივს არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდა "მოშორება" – იზოლაციას, გაძევებას თუ ლიკვიდაციას.

არიელ შარონმა აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ისრაელის არმიამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე განლაგებულ ბლოკ-პოსტს მუდმივი სტატუსი მიანიჭა.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 20-24 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 11 650.3 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 5 144.2 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის სესხზე დარიცხული პროცენტი - 4 394.0 ათასი ლარი;**
■ **ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 697.7 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 52.5 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 927.8 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება - 3 476.3 ათასი ლარი:**
■ ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 300.0 ათასი ლარი;
■ რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 045.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი (დაქვემდებარებებით) - 663.0 ათასი;
■ სახელმწიფო კანცელარია (დაქვემდებარებებით) - 200.0 ათასი;
■ კონტროლის პალატა -102.5 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
■ ცენტრალური საარჩევნო კომისია - 65.8 ათასი ლარი;
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 200.0 ათასი ლარი;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა სექტემბრის თვის შემწეობა) - 21.5 ათასი ლარი;**
**სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდი - 1 800.0 ათასი ლარი;**
■ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები - 500.0 ათასი ლარი;
■ საპენსიო ტრანსფერი - 1 300.0 ათასი ლარი;
**სპეციალური ტრანსფერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს (გენოციდის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება) - 160.0 ათასი ლარი:**
**ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი - 48.8 ათასი ლარი;**
■ პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 20.7 ათასი ლარი;
■ ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიები - 28.1 ათასი ლარი;
**ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 69.2 ათასი ლარი:**
**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის პროგრამები) - 150.0 ათასი ლარი:**
**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 2.0 ათასი ლარი;**
■ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდი (საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ასიგნებათა ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 24 ივლისის N898 განკარგულების თანახმად შ. გეგუჩაძის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება) - 2.0 ათასი ლარი;
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 578.3 ათასი ლარი;**
**კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები - 1.4 ათასი ლარი;**
**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 576.9 ათასი ლარი;**
■ თავდაცვის სამინისტრო - 200.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 100.0 ათასი ლარი;
■ საზღვრის დავის სახელმწიფო დეპარტამენტი - 50.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია-ვიზიტის ხარჯები) - 22.0 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო (ექსტრადიციის ხარჯები) - 4.9 ათასი ლარი;
**სულ ხარჯი: 11 650.3 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 5 144.2 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის სესხზე დარიცხული პროცენტი - 4 394.0 ათასი ლარი;**
■ **სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 697.7 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 52.5 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 927.8 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 578.3 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 578.3 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# კალიფორნიის შტატი უძლიერესი ხანძრის წინააღმდეგ





კალიფორნიაში ხანძარი მძვინვარებს

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მეხანძრეები ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლას კვლავ უშედეგოდ აგრძელებენ. უძლიერესმა ხანძარმა, რომელმაც შტატის რამდენიმე რაიონი მოიცვა, უკვე 13 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ათი-ათასობით კალიფორნიელი საკუთარი სახლებიდან ევაკუირებულია.

სტიქია მექსიკის საზღვრიდან თითქმის ლოს-ანჟელესამდე, ექვს ადგილას მძვინვარებს. უკვე განადგურებულია ათასამდე საცხოვრებელი სახლი. ხანძარი კიდევ რამდენიმე ათას სახლს ემუქრება. ზოგიერთი მონაცემებით, სადაზღვევო თანხების საერთო რაოდენობამ განადგურებულ ქონებაზე, შესაძლოა, ასი მილიარდი დოლარი შეადგინოს.

სამხრეთ კალიფორნიაში უმსხვილესი ავტომაგისტრალები მთლიანად ბლოკირებულია. გადადებულია საჰაერო რეისები. ათი ათასამდე მოქალაქე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ტრანსფორმატორები და ელექტროგადაცემის ხაზები ცეცხლმა შთანთქა.

როგორც ირკვევა, ხანძრის ექვსივე ეპიცენტრი კოცონების დანთებამ გამოიწვია. ხალხი კონადირეს ეძებდა.

სან-დიეგოს და სან-ბერნარდინოს მოსახლეობამ ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიიღო მითითება - დარჩნენ სახლებში, რათა არ ჩაისუნთქონ "განსაკუთრებულად მავნე" ჰაერი. მითითებაში ასევე ხალხს მოუწოდებენ, რომ მოიმარაგონ დიდი რაოდენობით წყალი და გაწმინდონ გზები სამაშველო სამსახურის მანქანებისათვის.

პრეზიდენტმა ბუშმა უკვე საგანგებო მდგომარეობის ზონად გამოაცხადა ლოს-ანჟელესი, სან-ბერნარდინიო, სან-დიეგო და ვენტურა. ამასთანავე, ეროვნული უბედურების ზონად გამოცხადდა ხანძრის ექვსივე ეპიცენტრი.

აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, ფედერალური ხელისუფლება ხანძრით დაზარალებულ რაიონებს და მოსახლეობას განსაკუთრებულ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს. პრეზიდენტის განკარგულებით, ფედერალური ბიუჯეტიდან უკვე გამოინახა შესაბამისი თანხები, რომელთა რაოდენობა, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ვაშინგტონი ხანძრის ლიკვიდაციას და ზარალის დეტალურ აღწერას ელოდება.

# ყოფილმა კომუნისტებმა ყოფილი მეფე დაამარცხეს

ბულგარეთში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ყოფილმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ამჟამად სოციალისტური პარტიის სახელს ატარებს, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. კერძოდ, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: სოციალისტური პარტია – 33 პროცენტი, სიმეონ საქსკობურგის მმართველი მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია – 10 პროცენტი, დემოკრატიის გაერთიანებული ძალები - კონსერვატორები კი მეორე ადგილზე გავიდნენ. მათ ხმების 21 პროცენტი მოიპოვეს.

"სიმეონ მეორის ეროვნული მოძრაობის" მარცხმა დამკვირვებლებს მოლოდინი გაუცრუა. ამ პარტიამ ორი წლის წინ საპარლამენტო არჩევნებზე ბრწყინვალე შედეგი – 43 პროცენტი აჩვენა. ბულგარეთის ყოფილი მეფე და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი – სიმეონ საქსკობურგი ამ არჩევნებშიც გამარჯვებას იმედოვნებდა, თუმცა, ეს ოპტიმიზმი ბულგარელმა ყოფილმა კომუნისტებმა დაამსხვრიეს.

არჩევნებმა, ჯერჯერობით, ვერ გაარკვია სოფიის მერის ვინაობა. ამჟამინდელმა მერმა სტეფან სოფიანსკიმ პირველ ტურში გამარჯვება ვერ მოახერხა, მეორე ტური კი მომავალ კვირას გაიმართება.

დამკვირვებლები ერთხმად მიუთითებდნენ ამ არჩევნებში ამომრჩეველთა აქტიურობის დაბალ დონეზე. საარჩევნო უბნებში ბულგარელი ამომრჩევლის საერთო რაოდენობის 40 პროცენტიც კი არ გამოცხადდა. ექსპერტთა თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით, შესაძლებელი ხდება 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგნოზირება.



სიმეონ საქსკობურგმა მოსახლეობის იმედი ვერ გაამართლა

ამჟამინდელმა პრემიერმა და ყოფილმა მეფემ სიმეონ საქსკობურგმა, რომელიც 50-წლიანი გაძევების შემდეგ დაბრუნდა ქვეყანაში, მოსახლეობის იმედები, როგორც ჩანს, ვერ გაამართლა. ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის უკიდურესმა გაუარესებამ და ეკონომიკურმა ვარდნამ მოსახლეობაში კომუნისტური პერიოდის ნოსტალგია გამოიწვია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუკი ყოფილმა მეფემ საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოახერხა, 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი კომუნისტებისგან კიდევ ერთ მარცხს იწვნევს.

# ორივე მხარე მოგებულია



*"ტუიაპის" პრეზიდენტი ბულან უნალი.*

*თურქულ კომპანია "ტუიაპს" მთელი თურქეთის მასშტაბით საგამოფენო ცენტრების ქსელი აქვს. სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით "ტუიაპის" საგამოფენო დარბაზს, თითქმის, ყველა ქვეყნის ბიზნესმენი სტუმრობს. საქართველოს დელეგაციას წელს პირველად მიეცა შანსი, ამ გამოფენებს დასწრებოდა. სექტემბრიდან დღემდე "ტუიაპის" სხვადასხვა საგამოფენო დარბაზში გამართულ ჩვენებებს 350 ქართული ფირმა დაესწრო. ბევრმა უკვე კონტრაქტებიც გააფორმა. რამდენიმე დღის წინ სტამბულიდან კიდევ ერთი დელეგაცია დაბრუნდა.*

თამარ დვალი
პაატა თოთაძე

"ტუიაპის" ცენტრალური საგამოფენო დარბაზი სტამბულში მდებარეობს, სადაც კვირაში ერთხელ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის გამოფენები ეწყობა. საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებიდან ძალიან ცოტას თუ ჰქონდა შანსი, ამ გამოფენებს დასწრებოდა. "ტუიაპის" პრეზიდენტის ბულან უნალის სურვილით, საქართველო იმ ხუთ ქვეყანას შორის აღმოჩნდა, რომელიც "ტუიაპმა" თავად მიიწვია. საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის, სირიის და იორდანიის დელეგაციის მგზავრობის ხარჯებს "ტუიაპი" თავად აფინანსებს. საქართველოში ამ პროგრამის ორგანიზატორი, თურქეთის საელჩოს დახმარებით, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა გახლავთ.

**"სექტემბერში ჩვენს სამსახურს "ტუიაპის" წარმომადგენელი დაუკავშირდა და თანამშრომლობა შემოგვთავაზა. პროგრამის ძირითად მიზანს თურქეთ-საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება და იმპორტ-ექსპორტის გაზრდა წარმოადგენს. სექტემბრიდან დღემდე ხუთ გამოფენას დავესწარით; წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის დანადგარები, პროდუქტები, შესაფუთი მასალები და სხვა. რამდენიმე დღის წინ ხე-ტყის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარებისა და ავეჯის გამოფენიდან დავბრუნდით. ქართველი მწარმოებლებისთვის ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და გააფორმონ ხელშეკრულებები. თურქული მხარე კი ამით თავის პროდუქციას წარმოაჩენს და ახალ ბიზნესურთიერთობებს ამყარებს. ასე რომ, ორივე მხარე მოგებულია, "** – განაცხადა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მედია მენეჯერმა დავით კობალავამ.

როგორც "ტუიაპის" პრეზიდენტმა ბულან უნალმა განაცხადა, 2003 წლის ბოლოს პროგრამის შეჯამება მოხდება და მსგავსი ღონისძიებები 2004 წელსაც დაიგეგმება. **"ათი წლის წინათ საქართველოსა და თურქეთს შორის, თითქმის, ახალი სავაჭრო ურთიერთობა დაიწყო. დროა, ერთად დავსხდეთ და ოფიციალურ დონეზე გავარკვიოთ, რით შეიძლება დავეხმაროთ ერთმანეთს. ეს მხოლოდ სურვილების დონეზე არ უნდა დარჩეს. დიდი შანსია იმისა, რომ ერთობლივად ვაწარმოოთ პროდუქცია. ჩვენ საკმაოდ კარგი ტექნოლოგიები გვაქვს და ამის შესახებ რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ თქვენს ბიზნესმენებს, მით უფრო გაუადვილდებათ ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ მომავალ ხუთ წელიწადში ჩვენ შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო დაიხვეწება. არ შეიძლება, მხოლოდ ერთმა ქვეყანამ აწარმოოს პროდუქცია და მეორემ შეისყიდოს. ურთიერთობა უნდა იყოს ორმხრივი. საქართველოში ჭკვიანი და პროფესიონალი ინჟინრები არიან. მათგან ჩვენ მხარეს ბევრი რამის სწავლა შეუძლია. დროა, ჯანსაღი ექსპორტ-იმპორტი ვაწარმოოთ, რადგანაც არაოფიციალური სავაჭრო ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს სარგებლობას ვერ მოუტანს, "** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ბულან უნალმა.

თუკი რომელიმე ქართული ფირმა მოინდომებს "ტუიაპის" საგამოფენო დარბაზში გარკვეული ფართი დაიქირაოს და თავისი პროდუქცია წარმოაჩინოს, ამისათვის იგი საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას და საქართველოში თურქეთის საელჩოს უნდა დაუკავშირდეს. როგორც თურქეთის საელჩოს სავაჭრო ატაშემ ოქან ოსთურქმა გვითხრა, ამ წინადადებით მათთვის ჯერ არც ერთ ფირმას არ მიუმართავს.

# უჩვეულო გამოფენა ფილარმონიაში

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ ფილარმონიის ფოიეში უჩვეულო გამოფენა მოეწყო. მთელი ფოიე ნახატებით, პლაკატებით, წიგნებითა და ბროშურებით იყო მოფენილი. გამოფენას აზრამ ბაზელის მოდელების ჩვენება და ქართული ხალხური სიმღერები ამრავალფეროვნებდა. "განათლება და დასაქმება –კავკასია 2003" – ასე ერქვა ორგანიზაციის, "ახალი თაობის ინიციატივა," თაოსნობით მოწყობილ ღონისძიებას, სადაც ქართულმა სკოლებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და ორგანიზაციებმა საკუთარი მიღწევები წარმოადგინეს. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ფრანგულენოვანი სკოლა და უნივერსიტეტი, დემირელის სახელობის ფრანგულ-ქართული ცენტრი, სამხატვრო აკადემია, კავკასიის ბიზნესის სკოლა, საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტი, საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭო, ფონდი "ერანი", აგრარული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამაგისტრო ცენტრი, მ. ბრუშევსკის სახელობის პირველი უკრაინული სკოლა, გურამ რამიშვილის საავტორო სკოლა, პოლიციის აკადემია, ცხინვალიდან "კოსტა ხეთაგუროვის საზოგადოება"... თითოეულ მათგანს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი - ზოგს ნახატებით, ზოგს - ბროშურებითა და წიგნებით. ყველა მზად არის, რომ მომავალ გამოფენებზეც მიიღონ მონაწილეობა. როგორც "ახალი თაობის ინიციატივის" ხელმძღვანელმა დავით დობორჯგინიძემ განაცხადა, მსგავსი გამოფენები წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოეწყობა. მომავალ წელს კი არეალს გააფართოებენ და გამოფენა კავკასიის სხვადასხვა ქვეყანაში გადაინაცვლებს.

# აქვთ თუ არა პედაგოგებს დამოუკიდებელი არჩევანის უფლება?!

გუშინ განათლების სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განათლების მინისტრმა ალეკო კარტოზიამ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ხუთი ოქტომბრიდან საქართველოს პედაგოგების 2500 წარმომადგენელმა დაადასტურა თავისი სურვილი, მონაწილეობა მიიღონ განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტში, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს. "პედაგოგების მხარდაჭერამ ოპოზიციურ პოლიტიკურ ჯგუფებს "ახალი საზრუნავი" გაუჩინა, - განაცხადა მინისტრმა, - ცდას არ აკლებენ, რომ როგორმე განათლების სამინისტროს სახელი გაუტეხონ.

არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე კვლავ გაიშალა განათლების სამინისტროს დისკრედიტაციისათვის "მუშაობა." მან ისიც იწინასწარმეტყველა, რომ "მოძრაობა" პიკს არჩევნებამდე ორი-სამი დღით ადრე მიაღწევს.

მინისტრმა თავის მრევლს - განათლების მუშაკებს, მოუწოდა, არჩევნებამდე არ ჩაებან უსაგნო და უსაფუძვლო დისკუსიაში, რომლის თავზე მოხვევასაც ცდილობენ ადამიანები, რომლებსაც დაგროვილი აქვთ სოლიდური გამოცდილება პოლიტიკურ დემაგოგიაში, მაგრამ უიმედოდ აკლიათ პროფესიული კომპეტენცია.

მინისტრის განცხადებით, ის არჩევნების შემდეგ პედაგოგებთან ერთად გეგმავს "მშრალზე დასვას" საქართველოს განათლების სისტემის დისკრედიტაციაზე გამეცადინებული უცოდინარი და უზნეო ადამიანები. მინისტრი პასუხისმგებლობას, ნაწილობრივ, განათლების იმ სისტემასაც აკისრებს, რომელშიც ამ ადამიანებმა გაიარეს. "მაგრამ, ვინაიდან ყველა იმ სისტემიდან მოვდივართ, - "მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა,"- მინისტრმა აკაკი წერეთლის ციტატით დაასრულა გამოსვლა.

*24 საათი*

ზღვარზე

# როგორ ზრუნავენ მუნიციპალიტეტები გაჭირვებულ მოსახლეობაზე

ნანა ქადაგიშვილი

*საქართველოში სოციალური პროგრამები, ძირითადად, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. მუნიციპალური პროგრამები მხოლოდ 11 რაიონში მოქმედებს და ისიც - ნაწილობრივ. არადა, ხელისუფლება უმწეოთა სოციალური დახმარების დაფინანსების გაუმჯობესებას პასუხისმგებლობის, ნაწილობრივ, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დაკისრებით აპირებს. საბიუჯეტო კანონში ჩაიდო მუხლი, რომლის მიხედვითაც, ამიერიდან სოციალური პროგრამების 10 პროცენტი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან უნდა დაფინანსდეს.*

**"მაშინაც კი, როცა რომელიმე რაიონში ბიუჯეტი 77 პროცენტით სრულდება, რაიონის ხელმძღვანელები სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე არ ფიქრობენ. ვინმეს რომელიმე რეგიონში სახლი თუ დაენგრევა, ან შვილისთვის სასწავლო წიგნების საყიდელი ფული არ აქვს, სამინისტროში მოდის დახმარების სათხოვნელად. ასე არ შეიძლება - უმწეოთა დახმარებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა გადაინაწილოს,"** – აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მანონი ხაჩიძე.

როგორ ზრუნავს ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარი რაიონის სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, რამდენიმე ქალაქის მაგალითზე წარმოგიდგენთ. თბილისში მუნიციპალური სოციალური პროგრამების უმრავლესობას ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებს. ეს პროგრამებია: დედათა და ბავშვთა რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს - მე-4, მე-5 და მეტი შვილის მშობლებისთვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას (ოთხშვილიან ოჯახს – 200 ლარი, ხუთ და მეტშვილიანს – 500 ლარი), ახალშობილთა და ახალდაქორწინებულთა მოწმობების უფასოდ გაცემას, სამკურნალო დაწესებულებებში ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სხვადასხვა კომპონენტებით გამდიდრებული რძის პროდუქტებით კვებას, სოციალურად დაუცველ დაავადებულ ბავშვთა მკურნალ ობარეაბილიტაციას, დიაბეტიანი და ინვალიდი ბავშვების სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობას, არდადეგების პერიოდში მრავალშვილიანი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვთა დასვენების ორგანიზებასა და მათთვის კულტურულ-ინტელექტუალურ ღონისძიებათა ჩატარებას.



*პროგრამები უხვადაა, პატრონი კი არ ჩანს.*

აღნიშნული პროგრამებისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 622,5 ათასი ლარია გათვალისწინებული. ამის გარდა, მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევისა და მონიტორინგის პროგრამა, რისთვისაც 60 ათასი ლარია ნავარაუდევი. მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა (19 ათასი); 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა სოციალური დახმარება (9 ათასი); საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა და პირველი ჯგუფის ინვალიდთა ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა, რომელშიც თითოეული ბენეფიციარისთვის 100 ლარის ოდენობის დახმარებაა გამოსაყოფი (119 ათასი); უსახლკაროთა ღამის თავშესაფარი (40 ათასი); ომისა და შეიარაღებული ძალების პირველი ჯგუფის ინვალიდი ვეტერანების სტომატოლოგიური დახმარება (44 ათასი); ინვალიდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია (140 ათასი); უმუშევართა პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომელიც კომპიუტერსა და ინგლისურ ენაში გადამზადებას გულისხმობს (120 ათასი); ჰემოფილიით დაავადებულთა სოციალური რეაბილიტაცია (50 ათასი); საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა რეაბილიტაციის პროგრამა (90 ათასი) და ოჯახის თანადგომისა და ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამა (40 ათასი).

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული პროგრამების გარდა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ინვალიდთა და დაღუპულთა ოჯახებს, სამხედრო ძალების ვეტერანებსა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს, პერსონალურ და მარტოხელა პენსიონერებს, თბილისის საპატიო მოქალაქეებს, დედ-მამით ობლებს, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედებისა და ინვალიდი ბავშვების ოჯახებს კომუნალურ გადასახადებსა და ბუნებრივ აირზე შეღავათი ეკუთვნით. კომუნალურ გადასახადებს მერია მთლიანად აფინანსებს, ბუნებრივ აირზე შეღავათი ომის მონაწილეთათვის 40 კუბური მეტრია, დანარჩენი კატეგორიებისთვის – ბუნებრივი აირის მოხმარება 20 ლარის ფარგლებში. სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარებისთვის კი თბილისის ბიუჯეტში 200 ათას ლარამდეა გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ, პროგრამები უხვად არის, მაგრამ პრობლემა მათი დროული და სრული დაფინანსებაა. ქალაქის საკრებულო იმასაც აცხადებს, - ფინანსთა სამინისტრო თბილისს მიზანმიმართულად ბლოკავს და პროგრამებისთვის თანხას განზრახ არ რიცხავსო. თუმცა, როგორც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით პავლიაშვილი აცხადებს, ბოლო თვეში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა - გასული თვე 70 პროცენტით დაფინანსდა.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

# საჭადრაკო პოლიტიკა

თამარ დვალი

*29 ოქტომბრიდან, 8 ნოემბრის ჩათვლით, სათნოების სახლ "კათარზისში" ჩვენი პოლიტიკოსების გამოსახულებიანი საჭარდაკო ფიგურების გამოფენა მოეწყობა. პოლიტიკოსების ორეულები ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ არჩევნების დღეს, 2 ნოემბერს "დაისვენებენ". გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სპილენძის, კერამიკისა და მოვერცხლილი ლითონისაგან შესრულებული ექვსი საჭადრაკო დაფა თავ-თავისი ფიგურებით.*

ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ჩვენი პოლიტიკოსები საჭადრაკო დაფაზე ადგილებს თავიანთი პოლიტიკური კურსის მიხედვით ინაწილებენ. ოპოზიციის მეფე-დედოფალია ასლან აბაშიძე და ნინო ბურჯანაძე. სახელისუფლო მხრიდან მათ მეტოქეობას უწევენ ედუარდ შევარდნაძე და ირინა სარიშვილი. 32 ფიგურის გარდა, არსებობს კიდევ ორი შემცვლელი ფიგურა, რომლებითაც, საჭიროების შემთხვევაში, ორივე მხარეს შეუძლიათ თამაში. ასეთ პრივილეგირებულ პოზიციაში ეტლი (ბადრი პატარკაციშვილი) და გამსვლელი პაიკი (ვაჟა ლორთქიფანიძე) აღმოჩნდნენ. ოპოზიციის მხედრებად მიხეილ სააკაშვილი და დავით გამყრელიძე გვევლინებიან. მათ საპირისპირო მხარეს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე დგანან.

პოლიტიკოსების გამოსახულებიანი ფიგურების შექმნის იდეა სტომატოლოგ გელა ფაცინაშვილს ეკუთვნის. ფიგურებისათვის სტატუსის მინიჭება ხალხის სურვილით მოხდა. "კათარზისმა" ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, ოპოზიციის პაიკებად არჩეულები არიან: პანტელეიმონ გიორგაძე, მიხეილ მაჭავარიანი, ჯონდი ბაღათურია, ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ნათაძე, თენგიზ კიტოვანი, კობა დავითაშვილი და ირაკლი წერეთელი. რაც შეეხება სახელისუფლებო მხარის პაიკებს, მათ ვანო ზოდელავა, თამაზ ნადარეიშვილი, დავით მირცხულავა, ვახტანგ რჩეულიშვილი, სესილი გოგიბერიძე, ლევან მამალაძე, ნინო ჩხობაძე და თემურ შაშიაშვილი განასახიერებენ.



*ხელისუფლების მეფე-დედოფალი*

შესაძლოა, "პაიკობამ" ბევრი პოლიტიკოსი გაანაწყენა, მაგრამ, ნოდარ ნათაძის გარდა, "კათარზისისთვის" არც ერთს არ მიუმართავს. **"პაიკები თუ გაგვინაწყენდებიან, ეს მათი პრობლემაა. მე ვთვლი, რომ ამაში ადამიანმა იუმორის დანახვა უნდა შეძლოს. ბატონი ნოდარი ჩვენმა გადაწყვეტილებამ გააბრაზა, მაგრამ, საბოლოოდ, მისი შემორიგება მაინც შევძელით, "** – განაცხადა სათნოების სახლის "კათარზისის" პრეზიდენტმა ზაურ ალადაშვილმა.

რადგანაც საქართველოში პოლიტიკური თამაშის წესები სწრაფად იცვლება, რამდენიმე ფიგურას ადგილების გაცვლა მოუხდა. პრეზიდენტის გვერდით დაკავებული დედოფლის ადგილი თავიდან ნინო ბურჯანაძეს ეკავა, მაგრამ მალევე დაუთმო ირინა სარიშვილს და თავად ოპოზიციონერი ასლან აბაშიძის გვერდით გადაინაცვლა.

ფიგურების საბოლოო ფასი გამოფენის დასრულების შემდეგ დადგინდება. ჯერჯერობით, მათი შეძენის მსურველებს შორის პოლიტიკოსები არ არიან. პროექტის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ საჭადრაკო დაფების რაოდენობა ოცს არ გადააჭარბებს.

ფიგურების მხატვარია გია ხუციშვილი, საჭადრაკო მაგიდების ავტორები - ზაალ კვიციანი და ვასიკო ნაყეური. იდეის ავტორი გელა ფაცინაშვილი პოლიტიზირებული ადამიანი სულაც არ არის. მას ჭადრაკის თამაში ძალიან უყვარს და მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ფიგურებით თამაში ერთგვარი განტვირთვის საშუალებაა, თანაც - ადამიანს თამაშის დროს მაინც მიეცემა საშუალება, ის ფიგურა გაიყვანოს, რომელიც მას უნდა.

# სახლი სვანიძის ქუჩაზე

ეთერ მამულაშვილი

*დღეს თბილისში უკანონო მშენებლობების რაოდენობით უკვე ველარავის გააკვირვებ. ამის ძირითადი მიზეზი დაუსჯელობა და მოქმედი კანონმდებლობის სისუსტეა. არალეგალური მშენებლობების რიცხვი დედაქალაქსა და მის ფარგლებს გარეთ დღითიდღე იზრდება.*

არქიტექტურული ზედამხედველობის მთავარი და ქალაქის სამსახური, რომელსაც, ამ მხრივ, სიტუაციის გაკონტროლება კანონით ევალება, შესაბამისი ბერკეტების არქონას უჩივის - მათ უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ მხოლოდ მშენებლის რამდენიმე ასეული ლარით დაჯარიმება, ან არსებული დარღვევების დაუყოვნებლივ გამოსწორების მოთხოვნა შეუძლიათ. ჯარიმა მშენებლისთვის (1000 ან, თუნდაც, 3000 ლარის გადახდა) პრობლემას არ წარმოადგენს, დარღვევების გამოსწორებაზე კი, თითქმის, ყველა უარს აცხადებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი - მშენებლობის შეჩერების ან დანგრევის უფლება, არქმშენინსპექციას მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ეძლევა. გასული და მიმდინარე წლების პრაქტიკის მიხედვით, რაიონული და ზემო ინსტანციის სასამართლოები ასეთი გადაწყვეტილებების გამოტანაზე ხშირად უარს ამბობენ ან, უკეთეს შემთხვევაში, სარჩელის განხილვას რამდენიმე თვით აჭიანურებენ. ეს საშუალებას აძლევს მშენებელს, დაწყებული საქმე დაჩქარებული ტემპით გააგრძელოს და ხშირად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე დაასრულოს კიდეც.

რაც უნდა პრადოქსად მოგვეჩვენოს, ყოფილა შემთხვევები, როცა მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილება სასამართლოს უკვე დამთავრებულ ნაგებობაზე გამოუტანია. ამის საუკეთესო მაგალითია თბილისში სვანიძის ქუჩაზე მიმდინარე და უკვე დასრულებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობები. თბილისის არქმშენინსპექციასა და ამხანაგობა "ვერე-99"-ს (ის არის აღნიშნული სახლების მშენებლობის დამკვეთი) შორის სასამართლო დავა, უკანასკნელი სამი წელია, გრძელდება.

1999 წელს ამხანაგობა "ვერე-99"-მა სვანიძის №3-ში პროექტით გათვალისწინებული ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა წამოიწყო, თუმცა მალევე გაირკვა, რომ, ექვსის ნაცვლად, შვიდსართულიანი სახლი შენდებოდა. არქმშენინსპექციამ "ვერე-99"-ს შეცვლილი პროექტის არქიტექტურის საქალაქო სამსახურთან შეთანხმება დაავალა, მანამდე კი მშენებლობის შეჩერება მოსთხოვა. ხსენებულმა სამსახურმა შეცვლილი პროექტი არ მოიწონა და, შესაბამისად, შეთანხმებაზეც უარი განაცხადა. მაშინ "ვერე-99"-მა არქიტექტურის საქალაქო სამსახურს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში უჩივლა, ამ უკანასკნელმა კი არქიტექტურის სამსახურს პროექტის დაუყოვნებლივ შეთანხმება მოსთხოვა.

შარშან "ვერე-99"-მა მეზობლად, სვანიძის №1-ში წამოიწყო ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელსაც შესაბამისი სამსახურებიდან მშენებლობის არანაირი ნებართვა არ გააჩნდა. მოსახლეობის კოლექტიური საჩივრის საფუძველზე, არქმშენისპექციამ სვანიძის №1-ში მიმდინარე მშენებლობა შეამოწმა, მშენებელი 2000 ლარით დააჯარიმა და პროექტის შეთანხმება და, შესაბამისად, მშენებლობაზე ნებართვის აღებაც დაავალა. "ვერე-99"-მა მშენებლობა არ შეაჩერა, დარღვევა არ გამოასწორა და არც ჯარიმა გადაიხადა. ამიტომაც, შარშან მარტში არქმშენისპექციამ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიმართა ხსენებული სახლის (მაშინ მშენებლობა ორ სართულამდე იყო ასული) დანგრევის მოთხოვნით. სასამართლომ მხოლო რვა თვის შემდეგ, შარშან დეკემბერში გამოიტანა გადაწყვეტილება დანგრევაზე – მაშინ, როცა "ვერე-99"-ს სახლის ცხრა სართულის კარკასი დამთავრებული ჰქონდა. ბუნებრივია, ამხანაგობამ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ თვის შემდეგ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. მას მერე სასამართლო პროცესი მხოლოდ ერთხელ, მიმდინარე წლის სექტემბერში დაინიშნა და ისიც, მესამე მხარის გამოუცხადებლობის გამო, 30 ოქტომბრამდე გადაიდო.

მოკლედ

## გამოფენა სკოლებისთვის

27 ოქტომბერს საგამოფენო ცენტრში "ექსპო-ჯორჯია", განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის სახელმძღვანელოებითა და დამხმარე მასალებით სკოლების უზრუნველყოფის კომპონენტის მიერ მეორე გამოფენა მოეწყო. გამოფენა ნოემბრის ბოლომდე გასტანს.

წლევანდელ გამოფენაზე გაცილებით მეტი, კერძოდ, 2952 დასახელების ნივთი იქნება წარმოდგენილი. ამასთან, სკოლებს გაზრდილი ბიუჯეტით შეეძლებათ საჭირო ნივთების შეძენა. წელს ეს თანხა თითოეულ სკოლაზე 200 დოლარი და ყოველ მოსწავლეზე 2 დოლარი იქნება. გამოფენაზე წარმოდგენილია ლაბორატორიული აღჭურვილობები, რომელიც აუცილებელია ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის შესწავლისათვის. შარშანდელთან შედარებით, გაცილებით მაღალი იქნება წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხი.

ოქტომბერში საქართველოს ყველა სკოლამ მიიღო იმ ექსპონატების კატალოგი, რომელთაც მასწავლებლები თვალსაჩინოებათა მეორე გამოფენაზე იხილავენ. ისინი მათი სკოლებისთვის საჭირო მასალებს შეარჩევენ.

პირველ დღეს გამოფენა მესტიის რაიონის მასწავლებლებს მასპინძლობდა. სვანეთის სკოლების მასწავლებლები კმაყოფილები არიან ამ ღონისძიებით. შარშან გამოწერილი ნივთები მათ ულკებლივ მიიღეს, წელს კი იმას შეიძენენ, რასაც შარშან ვერ გასწვდნენ.

"თვალსაჩინოებათა გამოფენის მოწყობა ყოველწლიურადაა დაგეგმილი. ეს კი საშუალებას მისცემს მასწავლებელთა კორპუსს, საქართველოს სკოლებში სწავლების პროცესი გაცილებით სრულყოფილი და ეფექტური გახდეს", -განაცხადა პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორმა ზურაბ ცქირიამ.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ მერიასთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ თბილისობის დღესასწაულზე „თბილისის საპატიო მოქალაქის" წოდებასა და თბილისის „ერთგულების მედალზე" წარსადგენ კანდიდატთა შერჩევაზე იმსჯელა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს, რომელიც 1 ნოემბერს გაიმართება, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაესწრება. შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძეა, საბჭოს მდივანი კი - ბადრი ქუთათელაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო კანცელარიაში „თბილისობისთვის" 100-100 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემაზე უარი უთხრეს. „თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით მერია მათ ერთჯერადი ფულად დახმარებას, 30 ლარს, ჰპირდება, მაგრამ მრავალშვილიანი დედები ამ თანხის 100 ლარამდე გაზრდას მოთხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თამარ მეფისა და აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე, ე.წ. სოკოს სკვერში, საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის ინიციატივით, გამოჩენილი ექიმის, რეჟისორის, პარლამენტარის, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა. ბიუსტის ავტორები მოქანდაკე გენო ზაქარაია და არქიტექტორი გოგი ავსაჯანიშვილი არიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წელს გრიპის ვირუსის ახალი, „მოდრეიფე" ვარიანტები არ გამოვლენილა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ, ჯერჯერობით, არც ატიპური პნევმონიის ახალი შემთხვევებია დაფიქსირებული, ამ დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საგანგებო ზომების მიღება გრძელდება. სპეციალური ღონისძიებები საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზეც ტარდება. საზღვრები აღიჭურვა კავშირგაბმულობის სპეციალური თანამედროვე საშუალებებით. ინფექციურ საავადმყოფოში კი სპეციალური ბოქსირებული განყოფილება შეიქმნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან „თანამშრომლობის შესახებ" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ურთიერთთანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები იქნება: ჯანდაცვის პოლიტიკა და ამ სფეროს დაფინანსება; ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარება; ტუბერკულოზის, აივ-ინფექცია/შიდსის, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კონტროლი და პრევენციის პროგრამა და სხვა საკითხები. დოკუმენტი ძალაში 2004 წლის 1 იანვრიდან შევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამწლიანი მუშაობის შედეგად, საქართველოში შრომის ახალი კოდექსის პროექტი მომზადდა. დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანამედროვე ინტერესების გათვალისწინებით მომზადებული კოდექსი შრომის სამართალს დაარეგულირებს და შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას შეუწყობს ხელს. მისი ძირითადი ფუნქციაა, არეგულიროს დასაქმებულის ქცევა საწარმოში და ხელი შეუწყოს მუშაკის შრომის დაფასებას. კოდექსი ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა მოამზადა. ახალი კოდექსის პროექტს მთავრობა დღეისთვის დანიშნულ სხდომაზე განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას უკანასკნელ დღეებში ბავშვების ნაფტიზინით მოწამლვის თაობაზე და აცხადებს, რომ ინტოქსიკაცია გამოიწვია არა წამლის ხარისხმა, არამედ მისმა არასათანადო გამოყენებამ. იაშვილის სახელობის კლინიკიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, იანვრიდან დღემდე კლინიკას ნაფტიზინით ინტოქსიკაციის დიაგნოზით 30-მა პაციენტმა მიმართა. მათგან 26 0-დან 3 წლამდე ასაკისა იყო, 4 - 3 დან 14 წლამდე. ჯანდაცვის მინისტრის მტკიცებით, გამოკვლევით დადგინდა, რომ მოწამლვის ძირითადი მიზეზი პრეპარატის ადრეულ ასაკში გამოყენება (ნაფტიზინი 2 წლამდე ასაკის ბავშვებში უკუჩვენებას იძლევა) იყო. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ზესტაფონი.** გუშინ, დილით, ზესტაფონის პოლიციამ ყაჩაღობისათვის ეჭვმიტანილი ორი ბოროტმოქმედი დააკავა. მათ ამავე რაიონის სოფელ მეორე სვირთან მანქანის დაყაჩაღება ედებათ ბრალად. 27 ოქტომბერს ქალაქ გორში მცხოვრები ნიკოლოზ მესხიძე დასავლეთისკენ საკუთარი ავტომანქანა "ფორდით" მოძრაობდა. სოფელ მეორე სვირთან მას ორი პიროვნება დახვდა, რომლებმაც დანების მუქარით მესხიძეს პირადი ნივთები და ფული წაართვეს. ზესტაფონის პოლიციამ ორივე მათგანი დაადგინა და დააკავა. ისინი სოფელ მეორე სვირში მცხოვრები ძმები - 21 წლის სოსო ჯაჭვლიანი და 19 წლის, ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ბესარიონ ჯაჭვლიანი აღმოჩნდნენ. ისინი ზესტაფონის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან მოთავსებულნი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**შატილი.** შატილში ეუთო-ს დამკვირვებელთა ბაზა დაიწვა. ხანძრის შედეგად არავინ დაზარალებულა. მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ჯემალ ჯიქურაულის თქმით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და მომხდარის დეტალები ზუსტდება ეუთო-ს წარმომადგენლებთან ერთად, თუმცა პოლიციაში ვარაუდობენ, რომ ხანძარი გაუმართავმა ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, იუსტიციის სამინისტროში, სასჯელაღსრულების კოდექსზე მომუშავე ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე კახა კობერიძე უძღვებოდა. მისი თქმით, მოძველდა და შესაცვლელია ის კანონმდებლობა, რომელიც პენიტენციალურ სფეროს არეგულირებს. „პატიმრობის შესახებ კანონში", რომელიც სამი წლის წინათ არის მიღებული, 70-მდე ცვლილება შევიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი დღევანდელ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. კახა კობერიძემ აღნიშნა, რომ „პატიმრობის შესახებ" კანონის ნაცვლად შემუშავდება „სასჯელაღსრულების კოდექსი", რომელშიც დღევანდელი რეალობა იქნება ასახული. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ძირითადი საკითხი, რომლის დარეგულირებაც ამ მომენტისათვის აუცილებელია, არის კოლონიის რეჟიმების სწორად განსაზღვრა, პატიმართა და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება. იუსტიციის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ორ თვეში „სასჯელაღსრულების კოდექსის" საბოლოო ვარიანტი მომზადდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების ადგილებში ექვსი საარჩევნო უბანი გაიხსნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და ზუგდიდის საპყრობილეებში, აგრეთვე თბილისის N1 საპყრობილეში და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. არჩევნებში მონაწილეობას 2000–ზე მეტი პატიმარი მიიღებს. ეს ის კონტინგენტია, რომელთა მიმართ სასამართლო განაჩენი არ არის გამოტანილი, ან არ შესულა კანონიერ ძალაში. იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი წკრიალაშვილის ინფორმაციით, პენიტენციალურ სისტემაში შექმნილი რთული ოპერატიული ვითარების გამო არჩევნების დღეს სასჯელაღსრულების ადგილების მთლიანი კონტინგენტი საგანგებო რეჟიმზე იქნება გადაყვანილი. მისი თქმით, კეთდება ყველაფერი იმისათვის, რათა არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიაროს. წკრიალაშვილი კატეგორიულად გამორიცხავს რაიმე მანიპულაციას პატიმრების ხმებით. „დამკვირვებლებისათვის არჩევნების დღეს ყველა კარი ღია იქნება", — აცხადებს იგი. მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება იუსტიციის სამინისტროსთან არსებული დამოუკიდებელი საბჭოს წევრებთან, რომ ისინი არჩევნების დღეს სასჯელაღსრულების ადგილებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებად იმუშავებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 17 დანაშაული, გახსნილია — 12. ჯანმრთელობის დაზიანების ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა სამი; ასევე გახსნილია ხულიგნობის ორივე შემთხვევა; სამი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; მოხდა ერთი ძარცვა; ქურდობის ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა ორი; ამოღებულია ორი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ერთი ძებნილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოსა და სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა „დიდუბის" ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 21 წლის ალექსანდრე შიუკაშვილი, რომელმაც ინგა თოჩიშვილს საფულე მოჰპარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ყაჩაღობისათვის მსჯავრდებული კახა ყინჩიყიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა და ბრალდებული გაამართლა. ყინჩიყიძეს, სამტრედიის სასამართლოს 2002 წლის 9 სექტემბერის განაჩენით, 9 წლით პატიმრობა მიესაჯა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აბაშის ტერიტორიიდან ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო შეიარაღებული ფორმირების განდევნის დროს, 1994 წლის 24 ოქტომბერს, ყინჩიყიძე, სხვა პირებთან ერთად, ავტომატით შეიარაღებული თავს დაესხა აბაშაში მცხოვრები გივი გაბელაიას ოჯახს, საიდანაც გაიტაცა ავტომანქანა „ვაზ 2109". იმავე დღეს ხსენებული ჯგუფი თავს დაესხა აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში მცხოვრები ლიდა ცომაია-ჩაჩავას ოჯახს და მათგან გაიტაცა ავტომანქანა „ვაზ 2106". ერთი საათის შემდეგ იმავე პირებმა ამავე სოფელში მცხოვრები აკაკი ბოკუჩავას ოჯახიდან გაიტაცეს „ვაზ 2106".

ყინჩიყიძის ადვოკატებმა განაჩენი გაასაჩივრეს. ისინი საქმის შეწყვეტას მოითხოვდნენ, ხოლო დაზარალებულები — სასჯელის გამკაცრებას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ყინჩიყიძის მიმართ აღძრულ საქმეში არ არის მასალები, რომელიც ამ პირის ბრალეულობას დაადასტურებს, ამიტომ იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. **მედია-ნიუსი**

# სამტრედიის მოვლენებს სამართლებრივი შეფასება მიეცემა

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინწინ სამტრედიაში მოწყობილ საპროტესტო აქციაზე სამართალდამცველმა ორგანოებმა სასწრაფო რეაგირება მოახდინეს და პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება"-ს ლიდერთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.*



კობა ნარჩემაშვილი არ მალავს, რომ აქციაზე სპეციალური დანაყოფები გაიგზავნა.

როგორც ცნობილია, 27 ოქტომბერს ზუგდიდიდან სამტრედიამდე ჩამოსულმა "ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება"-ს ლიდერებმა და მათმა მომხრეებმა სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების პიკეტირება მოახდინეს. საქართველოს კონსტიტუციის ცალსახა დარღვევას ისინი დემოკრატიული მოსაზრებებითა და გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით ხსნიდნენ. საბოლოოდ, აქციის მონაწილეების პოლიციელთა კორდონში მოქცევამ ის შედეგი გამოიღო, რომ ისინი საკუთარი ნებით დაიშალნენ ღამის 3 საათზე.

თუმცა, მიუხედავად აქციის ნებაყოფლობითი დაშლისა, სამართალდამცველმა ორგანოებმა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ფაქტზე აქციის ორგანიზატორების, პოლიტიკური გაერთიანების ლიდერთა - გურამ აბსანძის, ნემო ბურჭულაძის, ნოდარ ნათაძისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის იოსებ ლაგვილავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს კოდექსის 222(1) მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით. გარდა პატიმრობისა, პოლიტიკურ ლიდერებს იმ ზარალის ანაზღაურებაც მოუწევთ, რაც აქციამ მიაყენა ქვეყანას.

აქციის ორგანიზატორების წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიებას აწარმოებს სატრანსპორტო პროკურატურა. საქართველოს სატრანსპორტო პროკურორის მოადგილის ომარ მულალაშვილის თქმით, მართალია, ჯერ ზუსტად არ არის დაანგარიშებული, საერთო ჯამში, რა მოცულობის ზარალზეა ლაპარაკი, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ 12 საათის მანძილზე გაჩერებული იყო ხუთი სამგზავრო და სამი სატვირთო მატარებელი, ზარალი 10 ათას ლარს გადააჭარბებს.

ცხადია, გამოძიებას გარკვეულ ბარიერს შეუქმნის ის ფაქტი, რომ აქციის ყველა ორგანიზატორს (ჯერჯერობით, მაინც) დეპუტატობის კანდიდატის იმუნიტეტი იცავს. ამ ეტაპზე პროკურატურა იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ მიმართავს და პოლიტიკოსებს ნებაყოფლობით გამოცხადებისა და ჩვენებების მიცემისკენ მოუწოდებს.

**"თუმცა, მათი ჩვენებების გარეშეც არაერთი დამადასტურებელი საბუთი არსებობს იმისა, რომ ანტიკონსტიტუციურ ქმედებას სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ"**, - ამბობს მულალაშვილი.

სამტრედიის აქციის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომაც მოახდინა შემდგომი რეაგირება და სპეციალური განცხადება მიიღო, რომლის გამოქვეყნებასაც მინისტრმა ბრიფინგი მიუძღვნა.

**"გარდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენებისა, უხეშად დაირღვა ათასობით მოქალაქის, მათ შორის - ბავშვების, ქალების, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების კონსტიტუციური უფლებები. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილიზებულ იქნა როგორც იმერეთის მხარის, ისე სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, შიდა ქართლის ორგანოები, საგზაო და სატრანსპორტო პოლიციის ქვედანაყოფები. ადგილზე გადაიგზავნა სათანადოდ აღჭურვილი პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები, შინაგანი ჯარის ნაწილები, შესაბამისი ტექნიკა და ავტოტრანსპორტი"**, - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების თანახმად, სწორედ პოლიციის ძალების ასეთმა მობილიზებამ აიძულა აქციის მონაწილენი ნებაყოფლობით დაშლილიყვნენ.

კობა ნარჩემაშვილი არ მალავს, რომ აქციაზე გაიგზავნა სპეციალური დანაყოფები, რომელიც სხვა მსგავს შემთხვევში (ანუ უმართავი აქციების დროს) იქნება გამოყენებული, ოღონდ: **"ისინი აბსოლუტურად შეუიარაღებლები არიან"**, - აზუსტებს მინისტრი.

მისივე თქმით, **"რომ არ მომხდარიყო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ჩვენი მხრიდან ადგილი ექნებოდა სამართლიან და კანონიერ მოქმედებებს, რაც აქციის ძალით დაშლაში გამოიხატებოდა"**.

**"კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ აქციის მონაწილეები, ორგანიზატორები, ისინი, ვინც აიძულა ხალხი, რომ წასულიყო ამაზე და უშვებდა სისხლის დაღვრის შესაძლებლობას, უნდა დაისაჯონ"**, - ამბობს ნარჩემაშვილი და სპეციალური განცხადების მეშვეობით მოუწოდებს და აფრთხილებს **"ყველა პოლიტიკურ მოძრაობას და პარტიას, თითოეულ მოქალაქეს, რომ არ დაუშვას პოპულისტური და სხვა ნებისმიერი მოტივებით ანტიკონსტიტუციური, უკანონო ქმედებები, რასაც შესაძლოა, სიტუაციის დესტაბილიზაცია და უმართავი პროცესები მოჰყვეს. საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების, მოქალაქის უფლებების და სახელმწიფოებრივი ინტერესების უხეში დარღვევების ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იმოქმედებს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, რათა იყოს სიმშვიდე, სტაბილურობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება"**.

**"ჩვენ, როგორც არასოდეს, მზად ვართ, ყოველგვარი პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად"**, - ირწმუნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

# ევროსასამართლო რუსეთს შენიშვნას აძლევს

*გასული წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის საზღვარზე გირევის საგუშაგოზე დაკავებული 13 ჩეჩენი პატიმრის ირგვლივ მიმდინარე აჟიოტაჟი კვლავ გრძელდება. ევროსასამართლოს მიერ რუსეთსა და საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი, რომელიც ჩეჩენ ტუსაღებთან შეხვედრას ითვალისწინებდა, ფაქტობრივად, ჩაიშალა.*

რამდენიმე დღის წინ ევროპის სასამართლომ რუსეთის გენერალური პროკურატურიდან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სტავროპოლის რაიონული სასამართლო, რომელიც საქართველოდან რუსეთში ექსტრადირებული ხუთი ჩეჩენი პატიმრის საქმეს იხილავს, ამ ეტაპზე უარს ამბობს დელეგაციისთვის პატიმრებთან შეხვედრის ნებართვის გაცემაზე. გარდა ამისა, ევროსასამართლოს ვიზიტის გადადების მეორე მიზეზად მოსკოვმა პროკურატურაში მიმდინარე რეორგანიზაცია დაასახელა. რუსეთის პროკურატურის განცხადებით, რეორგანიზაციის დასრულებამდე ევროპის სასამართლოს დელეგაციის ვიზიტი უშედეგო იქნება.

რუსეთის ამ განცხადებას ევროსაბჭოს მკაცრი შეფასება მოჰყვა. **„ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები ყველა ღონეს უნდა ხმარობდნენ, რომ ევროპის სასამართლოს ხელი შეუწყონ საქმეების შესწავლაში"**, — ნათქვამია პრესრელიზში, რომელიც მომხდართან დაკავშირებით ევროსასამართლომ გაავრცელა. **"იმ პატიმრებთან შეხვედრის საკითხი, რომლის საქმესაც ევროპის სასამართლო იხილავს, თავად ამ სასამართლოს გადასაწყვეტია. ეს წესი განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომელიც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობაზე მაღლა დგას,"** – ასეთი შენიშვნა მისცა ევროპის სასამართლომ რუსეთის გენერალურ პროკურატურას.

პატიმრებთან შეხვედრის უფლების შეზღუდვის გარდა, ევროპის სასამართლო უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სტავროპოლის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მათ დაგვიანებით მოაწოდა ინფორმაცია. არადა, ევროსაბჭოს მოსამართლეთა დელეგაციას რუსეთში ვიზიტისთვის მზად ჰქონდა ვიზები და ბილეთები. ვიზიტისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას ევროსაბჭო რუსეთის ხელისუფლებისგან კატეგორიულად ითხოვს და მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში უმკაცრესი საჯარიმო სანქციებით იმუქრება.

ევროსასამართლოს დელეგაციას ვიზიტის გადადების თხოვნით მიმართა საქართველომაც „შამაევის და სხვა თორმეტის საქმის" დეტალების გასარკვევად საქართველოში დელეგაციის მივლინების შესახებ გადაწყვეტილება ევროპის სასამართლომ 16 სექტემბერს მიიღო. ქართულმა მხარემ ევროპის სასამართლოში 3 ოქტომბერს გააგზავნა წერილი და ითხოვა, რომ ვიზიტი საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გადადებულიყო, რადგან დელეგაციის წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა არჩევნების პერიოდში გაჭირდებოდა. საქართველოს მიერ დროულად გაგზავნილი თხოვნა ევროსასამართლომ მიიღო.

ევროსასამართლოს დელეგაციის ვიზიტი რუსეთსა და საქართველოში 2004 წლის დასაწყისში შედგება.

*24 საათი*

# შამილ ბასაევი 15 მილიონად შეფასდა

ბლოკმა "Родина"-მ სენსაციური განცხადება გააკეთა: შამილ ბასაევის დაჭერის საქმეში გაწეული დახმარებისთვის სოლიდური ჯილდო – 15 მილიონი მანეთი დააწესა. "ის, რომ ნომერ პირველი ტერორისტი პატიმრობაში არ იმყოფება, ნეგატიურად მოქმედებს საზოგადოებაზე," – განაცხადა ბლოკის ლიდერმა, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა სერგეი გლაზევმა. მისივე განცხადებით, დასახელებული ჯილდო ბლოკის ანგარიშზე ინახება და მას, ვინც შამილ ბასაევის ადგილსამყოფელის შესახებ კანონდამცველებს ინფორმაციას მიაწვდის, თანხა 2004 წლის შვიდ იანვრამდე გადაეცემა.

# ინგლისელ ქალბატონს ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

პარიზის სასამართლომ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა, 44 წლის ინგლისელ ქალს მარგარეტ მაკდონალდსს. ფრანგმა სამართალდამცველებმა ინგლისელი მაკდონალდსი დაადანაშაულეს ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი უკანონო სერვის-ცენტრის – "გოგონები გამოძახებით" შექმნაში.

პარიზის სასამართლომ "მადამ ინგლისელს", გარდა 4-წლიანი პატიმრობისა, სოლიდური ჯარიმაც დააკისრა. მას 150 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. ჯარიმის რაოდენობა სასამართლომ უკანონო საქმიანობიდან მის მიერ მიღებული ყოველდღიური შემოსავლის გამოთვლის შედეგად დაადგინა. მადამ მაკდონალდსის განცხადებით, მისი სააგენტო, სადაც სხვადასხვა ეროვნების ქალები და მამაკაცები მუშაობდნენ, დიდი წარმატებით საქმიანობდა და მათი ყოველდღიური შემოსავალი თითქმის 150 ათას ევროს აღწევდა.

სასამართლოზე ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის სექსინდუსტრიაში ყველაზე წარმატებულმა "საქმოსანმა" ქალმა ბრიტანეთში საფუძვლიანი განათლება მიიღო. მან ბრიტანეთის პრესტიჟული საეკლესიო სკოლა დაამთავრა. ლინგვისტისა და ფილოსოფიის მაგისტრის დიპლომი კი მას შემდეგ მიიღო, რაც ბრიტანეთის ერთ-ერთი სოლიდური კოლეჯი დაამთავრა. იგი ასევე სწავლობდა საფრანგეთში, სორბონის პრესტიჟულ ბიზნეს აკადემიაში. ინგლისელი პატიმარი ქალი შვიდი უცხო ენის ზედმიწევნით მცოდნეა. სასამართლოზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არაჩვეულებრივ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, სექსინდუსტრიის მსხვერპლი გახდა. სხვათა შორის, პარიზის სასამართლომ განაჩენის გამოტანისას მაკდონალდსის წარსული გაითვალისწინა.

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermediate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
- საოფისე პროგრამები (Word, Excel),
- Windows,
- მულტიმედია,
- ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: ნუცუბიძის 223.

# გამტაცებლები დააკავეს, გატაცებული კვლავ მძევლად რჩება

პირველი გვერდიდან

ზუგდიდის რაიონიდან მოტყუებით გატაცებული როლანდ ჩანგელიას ახლობლების მტკიცება, რომ გატაცებული ქართველი მძევლად ჰყავს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირს, შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ყველასთვის ცნობილ კრიმინალს ვალმერ ბუთბას, უკვე საბოლოოდ დადასტურდა.



აფხაზი ბოევიკი გატაცებებს ქართველ კრიმინალებს უკვეთავს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩანგელიას გატაცების დღიდან აფხაზი სეპარატისტები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ამ გატაცებაში აფხაზების ხელი არ ურევია, გატაცებაში ეჭვმიტანილმა ქართველებმა გატაცების ორგანიზატორ-დამგეგმავად ვალმერ ბუთბა დაასახელეს და აღიარეს, რომ როლანდ ჩანგელიას გატაცება-გადაცემაში მათ ბუთბამ საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადა.

**"ჩანგელიას გატაცების დავალება უშუალოდ ვალმერ ბუთბამ მოგვცა. ჩანგელიას კარგა ხანს ვადევნებდით თვალს, მოტყუებით ჩავისვით მანქანაში და ბუთბას ხალხს წავუყვანეთ. მან გატაცების სანაცვლოდ დაპირებული თანხა იმ დღესვე გადაგვიხადა"**,- ასეთ ჩვენებებს იძლევიან დაკავებულები.

გუშინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის მიერ დაკავებული ქართველი კრიმინალბი უახლოეს დღეებში კიდევ რამდენიმე გატაცებას გეგმავდნენ, ჩვენთან საუბარში კატეგორულად უარყო ზუგდიდის რაიონის პროკურორმა მურთაზ ნარმანიამ. **"საქმეში მსგავსი რამ ჯერ არ იკვეთება"**, - აცხადებს პროკურორი.

**"ბანდიტური დაჯგუფების დაკავებულ წევრებს ბრალი ედებათ სეპარატისტული აფხაზეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ისინი სწორედ სეპარატისტული სპეცსამსახურების დაკვეთითა და დავალებით მოქმედებენ როგორც აფხაზეთის, ასევე სამეგრელოს ტერიტორიაზე. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ გალის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები აფხაზების მძევლებად ითვლებიან. ისინი დაუცველები არიან და, საბოლოოდ, კრიმინალებად ყალიბდებიან. სეპარატისტთა ხელისუფლება კი მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფ დამნაშავეებს მფარველობს"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩანგელიას გამტაცებელთა დაკავებას.

**"აფხაზების ხელში ვართ, იძულებულნი ვხდებით, მათი სურვილების შესაბამისად მოვიქცეთ. იმ შემთხვევაში, თუ ბუთბას დავალებას არ შევასრულებდით, აფხაზი ბოევიკი ოჯახების ამოწყვეტით გვემუქრებოდა"**, - აცხადებენ სეპარატისტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში მხილებული, დაკავებული ქართველები. როგორც ირკვევა, ბუთბას დავალებით, სწორედ ისინი უკავშირდებოდნენ გატაცებული ჩანგელიას ოჯახს და 80 ათას დოლარს ითხოვნენ მძევლის სანაცვლოდ.

ერთი სიტყვით, გამტაცებლები დაკავებულები არიან, გატაცებული კი კვლავ მძევლობაშია და გავრცელებული ხმებით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სპეცდანიშნულების რაზმის შტაბში იმყოფება. რისთვის სჭირდება აფხაზ კრიმინალს მძევლად მაინცდამაინც როლანდ ჩანგელია, ამის შესახებ გამოძიება, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს.

# ოლიმპიურ სკანდალს ამერიკის სასამართლო განიხილავს

აშშ-ს კოლორადოს შტატში იწყება სოლტ-ლეიკ-სიტის 2002 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებული კორუფციული საქმის განხილვა. ორ განსასჯელს, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგებიან, თაღლითობისა და რეკეტიორობის 15 ბრალდება აქვთ წაყენებული.

ტომ უელჩსა და დეივ ჯონსონს კოლორადოს შტატის პროკურატურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოსყიდვაში ადანაშაულებს. მათ შექმნეს სპეციალური ფონდი, რომელიც ოლიმპიადაზე გამარჯვების მსურველებს "საქმეს უწყობდა", რა თქმა უნდა, სოლიდური საზღაურის სანაცვლოდ. ფონდის ბიუჯეტი მილიონ დოლარს შეადგენდა. ბრალდებულები ფონდის ბიუჯეტის მეშვეობით აფინანსებდნენ ოლიმპიური კომიტეტის წევრების ვიზიტებს საზღვარგარეთ, უკეთებდნენ მათ ძვირფას საჩუქრებს, ეხმარებოდნენ სხვადასხვა სოციალური საკითხების მოგვარებაში და კომიტეტის წევრების შვილებს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელშიც კი აწყობდნენ.

მას შემდეგ, რაც კორუფციის შესახებ პრესაში ინფორმაციები გავრცელდა და ამ თემაზე სერიოზული სკანდალი ატყდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამერიკელ წევრთა უმეტესობა იძულებული გახდა, კომიტეტი დაეტოვებინა. კორუფციაში დადანაშაულებული 10 წევრი კი კომიტეტიდან დაითხოვეს.

ტომ უელჩსა და დეივ ჯონსონს, რომლებიც ასევე, დადანაშაულებულნი არიან ოლიმპიური კოდექსის დარღვევაში, თუ ბრალდება დაუდასტურდათ, ხუთი წლით პატიმრობა და სოლიდური ჯარიმის – 250 ათასი დოლარის გადახდა ელით. გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე, რომელიც, სავარაუდოდ, ორ თვეს გაგრძელდება, შესაძლოა, ორი განსასჯელის გვერდით ადგილი დაიკავონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იმ წევრებმა, რომლებიც კომიტეტიდან კორუფციის ბრალდებით დაითხოვეს.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## მე მჯერა ჩემი თაობის

### როცა უყურადღებოდ ვრჩები, სურვილი მიჩნდება, ყველას გავაგებინო, რომ აფხაზი ვარ

*მადინა კაკბა 19 წლისაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სოხუმში წასვლას და ქართველებისა და აფხაზების შერიგებაში თავისი წვლილის შეტანას აპირებს. ამ საქმეში კი მას თავისი თაობის იმედი აქვს.*


*მადინა კაკბა "24 საათის" რედაქციაში.*

**მადინა კაკბა:** ჩვენი ოჯახი სოხუმში ცხოვრობდა. დედა ქართველი მყავდა, ქორიძე. მამის გარდაცვალების შემდეგ ნერვიულობას გადაყვა და 1 წლისა დავობლდი. მე და ჩემი უფროსი ძმა თავის ოჯახში წაგვიყვანა დედაჩემის ძმამ, რომელიც ჩვენი მეურვე გახდა. ქართველებში გავიზარდეთ, ამიტომ აფხაზური ერთი სიტყვაც არ ვიცით. შემდეგ ომი დაიწყო და იძულებული გავხდით, აფხაზეთი დაგვეტოვებინა. მაშინ 7 წლის ვიყავი.

ჩამოვედით სამტრედიაში და დღემდე იქ ვცხოვრობთ. თუმცა, ამჟამად თბილისში ვწსავლობ და აქვე ვცხოვრობ დეიდასთან.

**- აფხაზ ნათესავებზე რას იტყვი?**

- მამის მხრიდან აფხაზეთში უამრავი ნათესავი მყავს (უფრო მეტი, ვიდრე აქ დედის მხრიდან), მაგრამ მათთან ურთიერთობა არ მქონია. პირველი კონტაქტი შარშან შედგა, როცა სოხუმიდან მამიდაჩემი დაგვიკავშირდა. სამტრედიაში ჩვენი სასტუმროს მეზობელ ოთახში ცხოვრობდა ერთი დევნილი კაცი, რომელსაც აფხაზი ცოლი ჰყავდა. ერთხელაც ის ქალბატონი სოხუმიდან სამტრედიაში ჩამოვიდა და სწორედ მას გავატანეთ მამიდასთან ჩვენი კოორდინატები. ასე მოგვძებნა და მალე სოხუმშიც ჩაგვიყვანა. ეს იყო შარშან, ნოემბერში. მე, ჩემმა ძმამ და რძალმა სოხუმში სამი დღე დავყავით, მაგრამ ეს დრო არ მეყო და საახალწლოდ მამიდაჩემს ისევ შევხვდი საზღვარზე.

**- დრო რისთვის არ გეყო?**

- სოხუმი ჩემი სამშობლოა და მენატრებოდა. ქუჩაში დავდიოდი და გული მტკიოდა, ამდენ დანგრეულ შენობებს რომ ვუყურებდი. ძალიან დიდი სისულელე ჩავიდინეთ. ომი საშინელებაა.

**- დანგრეულს არ აშენებენ?**

- აშენებენ, მაგრამ ზოგიერთ დიდ შენობას ხელს არ კიდებენ (მაგალითად, სასტუმრო "აფხაზეთი"), ისტორიას უნახავენ.

**- როგორ დაგხვდნენ?**

- ჩვენ საპატივცემოდ ბევრი ხალხი შეიკრიბა, მეზობლები, ნათესავები და დიდი სუფრაც გაიშალა. მერე ქართული სიმღერაც შემოსძახეს.

**- ქართველების დაბრუნებას როგორ უყურებენ?**

- ქართველების დაბრუნების მიმართ ძალიან დიდი, პანიკური შიში აქვთ. ქართველი მეზობლების ამბავს კითხულობენ, აინტერესებთ, აქეთ როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ, მაგრამ ეს არის და ეს. მათი დაბრუნება არ უნდათ.

**- მაინც რას ამბობენ?**

- არაფერს, ამის თაობაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ ურთიერთობის და საუბრის დროს აშკარად იგრძნობა შიში და დაძაბულობა. ისე ყველა ფიქრობს, რომ ჩვენი უბედურება მესამე ძალის ბრალია, მაგრამ ვერც ამას ამხელენ.

**- რატომ?**

- მე და მამიდაჩემმა იმდენი ვილაპარაკეთ, მთელი ღამე გავათენეთ და როცა ვუთხარი, ყველაფერი რუსეთის ბრალია-თქო, გამაჩუმა, აქ კედლებსაც ყურები აქვთო. რა ვიცი, შეშინებულები არიან.

სოხუმიდან რომ ვბრუნდებოდით, ქართულ მხარეზე არც საბუთები გაუსინჯიათ და ისიც მითხრეს, თუ გინდა, მამიდაშენიც გადმოიყვანე და სადაც გინდათ, იქ წადითო. აფხაზეთში კი ასე არ არის. იქ ყველაფერს დეტალურად ამოწმებენ და მერე გითვალთვალებენ. ფორმიანები ძალიან უნდობლად იქცევიან.

სანამ სოხუმში ჩავიდოდით, ერთი დღით გალში შევყოვნდით, გვარდიელების ბინაში. სულ უკვირდათ, საქართველოში როგორ ცხოვრობ, არავინ გჩაგრავსო? ასეთი წარმოდგენა აქვთ.

**- შენ რა უთხარი, როგორ ვცხოვრობთ?**

- დაჩაგრულის რა მეტყობა-მეთქი. ეს კი არა, ყველა, ვინც კი გაიგებს, აფხაზიაო, განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით მეპყრობა. ხანდახან, როცა უყურადღებოდ ვრჩები, სურვილი მიჩნდება, ყველას გავაგებინო, რომ აფხაზი ვარ.

**- ცხოვრების დონე როგორია?**

- სავსებით ნორმალურად ცხოვრობენ. პირობითად, თბილისის დონე თუ არა, ქუთაისის დონე მაინცაა. ჩემი ბიძაშვილი 24 წლისაა, სწავლობს და მუშაობს. იქ სამსახურის შოვნა ადვილია. ჩვენ რომ იქ ვცხოვრობდეთ, უკეთესად ვიქნებოდით.

**- რა მხრივ, მორალურად თუ მატერიალურად?**

- რა თქმა უნდა, მატერიალურად, თორემ მორალურად აქაც ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. სხვათაშორის, მამიდაჩემმა ჩემს ძმას უთხრა, ჩამოდი და უკეთესად იცხოვრებო. სოხუმში სამოთახიანი ბინა დაგვრჩა, რომელსაც მამიდაჩემი უვლის. სოფელშიც დიდი კარმიდამო გვაქვს. მარტო მანდარინის მოსავალი გვაცხოვრებდა, მაგრამ ჩემი ძმა არ დათანხმდა.

მამიდას ჩემი წაყვანაც უნდოდა, აქ ჩააბარეო და სოხუმში უნივერსიტეტის რექტორსაც ელაპარაკა, მაგრამ იქ წასვლაზე მეც უარი ვთქვი.

**- რატომ?**

- ჯერ მინდა საქართველო და მისი ისტორია შევისწავლო, მერე სოხუმშიც წავალ.

**- იქ რას გააკეთებ?**

- სამუშაო მექნება. თანაც მინდა, რომ ქართველებისა და აფხაზების შერიგების საქმეში ჩემი წვლილიც შევიტანო.

**- როგორ?**

- ჩემი თაობის იმედი მაქვს. ისინი აუცილებლად გამიგებენ. იმიტომ, რომ ჩვენ ომის საშინელება კარგად არ გვახსოვს. სამაგიეროდ კარგად გვახსოვს ის სითბო, სიყვარული და მეზობლობა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შორის იყო. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თაობა შერიგებას შეძლებს. ბოლოსდაბოლოს, ყველამ უნდა გაიგოს, რომ აფხაზებიც ქართველები ვართ და ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ.

სიყვარულის პაწაწინა ნაპერწკალიც რომ წარმოიშვას, აუცილებლად გაღვივდება.

## საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, სადაც აფხაზების დაბრუნება შესაძლებელი იქნება

*ცნობილი ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში ივლიანე ხაინდრავა მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარების საფუძველი ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის ფაქტორის აღდგენა და მტრის ხატის დაძლევაა. ორივე საზოგადოებამ უნდა გაიზიაროს მოსაზრება, რომ ჩვენ არ ვართ ერთმანეთის მტრები. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომლითაც ორივე მხარე დარწმუნდება, რომ დევნილების დაბრუნება არ გამოიწვევს იმ ცუდ ვითარებას, რამაც კატასტროფამდე ერთხელ უკვე მიგვიყვანა. ეს არის საუძველი, რომელსაც უნდა მოჰყვეს პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.*
*ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საერთო ინტერესების იდენტიფიცირება და მასზე აქცენტის გაკეთება. საუბრობენ თორნიკე ბერიშვილი და ივლიანე ხაინდრავა.*


*"აფხაზებს რა ვუპასუხოთ?"*

**- ბატონო ივლიანე, პარადოქსია, მაგრამ არჩევნების წინ აფხაზეთის საკითხში ისეთი უმოქმედობაა, თითქოს ეს პრობლემა აღარ დგას. რა ხდება?**

- როდესაც საუბარია აფხაზეთის საქართველოში რეინტეგრაციაზე, თუ სახელმწიფო სტრუქტურები უიდეოები არიან და არ არსებობს ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამა, სამოქალაქო საზოგადოება რაოდენ აქტიურიც გინდა იყოს, არაფერი გამოვა.

იმიტომ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს საქმეა. შესაბამისი გეგმის შემუშავება სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე უნდა ხდებოდეს და პოლიტიკური სპექტრიც გაცილებით ჩამოყალიბებული უნდა იყოს.

ის, რომ აფხაზეთის თემა საერთოდ არ ფიგურირებს არჩევნებში, ფაქტია და ამას ორი მხარე აქვს. პირველი - აფხაზეთის თემამ დაკარგა ის სიმწვავე, რომელიც 6-7 წლის წინათ ჰქონდა (ამას ნებისმიერი გამოკვლევა ადასტურებს) და მეორე – სათქმელიც არაფერია.

6 წლის წინათ ჩამოყალიბებული კონცეფცია წარმოადგინა "რესპუბლიკურმა" პარტიამ. მას შემდეგ არც ერთ სხვა ორგანიზაციას არ წარმოუდგენია საპროგრამო ხასიათის დოკუმენტი. პოლიტიკურ სპექტრში არსებობს ერთგვარი გააზრება იმისა, რომ პირველყოვლისა მისახედია ის, რაც პირობითად საქართველოდან დარჩა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ არშემდგარი სახელმწიფო, ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი აფხაზეთის რეინტეგრაციაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებითაც ვერ არის საქმე კარგად.

**- აქ უნდა გავიხსენოთ სპეკულანტური განცხადებები იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრიობა ვერ შედგება.**

- ეს იმთავითვე მცდარი მიდგომაა. ახლა სხვა ტიპის ამოცანები დგას. ხელისუფლება თვითგადარჩენას ცდილობს, სხვებს მისი ჩანაცვლება უნდათ და აფხაზეთის საკითხის ამგვარად წამოწევა, რომ მის გარეშე სახელმწიფო ვერ შედგება, არავის აძლევს ხელს. ეს თეზისი რომ ვინმემ წამოაყენოს, უნდა დაასაბუთოს კიდეც, რატომ არის ასე და ისიც უნდა თქვას, როგორ აპირებს ამ პრობლემის გადაწყვეტას.

**- აქედან, აფხაზეთის თემა საარჩევნოდ სახიფათოა. ჯერ ერთი, დამუშავებული არ არის და მეორეც, ამ თემაზე საუბრისას ისეთ აბსურდამდე შეიძლება მისვლა, რომელიც საარჩევნოდ ხელს არავის აძლევს.**

- ცხადია, აფხაზეთის პრობლემას კოზირად ვერავინ გამოიყენებს. ხელისუფლებას, რომელსაც 10 წლის განმავლობაში წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, სათქმელი არაფერი აქვს. პოლიტიკურ პარტიებს კი საკითხისადმი სისტემური მიდგომა აკლიათ.

ეს არ იყო მათი ყოველდღიური საქმიანობის საგანი. "გახსოვდეს აფხაზეთით" შემოიფარგლა ყველაფერი.

**- დევნილებთან რა მდგომარეობაა?**

- დევნილები, როგორც სტრუქტურირებული ერთობა ან ერთეული, არ არსებობს, დანაწევრებულია. გამოყენებულია ძირითადად რაღაც სპეკულანტური მიზნებითა და მოტივებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ დევნილებმა საკუთარი რიგებიდან ახალი ლიდერები ვერ წამოწიეს და დღეს დევნილების სახელით ისეთი ადამიანები საუბრობენ, რომლებიც ოდიოზური პიროვნებები არიან და რომელთაც არ შეიძლება, რომ დევნილებმა საკუთარი მომავალი და აფხაზეთში დაბრუნება დაუკავშირონ.

**- რა გამოდის, ეს პრობლემა ჩვენთვის, სამწუხაროდ, დამთავრებულია და აღარ არსებობს?**

- პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობს. აქ შეიძლება ისეთ არარაციონალურ მცნებებზე საუბარი, როგორიცაა შელახული ეროვნული ღირსება – 200 ათასი ადამიანის ბედი, რომელთა დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, ჰაერშია გამოკიდებული და ლამის მარგინალურ ჯგუფად არის ქცეული. ეს ყველაფერი არსებობს და არ გამოვრიცხავ, რომ შეიქმნება ვითარება, როდესაც ამ პრობლემის აქტუალიზაცია მოხდება. სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამის გააქტიურებას სპეკულანტური მოტივებით უფრო ვხედავ, ვიდრე სისტემატური, თანმიმდევრული მიდგომის თვალსაზრისით.

არ გამოვრიცხავ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამ თემამ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინოს, როდესაც ვიღაცა დაიბრალებს, რომ მან იცის პრობლემის მოგვარების გზა. საერთოდ, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მე უფრო აგრესიულ განწყობას ველი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების საკითხი ჩვენნაირ ქვეყნებში სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებში წყდება. იქ კი ამ საკითხის გვერდის ავლა ძნელი იქნება.

**- ადრინდელისაგან განსხვავებით დღეს უკვე ხმამაღლა შეიძლება საუბარი აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ.**

- აბსოლუტურად გეთანხმები და მე თვითონაც მინდოდა მეთქვა, რომ შეიძლება სწორედ იმან მოიგოს, ვინც არააგრესიული და არამილიტარისტულ-რევანშისტული კუთხით მიუდგება ამ საკითხს; ვინც ახლავე დაიწყებს ფიქრს იმაზე, რა მოხდება წელიწადნახევარში, სისტემურად მიუდგება ამ სკითხს და შეიმუშავებს არამილიტარისტულ გეგმას. ამისთვის სერიოზული მუშაობაა საჭირო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შეიძლება ძალიანაც გაამართლოს. თუმცა, ჯერჯერობით, საკითხისადმი ასეთი ტიპის მიდგომა არ შეინიშნება.

აფხაზეთთან დაკავშირებით დღეს უკვე შეიძლება სრულიად საპირისპირო აზრის გამოთქმა და ამისთვის არავინ ჩაგქოლავს. შედეგად საზოგადოებაში ასეთი ნააზრევი კაპიტალი დაგროვდა კიდეც. ახლა საჭიროა მისი ერთგვარი განვრცობა.

ზაფხულის პერიოდში კიდევ ერთხელ გადავიკითხე ცხრა გამოცემა, რომელიც ასახავს კალიფორნიის ინსტიტუტის ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზური დიალოგის ერთ მიმართულებას. უამრავი საინტერესო საკითხია, მაგრამ გამოვყოფ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს - ქართველები და აფხაზები ამ ბოლო წლებში ერთმანეთს არა მხოლოდ უსმენენ, არამედ ურთიერთგაგების უნარსაც ამჟღავნებენ. ბუნებრივია, თითოეული თავის ინტერესს უფრო მაღლა აყენებს, მაგრამ ქართველები უკვე ფიქრობენ, რომ აფხაზეთის პრობლემის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ჩვენი არაადეკვატური, არაშორსმჭვრეტელური და, არ შემეშინდება ამ სიტყვის, გარკვეულწილად იმპერიალისტური აზროვნების შედეგი. აფხაზებს იგივე პრეტენზიები აქვთ ჩვენს მიმართ, რაც ჩვენ რუსეთის მიმართ.

ცხადია, ამ პრეტენზიების ნაწილი გაზვიადებულია და აფხაზები ხშირად ჩვენ გვაბრალებენ იმას, რაც მოსკოვს უნდა დააბრალონ, მაგრამ მათი გაგებაც შეიძლება. ბიუროკრატიული მარშრუტი გადიოდა თბილისზე (სოხუმი-თბილისი-მოსკოვი) და მათთვის პრეტენზიების პირველი ინსტანცია იყო და დღემდე არის თბილისი.

**- ხელისუფლებას შეუძლია, სათავისოდ გამოიყენოს ნებისმიერი ნაბიჯი აფხაზეთის პრობლემის მიგვარებაში, თუნდაც ომი.**

- ჩემი აზრით, ეს ასე აღარ არის. ხელისუფლება დამოკიდებულია ვაშინგტონზე, მოსკოვზე და თვითონ ვერ ახდენს იდეების გენერაციას. მაოცებს, რამდენად ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მიმდინარეობს პროცესის აღწერა. წლების განმავლობაში მოლაპარაკებებიდან ბრუნდებოდნენ უკმაყოფილოები იმით, რომ რუსებმა წამოაყენეს ჩვენთვის მიუღებელი წინადადებები.

კი, მაგრამ შენ რა მიიტანე, რა შესთავაზე და რითი მოხიბლე აფხაზები, რომ საქართველოს სასარგებლოდ დაფიქრებულიყვნენ და ეთქვათ, იქნებ მართლა პირდაპირ ქართველებთან ღირდეს დიალოგიო.

**- რა პერსპექტივა აქვს გაერო-ს მეშვიდე თავის ამუშავებას, რის შესახებაც ბოლო პერიოდში გარკვეული ძალები ხმამაღლა ალაპარაკდნენ?**

- მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურა დღეს არ არის მზად იმისათვის, რომ კავკასიას მიანიჭოს ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც ბალკანეთს. ბალკანეთი ევროპის შუაგულია და იქ განვითარებული მოვლენები უშუალო გავლენას ახდენდნენ ევროპის უზარმაზარ რეგიონზე. ბოსნიის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად თანაზომად ერთეულებთან გვქონდა საქმე. ჩვენთან ეს არ არის. აფხაზეთი არის საქართველოს პროვინცია, ავტონომია. გაეროს მეექვსე და მეშვიდე თავების ამუშავება ძალიან საეჭვოა. ეს სხვა ვითარებაში ხდება ხოლმე. თანაც, დასავლეთში საქართველოს მიმართ გაწბილება მატულობს. რატომ უნდა ჩაერიონ იმ ქვეყნის საქმეში, რომელიც თავის კონტროლირებად ტერიტორიაზეც კი ვერ აგვარებს პრობლემებს. ისინი შიშობენ, ასეთ ქვეყანას აფხაზეთი რომ დაგვიბრუნონ, ხომ არ შეიქმნება დესტაბილიზაციის კიდევ ერთი კერა, რაც მათთვის ძალიან არასასურველია.

**- ვერც იმას დაუსაბუთებ, რომ დესტაბილიზაცია არ მოხდება.**

- ყველაზე ხშირად აფხაზებისგან ისმის შეკითხვა – რატომ უნდა დავბრუნდეთ საქართველოში?!

მე არ ვიცი, რა ვუპასუხო. დაცულად იგრძნობენ თავს, დიდი ეკონომიკური პერსპექტივები მიეცემათ თუ, რა?

ცხადია, ამ შეკითხვაში არ დევს მთელი სიმართლე, იმიტომ, რომ არსებობს დევნილი მოსახლეობა, რომლის უფლებები სრულიად შელახულია, მაგრამ მაინც საქართველო უნდა გახდეს ისეთი ქვეყანა, სადაც აფხაზების დაბრუნება იქნება შესაძლებელი, არა მათი ნების საწინააღმდეგოდ. მათი ნების საწინააღმდეგო მცდელობა ომს გამოიწვევს.

**- მაშინ შეიძლება გავამართლოთ ხელისუფლების უმოქმედობა, რომ აფხაზეთი უკანა პლანზეა გადაწეული და ველოდოთ ქვეყნის დალაგებას.**

- ვფიქრობ, რომ ქვეყნის დალაგება და აფხაზეთის საკითხის მოგვარება პარალელური პროცესები უნდა იყოს, თორემ დრო გადის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აფხაზები და ქართველები ეჩვევიან უერთმანეთოდ ცხოვრებას.

აფხაზეთში საყოველთაო ხდება აზრი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ მოხდება. ომის შემდგომ წლებში აფხაზეთში ამ მიმართულებით ერთგვარი ეიფორია სუფევდა, მაგრამ ახლა ყოველ მოაზროვნე აფხაზს ესმის, რომ მათი დამოუკიდებლობის აღიარება შეუძლებელია. ეს საქართველომაც რომ მოინდომოს, არაფერი გამოვა. მსოფლიო ასეთ სახიფათო პრეცედენტს არ დაუშვებს. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი აფხაზეთის დე-ფაქტო მდგომარეობას ყოველნაირად ამაგრებს, მასაც კი მწვავე რეაქცია ექნება, ვინაიდან რუსეთში მთელი რიგი მსგავსი პრობლემებია.

იმის გააზრებაც ხდება, რომ რუსეთი აფხაზეთის გულწრფელი მეგობარი არ არის და პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებს.

ამიტომ, აფხაზეთში რთული ფსიქოლოგიური ვითარებაა. უნდათ გაიგონ, რა გზას დაადგნენ. ამასობაში მიგრაციამ უკიდურესად გაამწვავა დემოგრაფიული პრობლემა. საქართველოდანაც წასულია მილიონამდე ადამიანი, მაგრამ ამით ქართველი ერის მოსპობის საშიშროება, ჯერჯერობით, არ იქმნება. აფხაზეთში კი აფხაზების ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

ამიტომ, გარკვეულწილად დღევანდელი ვითარება შეიძლება ჩვენთვის პერსპექტიულიც იყოს, რათა აფხაზებს შესაბამისი წინადადებებით მივმართოთ. ყოველ შემთხვევაში, შანსი იმისა, რომ აფხაზეთში ამაზე დაფიქრდებიან, ნამდვილად არსებობს. რამდენად სწრაფად რეალიზებადი იქნება, სხვა სკითხია.

**- ისევ იქ ვბრუნდებით. წინადადებების პაკეტი ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს, რომელიც ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს.**

- შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებიდან საპრეზიდენტო არჩევნებამდე შევარდნაძისთვის ყველაზე კარგი პერიოდია, რომ გამოვიდეს სამშვიდობო ინიციატივებითა და იდეებით. მისი ვადა მაინც იწურება, ელექტორატისთვის ბრძოლა საჭირო აღარ არის. რა თქმა უნდა, საუბარი იქნება ორმხრივ კონსენსუსზე და, თუ შევარდნაძე დატოვებს ასეთ პაკეტს, ეს უკვე პროგრესი იქნება. აფხაზეთს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი დიპლომატიური და პოლიტიკური შესაძლებლობები. ჩვენ ასეთი საშუალება მათთვის ჯერ არ მიგვიცია.

**- როგორი დამოკიდებულება აქვთ აფხაზებს ქართველების დაბრუნებისადმი?**

- თავად აფხაზებისგან ვიცი, რომ აფხაზს ბალიშის ქვეშ იარაღი უდევს. აფხაზეთში ქართული რევანშის მოლოდინი და შიში ძალიან მაღალია. ეს საზოგადოება არ იმყოფება გაწონასწორებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. ქვეცნობიერად აფხაზებსაც ესმით, რომ მართლები არც ისინი არიან. ისიც ესმით, რომ დევნილების პრობლემა არანორმალური მდგომარეობაა. არც ისაა მათთვის უცხო, რომ რუსეთმა აფხაზეთი თავისი მიზნებისთვის გამოიყენა, რათა საქართველოსთვის დიდი პრობლემები შეექმნა. ამიტომ, ქართველთა მასობრივ დაბრუნებაში დემოკრატიული მექანიზმებითაც კი არის რევანშისტული საფრთხე. ეს შიში ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ გავაქარწყლეთ და აფხაზები ვერ დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ამისკენ არ მივილტვით; რომ ჩვენ ვაპირებთ მათი უფლებების დაცვას.

ასე იმიტომ ხდება, რომ მათ ჩვენი მხრიდან იგნორირების მწარე გამოცდილება აქვთ. ჩვენ აფხაზეთი არ მიგვაჩნდა პირველი რიგის პრობლემად არც პირველი დამოუკიდებლობის წლებში და არც მეორე დამოუკიდებლობის წლებში. პატარა ერი კი ამას ძალიან მწვავედ განიცდის.

*ჩაიწერა*
*ზაზა ფაჩუაშვილმა*

### მეომრები

## მანდარინიანი ავტომატი

1992 წლის ზამთარი იყო. პოსტზე პირველად ვიდექი და იმ დროზე ვოცნებობდი, როცა აფხაზეთის პლაჟებზე თავისუფლად ვნებივრობდი. პარალელურად, ყველაფერი მძულდა - საკუთარი ჩექმებით დაწყებული, სეპარატიზმით დამთავრებული, და ვგრძნობდი, ამ სიძულვილთან ერთად როგორ იზრდებოდა ჩემში მტრის მოკვლის სურვილი. ბოლოს, იმ ზომამდე მივედი, რომ ინსტრუქცია დავარღვიე და "პრედახრანიტელი" ყოველგვარი საჭიროების გარეშე გადავწიე. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ გამოჩნდებოდა კორპუსებში მტერი, როგორ ამოვეფარებოდი ბეტონის ღობეს და როგორ "დავაწვენდი" პირველ ორს. მერე ადგილს ელვისებურად შევიცვლიდი და ახლა სხვა მხრიდან მოვკლავდი ერთ-ორ კაცს. ამასობაში ჩვენებიც მოირბენდნენ და ყველას დავხოცავდით. მე მილოცვებს მივიღებდი და "კლიჩკა რემბოსაც" შევიფერებდი.

ამ წარმოდგენამ ჩემთვის აუხსნელი რაღაც ტვირთი მომხსნა და თითქოს ომთან დამანათესავა. ბრძოლის, მოკვლის და სიკვდილის სრული მზადყოფნა ვიგრძენი და ის-ის იყო ამოვისუნთქე, რომ ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე შავებში ჩაცმული პატარა, 7-8 წლის გოგონა დავინახე. პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. მიმოვიხედე, სხვა არავინ ჩანდა.

ავტომატი შევარხიე, იქნებ დავაფრთხო-თქო, მაგრამ მაინც მოვიდა, წინ დამიდგა და მომაშტერდა. არ ვიცი, რამდენი წამი მიყურა. მერე ისე მიიხედა უკან, თითქოს ელოდებიანო და ჯიბიდან ერთ ტოტზე ასხმული სამი ტყუპი მანდარინი ამოიღო. უხმოდ გამომიწოდა და ისე შვილივით გამიღიმა, ძლივს შევძელი მანდარინის გამორთმევა. მინდოდა, მოვეფერებოდი და მადლობა მეთქვა, მაგრამ ასევე მოულოდნელად გაუჩინარდა.

მანდარინი ავტომატის კონდახზე "ჟგუტით" მივამაგრე და მოვეფერე, თითქოს იმ ბავშვს ველაპარაკებოდი - ნუ გეშინია, ეს აღარ გაისვრის-მეთქი. რამდენიმე დღეში ფეხი მომტყდა და მართლა ისე ჩამოვედი აფხაზეთიდან, ერთი ტყვიაც არ გამისვრია.

*ზაზა ფაჩუაშვილი*

### მოკლედ

#### ვახე მოდის

ოქტომბრის ბოლოს საქართველოს სამოქალაქო პოლიციის ხელმძღვანელი, გერმანელი გენერალი ვახე ესტუმრება. ვიზიტის მიზანს ნოემბერ-დეკემბერში აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის ქვედანაყოფების შესაყვანად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება წარმოადგენს. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სამოქალაქო ქვედანაყოფების შეყვანაზე თანხმობა ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა უკვე გამოთქვეს. **ინტერ-პრესი**

#### დაჯილდოება

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის ყოფილი მინისტრი სულთან სოსნალიევი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ "ღირსებისა და დიდების" პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, იტყობინება საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესი". სოსნალიევს ჯილდო გადაეცა "აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის და 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამხედრო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის". **პრაიმ-ნიუსი**

#### ძმათაკვლის სტატისტიკა

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების დროს, ქართული მხრიდან, დაახლოებით, 3 500 მებრძოლი დაიღუპა. გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლი კი, დაახლოებით, 7 ათასი მშვიდობიანი მაცხოვრებელი გახდა. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ცნობით, აფხაზური მხრიდან კონფლიქტის დროს 3000-მდე ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა აფხაზი ეროვნების იყვნენ. კონფლიქტის შედეგად 275 ათასზე მეტი ადამიანი დევნილი გახდა. **პრაიმ-ნიუსი**

### ფოტოკონკურსი


*საკონკურსო ფოტო N12.*

ნომრის სტუმარი

# განსაკუთრებული რეგიონის განსაკუთრებული უპატრონობის ამბავი

მაია ჭალაგანიძე

*ტერიტორიადაკარგული საქართველოს სიმბოლოდ აფხაზეთიდან ლტოლვილებით სავსე სასტუმრო "ივერია" ითვლება და არა სასტუმრო "აფხაზეთი", სადაც ძირითადად, სამაჩაბლოდან დევნილნი ცხოვრობენ. "განსაკუთრებით უპატრონო განსაკუთრებული რეგიონი", - ასე უწოდებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობას "ბურჯანაძე-დემოკრატების" მაჟორიტარი კანდიდატი. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში პრივილეგიები ლტოლვილთა კატეგორიებსაც გააჩნიათ. როცა საზოგადოების ამ ნაწილზეა საუბარი, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილები ახსენდებათ, როცა კონფლიქტებზე - აფხაზეთის კონფლიქტი.*

*"თითოეული იქ მაცხოვრებელი ადამიანი ჩვენი დროის ცოცხალი გმირია. იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა, როგორ უნდა უყვარდეს ოჯახი და სამშობლო... ასეთი ადამიანები ყოველგვარ სიკეთეს არიან მოკლებულნი და დამოკიდებულნი არიან ღმერთსა და საკუთარ ხელებზე..." - ამბობს დეპუტატობის კანდიდატი კახა გორჩაშვილი. მას დეპუტატისთვის აუცილებელი ერთი თვისება აკლია - ბევრი ლაპარაკი არ ეხერხება. საქმე ის არის, რომ მის პროფესიას საუბარი არ სჭირდებოდა - უკანასკნელი 10 წელი სახელმწიფო დაცვის სამსახურის ოფიცერი იყო და პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას იცავდა...*

- ცხინვალში დავიბადე. ისე, როგორც მე, ჩემი შვილებიც ყოველ ზაფხულს სოფელ კეხვში ატარებენ. ჩემი მშობლები და ყველა ნათესავი იქ ცხოვრობს. მიმოსვლა არ ჭირს. თუ მანქანის საბუთები წესრიგშია, ცხინვალზე გავლა პრობლემა არ არის.

### ლიახვს იქით

ძალიან ცუდად ცხოვრობენ. არ არსებობს არანაირი სამუშაო ადგილი. მოსახლეობა, ძირითადად, მეხილეობას და ცოტაც მესაქონლეობას მისდევს. საძოვრები არ არის და მხოლოდ იმდენი საქონელი ჰყავთ, რამდენიც ოჯახს სჭირდება.

შედარებაც არ შეიძლება, საკმაოდ მდიდარი მხარე იყო და ხალხიც კარგად ცხოვრობდა. სავიზო რეჟიმისა და სხვა გარემოებათა გამო გლეხი იძულებულია, იმ ფასად გაყიდოს პროდუქტი, რასაც სთავაზობენ...

კონფლიქტმა და არეულობამ იქ 60-70 წლით უკან დაწია ყველაფერი. ეს მხარე განსაკუთრებულ რეგიონად ხომ ითვლება და განსაკუთრებული უყურადღებობაც სჭირს. ყველა ქართული სოფელი თავს უპატრონოდ გრძნობს. არაფერი არ ფუნქციონირებს, არანაირი საწარმო. სრული დაუსაქმებლობაა. ახალგაზრდობა ან საკუთარ ბაღში მუშაობს, ან ბირჟაზე ზის, მერე სვამს...

ეს სოფლები გორის რაიონად ითვლება... დღისით შეიძლება ცხინვალზე გავლა, მაგრამ ღამე - შეუძლებელია. დიდი ლიახვის ქართულ სოფლებს - ხეითს, კეხვს, თამარაშენს, ქურთას, აჩაბეთს, ძარწემს, ქემერტს, რაღაცნაირად, მოწყვეტილი მდებარეობა აქვთ და მოსახლეობა ღამით სიარულს ერიდება.

ოს და ქართველ მოსახლეობას შორის ურთიერთობები ცუდი არ არის, ნორმალურია. გლეხები საკუთარ საქმეს აკეთებენ - შრომობენ. ერთადერთი პრობლემა ამ ყველაფრის გადაწყვეტის პოლიტიკური სურვილის არქონაა. პრობლემის მოგვარება კი რამდენიმე კაცზეა დამოკიდებული.

ადამიანებს წყნარი ცხოვრება სურთ. უამრავი შერეული ოჯახი არსებობს და ერთმანეთის მიმართ სიძულვილს ნამდვილად არ განიცდიან. სიძულვილი კონფლიქტის დროსაც არ არსებობდა. ძირითადად, მხოლოდ ოსი ახალგაზრდობა იყო მოწამლული.

### არჩევნები ხეობაში

როგორც ყველგან, დიდი და პატარა ლიახვის საარჩევნო სიებიც არეულია. სოფელი მონასტერი ქართველთა და ოსთა მშვიდობიანი ცხოვრების ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მაგალითი მაინც არის... ეს სოფელი დღემდე საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებში მონაწილეობდა. წელს კი, რატომღაც, ქართულმა მხარემ თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოაქცია. ამის ერთადერთი მიზეზი შემდეგია: იმ სოფელში კარგად ვიმუშავე და ვიცი, რომ ჩემი მხარდამჭერები არიან.

ისე კი, ტოტალური უნდობლობაა - ხალხი ყველას მშვიდად უსმენს, მერე კი ხელს ჩაიქნევენ და მიდიან.

ამ წინასაარჩევნოდ ჩემს მეგობარ მომღერლებს - ერგემლიძეს, მერკვილაძეს, დოიჯაშვილს ჩამოსვლა ვთხოვე. ჩამოვიდნენ, სამ-სამი სიმღერა იმღერეს და ხალხს მოეფერენ. ამ ღონისძიებამ დიდი შოკი გამოიწვია. ხალხი მეუბნებოდა, 27 წლის ისე გავხდით, ასეთი რამ არ გვინახავსო...

ამის შემდეგ ხალხს ერთი თვის პენსიები დაუკავეს – თქვენი ფულით ჩატარდა კონცერტიო. ყველაფერს კადრულობენ...

### ლიხს აქეთ

აჩვენებს გორის ტელევიზია - "თრიალეთი", რუსული არხები და ერთიც ოსური.

ხეობაში რუსული დენია და მიწოდება მხოლოდ ცხინვალის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. არადა, არსებობს კეხვის ჰესი, რომელზეც სარემონტო სამუშაოების 90 პროცენტი დასრულებულია. სულ მცირე რაოდენობის თანხაა საჭირო ჰესის ასამოქმედებლად და ამ ცხრა ქართული სოფლის მოთხოვნილებაც დაკმაყოფილდება.

ხელისუფლება და მისი წარმომადგენელი რჩეულიშვილი არაფერს აკეთებს, იქ ჩამოსული არავინ მინახავს. ყველაფერი მოშლილია, უპატრონობაა და არავის არაფერი აინტერესებს.

### ალბათ, ცხინვალში ემტერებიან ქართველებს?..

ბაზარი შუაგულ ცხინვალშია. ქართველები იქ ჩვეულებრივად ჩადიან და ვაჭრობენ, სიძულვილი არ არსებობს. კონფლიქტი "ოსეთის პრეზიდენტისა" და ხელისუფლების ახირებაა, თორემ ხალხს ჩვეულებრივი ცხოვრება, შრომა და ოჯახების მოვლა სურს.

როგორც იცით, არსებობს ერგნეთის ბაზრობა, ფულის საჭრელი ადგილი, კონტრბანდის ბუდე, რომლის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცის... ეს ფული ხელისუფლების ჯიბეში მიდის. ამიტომაც, ასეთი სიტუაციის არსებობა ხელს აძლევთ. ხალხის ბედი კი არავის აინტერესებს...

### დაცვის ობიექტი - ჟვანია

ჟვანიასთან 10 წლის მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს. მას კარგ მეგობრად ვთვლიდით და თავადაც ასე იყო განწყობილი.

ცხოვრებამ საშუალება მომცა, მენახა, როგორ შეიძლება იყო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და სუფთა ხელებით დარჩე... ცოტა ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ასეა.

17 კაცი იცავდა ჟვანიას. ნოემბრის ამბების დროს, პოსტიდან გადადგომის შემდეგ, ხელისუფლებას რაც არ უნდა ჩაეფიქრებინა, ვერანაირი ბრძანება ვერ იმოქმედებდა - ჩვიდმეტივე კაცი ჟვანიას დასაცავად იყო მობილიზებული...

### "ურეკის შეთქმულება"

გახსოვთ, ალბათ, რა ამბავი ატეხეს, ასლან აბაშიძეს შეთქმულებას უწყობდნენო. არავითარ საიდუმლო შეხვედრებს არ ჰქონია ადგილი. ჟვანიამ ის დღეები ოჯახთან ერთად გაატარა, დაისვენა. ჩვენც იქ ვიყავით, დავრბოდით პლაჟზე და ვისვენებდით. როგორც ჟვანიას გაუკვირდა, ისევე გავოცდით ამ ინფორმაციით. ზურაბ ჟვანიამ მართლა გულითა და შემართებით დაიწყო საქმის კეთება. მისი რეიტინგი იზრდებოდა და სწორედ ამიტომ შეთითხნეს ეს საქმე.

### რატომ, მაინცადამაინც, დეპუტატობა?!

ქართველებმა და ოსებმა ერთად უნდა იცხოვრონ. მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას ალტერნატივა არა აქვს. რეგიონში მეჩვიდმეტე საუკუნის გზებია. სასმელი წყალი არ არსებობს, მოსახლეობა ლიახვის მღვრიე წყალს სვამს. არც კულტურის სახლი, არც სპორტული მოედანი... არიან ოჯახები, რომლებიც კვირების განმავლობაში მხოლოდ მოხარშულ სიმინდს ჭამენ, რადგან სხვა არაფერი აქვთ. ბავშვები შიმშილში იზრდებიან, დაქცეულ სახლებში ცხოვრობენ...

არადა, იმის შესაძლებლობა არის, რომ ხალხი ოდნავ ნორმალურად აცხოვრო. ხეობა მთლიანად ტრანსფერზეა - ბიუჯეტში ფული არ შედის, რადგან არაფერი მუშაობს. სახელმწიფომ უნდა შეძლოს ხილის გადამამუშავებელი პატარა საწარმოს აშენება და ხალხის დასაქმება.

ამ რეგიონის კეთილდღეობას სოციალურის გარდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს - ლიახვის ორივე ხეობაში რომ გზა დააგო, ნორმალური სკოლა, სპორტდარბაზი ააშენო, ხალხი რომ დაასაქმო, დამშვიდდება. ხელს თუ შეუწყობ, ქართველი ნორმალურ ცხოვრებას ისწავლის. ოსსაც ოჯახი ჰყავს, სიმშვიდე რომ დადგება, რუსეთისკენ არც გაიხედავს.

თუ ამ ქვეყნის შენების დაწყება გინდა, აი, ასეთი ადგილებიდან უნდა დაიწყო. განსაკუთრებულ რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ლიახვის ხეობაში გზის დაგება ქართველებისა და ოსების შერიგებას ნიშნავს. ამიტომ კეთილი უნდა ინებონ და დააგონ, ააშენონ, შეაკეთონ.

### დაკარგული სიმდიდრეები

დიდი ლიახვის ხეობაში წითელი მიწების, ე.წ. ტუფ-ლავის საბადოა, რომელიც სამშენებლო მასალებისთვის გამოიყენება. ეს ხომ სიმდიდრეა. იქაც სრული განუკითხაობაა. საბადო მთაზეა შეფენილი. ყოველგვარი კანონების, მეწყერის საშიშროების გათვალისწინების გარეშე იჭრება. სად მიდის ეს ფული, გაურკვეველია. არაფრით ეტყობა იმ სოფლებს, რომ მათ გვერდით საბადო არსებობს.

სასმელი წყალი, წყაროები არის, მაგრამ კომუნიკაციები მოშლილია. ხეობაში მიწისძვრითა და მეწყერით დაზარალებული ბევრი ოჯახი ცხოვრობს. თუ არ ვცდები, 1991 წელს სამთავრობო კომისია შეიქმნა, დადგინდა დაზიანების კატეგორიები. არავინ იცის, სად არის ეს თანხები გადმორიცხული და გამოყენებული. მხოლოდ თითო-ოროლა ოჯახია დაკმაყოფილებული. როგორ ცხოვრობს ხალხი, მიკვირს - კედლები დაბზარულია და ზედ სოკო ამოდის.

### ხელისუფლების შანსები

მხოლოდ და მხოლოდ გაყალბება.

იქაურობას განსაკუთრებული უყურადღებობა სჭირს. ორივე ხეობაში 8 500 ამომრჩეველია. როგორც ყველგან, იქაც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები - სოფლის მასწავლებლები, გამგეობის მუშაკები - სასტიკად არიან გაფრთხილებული, რომ ხმა სახელისუფლო ბლოკს მისცენ. ალბათ, ასეც მოხდება, რადგან ადამიანებს ერთადერთი საარსებო წყაროს დაკარგვა არ უნდათ.

სურვილის და მონდომების იმედი მაქვს. წინააღმდეგობების კი არ მეშინია - წინ ვერაფერი დამიდგება. რეგიონის პრობლემები მხოლოდ ჩემი არ იქნება. ასევე იქნება იმ გუნდისა, რომელსაც წარმოვადგენ. ასე ერთობლივად დაყენებული საკითხი ბევრად ადვილად გადაიჭრება. აუცილებლად გადაიჭრება.

### მწვანე ხიდის და გაქცეული ოსის ამბავი

მდინარე მუმლა სოფელ აჩაბეთს მონასტრისგან ყოფს. ამ მდინარემ მოდიდება იცის, თან ისე რომ, მიცვალებულიც კი ვერ გადაჰყავთ. სადღაც ვიშოვე სამხედრო ხიდი, მოვიტანეთ, ბურჯებზე დავდგით და მოკლე დროში კაპიტალური ხიდი ავაგეთ. მთელი სოფელი მონდომებული იყო. ქართველებმა და ოსებმა "მწვანე ხიდი" დაარქვეს (სამხედრო ხიდი ხომ მწვანე ფერისაა). დიდი ხანია, ასე კმაყოფილები და ბედნიერები არ ყოფილან.

მერე კი დაგვაბრალეს, ეს ხიდი 6 მილიონი დაუჯდათო... დეპუტატობის ზოგიერთი კანდიდატი ხიდის აგების წინააღმდეგი იყო - ოსი ქართველს რომ მოკლავს, ამ ხიდით მალე გაიქცევაო. სისულელეებს ლაპარაკობენ, ახალგაზრდებს იარაღსა და სამხედრო ფორმებს ჰპირდებიან... აი, ასეთი სიბნელეა. გაზეთი იქ არ შედის და ტელევიზია არ აჩვენებს.

ოსებსა და ქართველებს ერთმანეთთან ცხოვრების პრობლემა არა აქვთ. კონფლიქტი მხოლოდ რამდენიმე კაცის ბიზნესინტერესებს ემსახურება...

აუცილებლად ჩავერევი კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ყველანაირად შევუშლი ხელს იმას, რომ ხალხის კუთვნილი ფული უკანონოდ და ჯიბგირულად არ დაიხარჯოს და ვიღაცის პირად ინტერესებს შეეწიროს. კანონი უნდა კანონობდეს და თუ ხალხს ფული ეკუთვნის, ბოლო კაპიკამდე მათთან უნდა მივიდეს.

2 ნოემბრის არჩევნებზეა დამოკიდებული, რა ძალები და რა რაოდენობით შევლენ პარლამენტში.

რომ წავაგოთ, ალბათ, ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყნად ვიქცევით. ლიახვი კი ყველაზე ადრე გახდება ისეთი ადგილი, სადაც პერიოდულად რაღაცას შეიტანენ, რაღაცას აჭმევენ, მერე კი ჯარს ჩააყენებენ, რომ გამწარებულმა ადამიანებმა ერთმანეთი არ შეჭამონ...

### ტკბილი მოგონებები

სოფელ ხეითში განსაკუთრებულად თბილი და ტკბილი ბავშვობა მაქვს გატარებული. იქ განსაკუთრებულად ტრიალებს ქართული სული. კონფლიქტის დროსაც კი ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, მასწავლებელი ასწავლიდა, დიასახლისი ოჯახს უვლიდა, მამაკაცი კი თოფით იდგა. საშინელი გულგატეხილობა სუფევს - უსამართლობაა, ასე გიყვარდეს სამშობლო და ასე, უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ხეობაში არ თვლიან, რომ ეს ტერიტორია დაკარგულია. არსად არ აპირებენ წასვლას და თუ ვინმე ფეხს მოიცვლის, მხოლოდ და მხოლოდ თავის სარჩენად წავა.

### უბრალო და არა საუკუნის მშენებლობა

ქართული სოფლები ქემერტი და ძარწემი ფერდობზეა შეფენილი. მათ თავისი წყალსაქაჩი ჰქონდათ. დღეს ის აღარ ფუნქციონირებს. გლეხებმა მითხრეს, თუ ბაღები არ მოირწყა, სამ წელიწადში ავიყრებით და წავალთო. უწყლობა ნიშნავს, ვერ მოკრიფონ და ვერ გაყიდონ ხილი, ვერ იყიდონ ფქვილი და სხვა ელემენტარული საარსებო საშუალებები...

ჩვენ ჰიდროგეოლოგები ჩავიყვანეთ. მათ საველე სამუშაოები ჩაატარეს და თქვეს, რომ არის საშუალება, გარკვეული რაოდენობის წყალმა 24 საათი იდინოს. ამით სარწყავ წყალზე ამ ორი სოფლის მოთხოვნილება მთლიანად თუ არ დაკმაყოფილდება, სერიოზულ შეღავათს იგრძნობენ.

დიდ ნაწილს დეპუტატობა ერთი კაცის ბიზნესი ჰგონია - აკეთო ფული, მერე ამ ფულიდან პატარა ნაწილი ხალხს დაურიგო და ასე იცხოვრო. მიმაჩნია, რომ დეპუტატმა სასიცოცხლო საკითხებზე უნდა იმუშაოს. იქ დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებლად საუკუნის მშენებლობების წამოწყება საჭირო არ არის - პრობლემა ძირფესვიანად უნდა შეისწავლო და გადაწყვიტო. ამ პროექტს ნებისმიერ შემთხვევაში განვახორციელებთ.

საერთოდ, იმ ხეობის დეპუტატს საქმის კეთების უნიკალური საშუალება აქვს - იჩხუბოს იმისთვის, რომ, პირველ რიგში, იქ დაიგოს გზა, იქ დარიგდეს პენსია... საფუძვლად პოლიტიკური მოტივი უნდა დაუდოს – რადგან ეს ყველაფერი რომ გაკეთდება, ნაბიჯ-ნაბიჯ კონფლიქტიც მოგვარდება.



*კახა გორჩაშვილი*



თინეიჯერი



# გლობალური აბორტი

ანა მაყაშვილი

მგონი, ყველაფერი ზაფხულში დაიწყო (თუმცა, შეიძლება ზაფხულამდეც იყო რაღაც, მაგრამ მე ვერ ვამჩნევდი). და დაიწყო გაუთავებელი სატელეფონო ზარები, ქუჩებში კედლების აჭრელება, სახლიდან გამოსულს აუცილებლად რამდენიმე ფერადი, წარწერებიანი ქაღალდი მხვდებოდა კართან; მერე უკვე დაპირებები და ჯერ დაუკისრებელი პასუხისმგებლობის დაკისრება, ათასი აღიარება, თავის გამოდება, ვაჟკაცობა, იმისდა მიუხედავად, რომ მე გულგრილი ვიყავი... ყველაფერი მაინც ასე გრძელდებოდა, თავის ჭკუით ვითარდებოდა, ტემპი ჰქონდა აღებული და ახლა ნელ-ნელა პიკისკენ მიდის. ამის პიკი კი რა არის? - რა და, როგორც დაიწყო, ისე დასრულდება. არჩევნებამდე დარჩა ოთხი დღე.

ჰოდა, ცოტას ამოვისუნთქებ: აღარ მომადგებიან კარზე "სოციოლოგიური გამოკითხვიდან" დაღლილი თანამშრომლები, რომლებმაც ჩემამდე, ალბათ, ხუთას ბინაში მოასწრეს შესვლა (ან მისვლა), მაგრამ მაინც ღიმილით (სასოწარკვეთილი) გიყურებენ და თანაგრძნობას ელიან და აღარც მე მომიხდება მათი მოტყუება, რომ ჯერ არასრულწლოვანი ვარ და არჩევნებზე ვერ მივდივარ. არც იგივე ტყუილის თქმა მომიწევს ტელეფონზე მსგავსი გამომკითხველისთვის, რომელიც, იმისდა მიუხედავად, რომ, ალბათ, ხუთიათასჯერ სვამს მსგავს კითხვას, ე.ი. 30 ათასჯერ აჭერს თითს ტელეფონის ღილაკებს, ცდილობს, თავაზიანი ტონი შეინარჩუნოს და არ გაგაღიზიანოს თავისი არაასასურველი ზარით.

მოკლედ, წლევანდელ არჩევნებზე ასეთი დასავლური ტენდენციები შეიმჩნევა - განსაკუთრებით, ფინანსურად ძლიერი პარტიების მხრიდან. პარტიის ფინანსურ მდგომარეობაზე კი შეგიძლია საარჩევნო რეკლამების, ბუკლეტების, პლაკატების, ე.წ. ბილბორდების ხარისხით, რაოდენობითა და საზოგადოებაში გამოჩენის დროით იმსჯელო (არ ვიცი, ასე მსჯელობენ ხოლმე) და მერე უკვე ადვილია, დაადგინო, რომელი პარტიიდან გიტარებენ "სოციოლოგიურ გამოკითხვას" – შეკითხვის ფორმას უნდა დაუკვირდე; თუ ასე შეგეკითხებიან: "თუ მიდიხართ 2 ნოემბრის არჩევნებზე და საიდუმლო თუ არ არის, ვის აძლევთ ხმას?" - ე.ი. ღარიბი პარტიაა; თუ ასე: "წარმოიდგინეთ, რომ დღეს არჩევნებია! ვის მისცემდით ხმას?"- მაშინ მდიდარია. თუმცა, საქმე ისაა, რომ ხალხი უფრო ღარიბ პარტიებს ანიჭებს უპირატესობას და მაშინ რატომღა ხარჯავენ მდიდარი პარტიები ფულს?! – ალბათ, იმიტომ, რომ აქვთ. და ეს უკვე კარგია – გაქვს და ხარჯავ. მაგრამ, ამას მხოლოდ საკუთარი რეკლამისთვის აკეთებენ. მაშინ ან რეკლამა გაიმარჯვებს, ან ურეკლამობა. თუმცა, ასე თუ ისე, ყველა ახერხებს თავის რეკლამირებას მეტ-ნაკლებად დასავლური ელფერით.

დასავლური ელფერი ჩვენს ტელეარხებსაც შეეტყოთ (მოკლედ, ამ დასავლურმა გავლენამ სრულყოფა 2003 წლის არჩევნებისთვის მზადებისას ჰპოვა) და, პრინციპში, მხიარულება არ მოაკლო საზოგადოებას; თავიანთ ინტრიგებსა და პოლიტიკურ ტენდენციურობაში ბრალდებების პარალელურად, ძალიან გასართობი აღმოჩნდა აღტკინებული პოლიტიკოსების ყურება, რომელთა თავდავიწყება ისე შორს მიდიოდა ხოლმე, რომ ერთმანეთის სექსუალური ორიენტაციის, ეროვნებისა და მორალური მსოფლმხედველობის გარკვევას იწყებდნენ. ეს ყველაფერი კი სამხრეთამერიკული სერიალების მშვენიერი შემცვლელი გამოდგა.

დასავლურ გავლენას, ალბათ, ხმების გაყალბებისაგან დაცვის მეთოდებიც მიეკუთვნება, რაშიც შედის თითზე სითხის დასხმა და უამრავი ახალგაზრდა დამკვირვებელი. "დასაქმების 900 დღის" არ ვიცი, მაგრამ გარკვეულმა პარტიებმა, რაც მათ ახალგაზრდები ასაქმეს და ასაქმეს თავიანთ საქმეებში, დასაქმების 150 დღე უკვე შეასრულეს,.

წლის ყველაზე დასავლურ გამოვლინებად, მგონი, მაინც "კმარა" ჩაითვლება (ჭარბ დასავლურობაშიც კი სდებენ ბრალს ჰომოსექსუალიზმთან ასოციაციების გამო). ისინი თავიდან აქტიურად მუშაობდნენ ქალაქის მოხატვაზე, სიამოვნებით იგერიებდნენ (და იღებდნენ) ძალოვანთა მუშტებს და საღამოობით კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით უყურებდნენ საკუთარ თავებს ტელეეკრანებზე; გასტროლებსაც აწყობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას თავის კონცეფციებს აზიარებდნენ; შემდეგ აღარ შეუშინდნენ არაფერს, კიდევ უფრო გამბედავი ნაბიჯები გადადგეს და, კედლებზე წარწერების ნაცვლად, ტელევიზორში თავიანთი რეკლამები გაუშვეს (რეკლამებმა დიდი გავლენა მოახდინა მაყურებლებზე და "კმარა ვარდნას" ათასნაირი ინტერპრეტაცია მოიგონეს. მეც, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი რამ ვთქვი: საქართველოში გაუპატიურების პროცენტული მაჩვენებელი დღეს ნოლს არ აღემატება. კმარა ვარდნა!) და ხარისხიანად გაფორმებული პლაკატები გამოაკრეს.

რამდენიმე დღეში ყველაფერს ბოლო მოეღება. ეს მილიონობით პლაკატი ნელ-ნელა დაძველდება, გახმება; ზოგს, ალბათ, ჩამოხევენ, ეიფორია ცოტა ხანს გაგრძელდება და მერე ყველაფერი დაცხრება. მერე აღარ ვიცი, რა მოხდება - დამყარდება, თუ არა ჩვენთან დასავლური დემოკრატია?! თუმცა, დასავლეთი, აღმოსავლეთი, - ალბათ, სულერთია... "ჩილი პეპერსებს" თუ დავესესხები, რაც დედამიწას სჭირდება, გლობალური აბორტია. საქართველოსაც ეს სჭირდება.

# "... ქვეყანაში ни-то ხდება"

## ქართველი მხატვრების წინასაარჩევნო სამზადისი

ვერა ნეფარიძე

*მოლბერტები, დარბაზში მიმოფანტული საღებავები, 25-მდე ნახატი, მინის ურნები, რომლებიც საარჩევნო ყუთების ასოციაციას აღძრავდა; მაგიდა ხილითა და წითელი ღვინის დაცლილი ბოთლებით; ფიროსმანის ნახატის გაცოცხლების მიზნით, დარბაზში მოსიარულე კინტოები, ცოცხალი კლასიკური მუსიკის შემსრულებლები, ნასვამი მხატვრები - ერთი სიტყვით, ოდნავ ქაოტური, საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზისთვის უჩვეულო გარემო. ასეთი აღმოჩნდა გუშინდელი აქცია-მარათონი, რომელიც ქართველმა მხატვრებმა სამართლიანი არჩევნების მხარდასაჭერად გამართეს ბრიტანეთის საკონსულოს ფინანსური დახმარებით.*



*მხატვრები არჩევნებისთვის*

იმის მიუხედავად, რომ ექვსი საათის განმავლობაში შექმნილი არც ერთი ნახატი არ გაიყიდა – არც აკადემიის სტუდენტებისა და არც ცნობილი მხატვრების შესრულებული, ორგანიზატორები უკმაყოფილოები არ ჩანდნენ. როგორც ამბობდნენ, მათი მიზანი ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობის შემსუბუქება იყო, რაც, აქციის ფინალით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად მოახერხეს - ოღონდ საზოგადოების იმ მცირე ნაწილისთვის, ვინც საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზს საღამოს ექვს საათამდე შემორჩა. თუმცა, ამ ყველაფერს წინ უძღოდა იდეა, რომელიც საკმაოდ მომხიბლავი ჩანდა.

რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში რამდენიმე ახალგაზრდა მხატვარი მოვიდა და დაგეგმილი აქციის შესახებ გაგვენდო, რა თქმა უნდა, მისი გაშუქების სურვილით. მათი მონათხრობითაც და დაბეჭდილი პრეს-რელიზითაც ქართველი მხატვრების წინასაარჩევნო აქცია-მარათონის იდეა საინტერესო ჩანდა. მით უმეტეს, რომ, როგორც საინფორმაციო ტექსტში ეწერა, მსგავსი აქცია საქართველოში ჯერ არ გამართულა. "მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საარჩევნო კომპანიის მსვლელობაში სადღესასწაულო ნოტის შეტანა და კულტურის დარგში მოღვაწეთა პოზიციების დაფიქსირება, ამიტომ მივმართავთ ყველა არსებულ პარტიას, მიიღონ მონაწილეობა, რათა საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ხელოვნების დახმარებით აღიქვას პოლიტიკური გარემო, რაც შექმნის წინასაარჩევნო ოპტიმისტურ განწყობას", - ასეთი იყო თავიდან აქციის ჩანაფიქრი. თუმცა, მოგვიანებით ორგანიზატორებმა დამფინანსებლებთან ერთად გადაწყვიტეს, პოლიტიკოსების სტუმრობა თავიდან აეცილებინათ და ისინი მარათონზე აღარ მიიწვიეს.

მარათონი თორმეტ საათზე დაიწყო და, როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, იქ ისეთი მხატვრებიც გამოჩნდნენ, რომელთა მონაწილეობაც დაგეგმილი არ ყოფილა. "მათ, უბრალოდ, სიტუაცია მოეწონათ და გადაწყვიტეს, დაეხატათ", - ამბობს ერთ-ერთი აქტივისტი მაკა ბატიაშვილი. საბოლოოდ, ექვსი საათის განმავლობაში ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ქართველი მხატვრების სხვადასხვა თაობა შეიკრიბა. იდეაც სწორედ ეს იყო: "ძალიან გვაინტერესებდა ყველა ასაკის წარმომადგენელთა ჩართვა - თინეიჯერებიდან უფროსი თაობის წარმომადგენლების ჩათვლით. ყველა ასაკის ადამიანების პოზიციის დაფიქსირება გვინდოდა. ეს ნამუშევრები ისტორიულ ნახატებად უნდა დარჩეს". ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით, ნახატებისთვის შეიქმნება საგანგებო ვებსაიტი. რაც ყველაზე მთავარია, ახალგაზრდა მხატვრები არ აპირებენ, ამ ერთი აქციით დაკმაყოფილდნენ – უახლოეს მომავალში პოლიტიკისა და ხელოვნების დასაკავშირებლად ისინი მორიგ პროექტებს გეგმავენ.

არ ვიცი, რამდენად განიტვირთა ჩვენი საზოგადოება გუშინდელი აქცია-მარათონით (ანუ რამდენად შეასრულა აქციამ მისია), მაგრამ თავად მხატვრები კმაყოფილები ჩანდნენ. "აუცილებელია, ასეთ რაღაცებში მონაწილეობა - საკუთარი პოზიცია ხომ უნდა გამოხატო იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდება. ... ქვეყანაში ни-то ხდება", - გვითხრა მიშა შენგელიამ, რომელმაც აქციაზე საკმაოდ მოზრდილი ტილო შექმნა. მის გარდა, უფროსი თაობის მხატვრებიდან, წინასაარჩევნო მხატვრულ ტილოებზე იმუშავეს: გია გუგუშვილმა, მიშა იაშვილმა. ნიკო ცეცხლაძემ და გია ბუღაძემ კი ერთობლივი ნამუშევარი მიუძღვნეს საარჩევნო თემას. იმის გამო, რომ მარათონის დასასრულს დაგეგმილ აუქციონს დაპატიჟებულთაგან არავინ მიაკითხა, ყველა ნახატი ავტორებს დაუბრუნდა (თითო ნახატის ფასი სიმბოლური – 500 ლარი იყო) და აუქციონმაც მხიარული ახალგაზრდა მხატვრების ოხუნჯობაში ჩაიარა. საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოსული კი კიდევ ერთხელ მივხვდი, რატომ დავიმსახურეთ ასეთი არჩევნები.

# ქართული საგანძური გუშინ, დღეს, ხვალ

## იერუსალიმიდან დაბრუნებული ექსპედიციის საანგარიშო გამოფენა

ნანა ბასილაშვილი



*ილია II და დათო ცხადაძე*

იერუსალიმში 120 დღის განმავლობაში ქართული ექსპედიციის მუშაობა ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა, ფოტოგრაფმა და ხელოვნებათმცოდნემ, დათო ცხადაძემ ფოტოფირზე აღბეჭდა. გუშინ გოეთეს ინსტიტუტში წმინდა მიწაზე მოღვაწეთა საანგარიშო განაცხადი სწორედ მისი ფოტოგამოფენით წარმოჩინდა. იერუსალიმში ქართული ექსპედიციის მიერ მონახულებული და აღმოჩენილი უძველესი ქართული სიწმინდეებისა და ძეგლების აღმნუსხველი ფოტოები, რეპორტაჟული კადრები, მოკლედ, ექსპედიციის მუშაობა ფოტოგრაფმა ვერნისაჟზე, დაახლოებით, 200-მდე ნამუშევარით წარმოადგინა. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრიტანელი ეპისკოპოსი კალისთევეარი და სხვა სამღვდელოების პირები; ჩვენი საზოგადოების საკმაოდ ბევრ პოპულარულ სახესაც ნახავდით.

"120 დღე წმინდა მიწაზე" – ასე დაასათაურა ავტორმა ორ სართულზე განლაგებული ექსპოზიცია. (ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ხელოვნებათმცოდნეები, არქეოლოგები, ფილოლოგები, აღმოსავლეთმცოდნეები, პალეოგრაფიის შემსწავლელები).

"გამოფენისათვის ეს სახელწოდება შემთხვევით არ ამირჩევია - ჩვენთვის ეს არ იყო ჩვეულებრივი ექსპედიცია, ეს იყო დიდი წუხილისა და სიხარულის დღეები, უფრო მეტიც, ამ ექსპედიციის შემდეგ ჩვენი ცხოვრება ორ პერიოდად გაიყო - ექსპედიციამდე და ექსპედიციის შემდეგ. არაფრით არ შეიძლება, უყურადღებოდ დავტოვოთ ის საგანძური, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთაა და რომლის ჭირისუფლებიც ჩვენ ვართ. მას პატრონობა სჭირდება", - განაცხადა დათო ცხადაძემ. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე მის მიერ წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ფოტო სრული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია. ცხადაძის თითოეულ შავთეთრ თუ ფერად ფოტოს თავისი ბიოგრაფია აქვს. მათზე სრულფასოვნადაა ასახული 14-კაციანი ქართული ექსპედიციის (ხელმძღვანელი თამილა მგალობლიშვილი) მიზანი – იერუსალიმის მიწაზე აღმოეჩინათ და გამოეკვლიათ ქართული კულტურის საგანძური და სიძველეები. ფოტოების დათვალიერებისას თანმიმდევრულად ეცნობი ექსპედიციის ყოველ დღეს, წმინდა მიწაზე შემორჩენილ ქართული კულტურის ძეგლებს და დღევანდელი იერუსალიმის ცხოვრებას.

იმის მიუხედავად, რომ იერუსალიმში ქართული სიძველეების შესახებ გარკვეული წარმოდგენა და ცნობები არსებობდა, ექსპედიციის მონაწილეები კიდევ უამრავი ახალი აღმოჩენის ავტორებად გვევლინებიან. მაგალითად, ჩვენთვის აქამდე უცნობი უნიკალური ხელნაწერი "ოქროს ოთხთავი", რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოს იმერეთის ერისთავმა გიორგი აბაშიძემ მაცხოვრის საფლავს შესწირა, 50-იან წლებში კი ამერიკული კონგრესის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღწერეს. 58 მინიატურით შემკული "ოქროს ოთხთავი", რომელიც მაცხოვრის საფლავის საგანძურის მუზეუმშია დაცული, დათო ცხადაძის ფოტოებზე სერიულადაა ასახული. ამ მუზეუმში, აგრეთვე, ინახება მაცხოვრის ხატი.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად ჩვენთვის ახლა უკვე ცნობილია ნაზარეთის, ხარების ახალი კათოლიკური ეკლესიის ქვეშ აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერა, ჯვრის მონასტრის უნიკალური ფრესკები და აქამდე უცნობი ქართული წარწერები. ექსპედიციას წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ ჯვრის მონასტერში 4 დღით, ისიც მხოლოდ ოთხ-ოთხი საათით, დართეს შესვლის ნება. ამიტომაც დათო ცხადაძემ მხოლოდ ფერწერის გადაღება მოახერხა. ფრესკა, რომელიც მარიამისა და ელისაბედის შეხვედრას ასახავს, დაახლოებით, XIV საუკუნით თარიღდება.

თამილა მგალობლიშვილის ჯგუფი ერთი უპრეცედენტო მოვლენის ავტორადაც გვევლინება. მათ იერუსალიმში, ძველ ქალაქში, წმინდა ნიკოლოზის მონასტერზე ელენე კახთა დედოფლის XVII საუკუნის წარწერა აღადგინეს.

ქართულმა ექსპედიციამ წმინდა მიწაზე მოიარა ის 36 ეკლესია-მონასტერი, რომლებსაც XIX საუკუნემდე ქართველები ფლობდნენ და პატრონობდნენ.

სოროსის ფონდისა და გოეთეს საზოგადოების ხელშეწყობით მოწყობილ, ქართული საგანძურის ამსახველ ფოტოგამოფენას 8 ნოემბრამდე შეგიძლიათ ესტუმროთ.

# მევიოლინეთა პირველი საერთაშორისო კონკურსი

5-13 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში ლიანა ისაკაძის სახელობის მევიოლინეთა პირველი საერთაშორისო კონკურსი გაიმართება. ღონისძიებამ, რომელიც ქალაქის 300 წლის იუბილეს ეძღვნება, დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში - უკვე 80-მდე ახალგაზრდა მუსიკოსმა გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი. კონკურსის დამფუძნებელია პეტერბურგის საკონცერტო ორგანიზაცია "ინტრადა;" გაიმართება სამ წელიწადში ერთხელ.

კონკურსის ფინანსური მხარდამჭერია გერმანიის წამყვანი ავიაკომპანია "ლუფტჰანზა", სასტუმრო "ნევსკი პალასი", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია". კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა ლიანა ისაკაძე, წევრები - ცნობილი მევიოლინეები რუსეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან. კონკურსის დამფუძნებელია პეტერბურგის საკონცერტო ორგანიზაცია "ინტრადა".

საპრიზო ფონდი საკმაოდ სოლიდურია: პირველი პრემია - 10 ათასი აშშ დოლარი, მე-2 - 5 ათასი აშშ დოლარი, მე-3 - 2500 აშშ დოლარი. ასევე, დაწესებულია სპეციალური პრემიები და პრიზები, რომელთა შორისაა "ლიანა ისაკაძის პრემია" - 1000 აშშ დოლარის ოდენობით. ამას გარდა, ლაურეატები დაჯილდოვდებიან კონცერტების გამართვის უფლებით იაპონიაში, გერმანიასა და ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე - "ხელოვნების ზეიმი". პირველი კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატრონაჟით გაიმართება. *24 საათი*

# "ნემოს ძებნაში": შოკი მოულოდნელი წარმატებისაგან

მულტიპლიკაციურმა ფილმმა - "ნემოს ძებნაში," დიდი პოპულარობა მოიპოვა. სურათი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მისი ავტორებიც კი გაოცებულები დარჩნენ.

სრულმეტრაჟიანმა მულტფილმმა, რომელიც თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლიგიის საშუალებითაა გადაღებული, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე 335 მილიონი დოლარის მოგება მოიტანა.

"ნემოს ძებნაში" – ეს არის ისტორია მამა თევზზე, რომელიც თავის მოტაცებულ შვილს – ნემოს ეძებს.

ანიმაციური ფილმის რეჟისორმა და სცენარისტმა ენდრიუ სტენტონმა განაცხადა, რომ ასეთ დიდ შემოსავალს არ მოელოდა: "დარწმუნებული ვიყავი, რომ მამა-შვილური ურთიერთობა ფართო მაყურებლის ყურადღებას არ მიიპყრობდა."

ფილმი შექმნილია სტუდია Pixar-ის მიერ, რომელმაც, ასევე, "სათამაშოების ისტორია", "ხოჭოს ცხოვრება" და "მონსტრების კორპორაცია" გადაიღო.

"ჩემთვის ადრე ვინმეს რომ ეთქვა, - ფილმი დიდ წარმატებას მოიპოვებსო, - ვიფიქრებდი, - ამას, ალბათ, ყველაფერი რიგზე ვერ აქვს-თქო", - ამბობს ენდრიუ სტენტონი ერთ-ერთ ინტერვიუში.

ფილმის გახმოვანებაზე მუშაობდნენ ცნობილი მსახიობები, რომლებიც სტუდია Pixar-თან უკვე წლების განმავლობაში თანამშრომლობენ.

ავტორების თქმით, მულტიპლიკატორებს არც ისე იოლი სამუშაოს შესრულება მოუხდათ, უფრო მეტიც, თანამედროვე კომპიუტერების გამოყენების გარეშე, მათ ბევრი პრობლემა შეექმნებოდათ: "ყველაზე რთული წყალქვეშა ეფექტების გაკეთება იყო - ისე უნდა მოგვეხერხებინა, რომ სიბნელეში თევზები გამქრალიყვნენ, გამოჩენილიყო სინათლის ბოძები და ა.შ."



*მხიარული შოკი*

ამჟამად ფილმის რეჟისორებს Pixar-ის სტუდიაში კიდევ ორი სურათის გადაღება შესთავაზეს. პირველ ფილმს სამუშაო სახელწოდება შეურჩიეს - "დაუჯერებელნი." ეს ფილმი მოგვითხრობს "სუპერგმირების" შესახებ, რომლებიც სუპერგმირების სამყაროში ცხოვრობენ.

მეორე ფილმში – "მანქანები", მოქმედება მიმდინარეობს ცნობილ გზატკეცილ 66-ზე, რომელიც მთელ ამერიკას კვეთს და, ალბათ, ძნელი მისახვედრი არც ის უნდა იყოს, რომ მთავარ გმირებად ავტომობილები გვევლინება.

# ჯიბის საათი ისევ დროს უჩვენებს

ნინო ჭანიშვილი




ჯიბის საათი ისევ აქტუალურია. ცნობილი სამარკო ნიშნის ძვირადღირებულ ჯიბის საათებს დასავლეთში მხოლოდ კოლექციის შესავსებად არ ყიდულობენ - დღეს ანტიკვარულ ჯიბის საათებს ხმარობენ კიდეც; თანამედროვედ და ორიგინალურად გამოიყურება ქალის ანტიკვარული გულსაკიდი საათების დიზაინიც.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან ჯიბის საათს, თითქმის, აღარავინ ხმარობდა. ის ახალმა ჩაცმულობამ და ახალმა ცხოვრების სტილმა, უბრალოდ, ველარ იგუა. მიუხედავად იმისა, რომ ფართო მოხმარებიდან ამოიღეს, ცნობილ საათების მწარმოებელ ფირმებს ჯიბის საათების დამზადება მაინც არ შეუწყვეტიათ. მაშინაც კი, როდესაც მსოფლიო მასობრივმა კულტურამ მოიცვა, ცნობილი შვეიცარული ფირმა Patek Pilippe ცალობით ამზადებდა უნიკალურ ჯიბის საათებს.

ჯიბის საათების მრავალფეროვანი კოლექცია ჟენევაში, კრისტის აუქციონზე 18 ნოემბერს გაიყიდება. გაყიდვა მიიზიდავს სიძველეთა მოყვარულებს (ზოგიერთ საათს ორასი და სამასწლოვანი ისტორია აქვს), ურთულესი ტექნიკით დამზადებული საათებით დაინტერესებულ პირებსა და საიუველირო ხელოვნების ტრფიალებს.

18 ნოემბრის გაყიდვის წამყვან ლოტებს შორისაა Patek Pilippe-ის ჯიბის საათები. ფირმა, რომელიც განთქმულია საათების ურთულესი მექანიზმების დამზადებით, გულგრილს არც საიუველირო ხელოვნების მოყვარულებს ტოვებს. გასაყიდად გამოდის 1985 წელს დამზადებული სამხუფიანი ოქროს საათი. მისი ორივე ხუფი გაფორმებულია ფირმის იუველირის, მენის მიერ. საათზე დატანილია ფერწერული მინანქრით შესრულებული მე-16 საუკუნის ნიდერლანდელი მხატვრის გასპარ ვან ვიტელის ვენეციის ხედები. როგორც ჩანს, ამ საათის დაკვეთისას კლიენტს ან ვან ვიტელის ფერწერა იზიდავდა, ან - ვენეციური ხედები. საათის საწყისი ფასი 50-60 ათასი შვეიცარიული ფრანკია.

ჟენევაში განსუთრებით ძვირად ის საათები გაიყიდება, რომელთაც ორიგინალი ყუთი და სერთიფიკატი ახლავს. 1915 წელს დამზადებული Patek Pilippe-ის ჯიბის საათი მუდმივი კალენდრით, მთვარის ფაზების მაჩვენებელი ქრონოგრაფით და ორიგინალი სერთიფიკატით 160-240 ათას შვეიცარიულ ფრანკაადაა შეფასებული. აუქციონზე სულ რამდენიმე ჯიბის საათი გაიყიდება, რომელსაც ორიგინალი სერთიფიკატი და ყუთი ახლავს. Machand & Sandoz-ის მიერ ხელმოწერილი უნიკალური საათის საწყისი ფასი 160-240 ათასი შვეიცარიული ფრანკია. ტექნიკური თვალსაზრისით, საათის მექანიზმი ზესრულყოფილია. ამასთან, საათის ოქროს კორპუსი ღვინისფერი მინანქრითაა დაფარული, რომელზეც მცენარეული კომპოზიცია 241 ალმასითაა მოოჭვილი. მათი ზომა ჯამში 6 კარატს შეადგენს. 1900 წელს დამზადებული საათი ინდოელი დიდებულისთვის შეიქმნა. ამ პერიოდში შეძლებული ინდოელები ევროპულ საათის მწარმოებელ ფირმებს თავად აწოდებდნენ ძვირფას თვლებს.

კრისტის აუქციონზე ქალის ანტიკვარული საათებიც გამოვა გასაყიდად. მათი ფასი შედარებით მოკრძალებულია. საქმე ისაა, რომ თავის დროზე ქალის საათების დამზადებისას მთავარი ყურადღება ექცეოდა არა საათის შიდა მოწყობილობას, არამედ - გაფორმებას. ევროპელი ოსტატები ფანტაზიას არ იშურებდნენ ქალის გულსაკიდი საათების შექმნისას. იუველირ-ხელოსნები ათასგვარ უცნაურ და ორიგინალურ ფორმებს იგონებდნენ. ასე რომ, 1850 წელს ჰამბურგში დამზადებული ქალის გულსაკიდი საათის საწყისი ფასი, სულ რაღაც, 4,5 – 5,5 ათასი შვეიცარიული ფრანკია. არადა, ეს 18-კარატიანი სხვადასხვა ფერის ოქროსაგან გაკეთებული საათი მეტად ორიგინალური ფორმისაა, ამასთან, იგი ლურჯი ემალ-გილიოშითაა მოჭიქული და მარგალიტებით მოოჭვილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს ნაკლებად ცნობილი თანამედროვე ფირმებიც მოდას აჰყვნენ და დაიწყეს ჯიბის საათების გამოშვება ფართო მოხმარებისათვის. უშვებენ ჯიბის საათებს - მონადირისათვის, მაღვიძარათი და ა. შ. მათი ფასი 100–300 დოლარს არ აღემატება; მათ, უმეტესად, საჩუქრებად ყიდულობენ.

მაგრამ, სახელი, ხარისხი და უმაღლესი ტექნოლოგია ყოველთვის ძვირადღირებული იქნება. მსოფლიოში ყველაზე ძვირად გაყიდული საათი ისევ Patek Pilippe-ის სახელს უკავშირდება - ფირმის მიერ გამოშვებული ჯიბის საათი Henry Graves Supercomplication 2000 წელს სოტბის აუქციონზე ანონიმმა მყიდველმა 11 მილიონ დოლარად შეიძინა. Henry Graves Supercomplication ნიუ იორკელი ბანკირის და ძვირფასი საათების კოლექციონერის, ჰენრი გრეივზის დაკვეთით, 1932 წელს შესრულდა. ბანკირს სურდა, მსოფლიოში ტექნიკურად ყველაზე რთული საათი ჰქონოდა. მის დამზადებას ფირმამ 5 წელი მოანდომა. საათს 24 ფუნქცია აქვს. მისი გორგოლაჭები 70 ლალის საშუალებით ბრუნავენ. საათის ერთ-ერთი ფუნქციაა, ზუსტად უჩვენოს მზის ამოსვლა და ჩასვლა ნიუ იორკში. სხვათა შორის, ამ საათის საწყისი ფასი არც ისე მაღალი იყო. ვნახოთ, მოიხსნება თუ არა რეკორდი 18 ნოემბრის კრისტის აუქციონზე.

შოუბიზნესი

## ხიფათი გადასაღებ მოედანზე




მსახიობს, რომელიც მელ გიბსონის ფილმში, "ქრისტეს ვნებები", მაცხოვარს განასახიერებს, მეხი დაეცა. ინციდენტი ქალაქ რომის ახლოს მიმდინარე გადაღებისას მოხდა და, შედეგად, ორი ადამიანი დაშავდა - მსახიობი ჯიმ კავიზელი და რეჟისორის დამხმარე იან მიკელინი. სხვათა შორის, ამ ფილმის გადაღებისას მიკელინს მეხი უკვე მეორედ დაეცა. ფილმის პროდიუსერის სტივ მაკივეტის თქმით, საგანგაშო არაფერია - მსახიობსა და რეჟისორის ასისტენტს უმნიშვნელო ტრამვები აქვთ მიღებული.

პირველი ინციდენტის დროს, რომელიც, ასევე, იტალიაში მოხდა, მეხი მსუბუქად შეეხო ქოლგის ქვეშ მყოფი მიკელინის თითებს. აი, როგორ აღწერა მეორე შემთხვევა სტივ მაკევიტმა, რომელიც შემთხვევის ადგილთან ახლოს იყო: "მათგან, დაახლოებით, 30 მეტრის მოშორებით ვიყავი, როდესაც დავინახე, რომ ჯიმის ყურებიდან ბოლი ამოუვიდა".

მელ გიბსონი ამ ფილმის რეჟისორი და ერთ-ერთი სცენარისტია. ფილმი, რომელსაც ლათინურ და არამეულ ენებზე იღებენ, იესო ქრისტეს დედამიწაზე ცხოვრების უკანასკნელ 12 საათს ასახავს. ნამუშევარი კინოგაქირავებაში 2004 წლის დასაწყისში უნდა გამოვიდეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მას უკვე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან, მათ შორის, აქტიურობენ ებრაელი საზოგადო მოღვაწეები. მათი აზრით, ფილმი "საშიშია", რადგანაც მასში ებრაელები მხოლოდ უარყოფითი მხრიდან არიან წარმოდგენილნი.

დასაწყისში ფილმის სამუშაო სახელწოდება იყო "ვნებები", მაგრამ მას შემდეგ, რაც კინოკომპანია "მირამაქსმა" განაცხადა, რომ ამ სახელწოდებაზე საავტორო უფლებები აქვს (კომპანია სწორედ ამ სახელწოდებით იღებს ფილმს ჟანეტ უინტერსონის რომანის მიხედვით), გიბსონმა საკუთარ ნამუშევარს "ქრისტეს ვნებები" დაარქვა.

მერიდიანი

# "სტალიჩნაია" შეტევაზე გადადის

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

სრულებითაც არ ვამტკიცებ, რომ რეკლამის დარგში უდიდესი ექსპერტი ვარ, მაგრამ, არაყს რაც შეეხება, ამ სფეროში რაღაც გამეგება. ამიტომაც ერთი წლის წინ უაღრესად გაკვირვებული დავრჩი, როდესაც "სტალიჩნაიას" ჩრდილოამერიკელმა დისტრიბუტერებმა იგი თავიანთი რეგიონის მსმელ მასას კი არა, მხოლოდ ვიწრო წრეს შეაჩეჩეს. რეკლამა იმდენად თავშეკავებული და ნატიფი იყო, გეგონებოდა, არაყზე კი არა, მსუბუქ სადესერტო ღვინოზე ლაპარაკობდნენ. ამის გამო მსმელებმა რეკლამა ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს.

ამჟამად "სტალიჩნაიას" დისტრიბუტერები გონს მოეგნენ და, "ძალა აღმართს ხნავს" პრინციპით, შეტევაზე გადავიდნენ. კომპანიებმა – Allied Domecq Spirits და Wine America-მ სან ფრანცისკოში ახალი სარეკლამო სააგენტო – Publicisan Hal Riney დაიქირავეს და სარეკლამო ქსელიც ძირფესვიანად შეცვალეს. ამ ახალი სარეკლამო კამპანიის ბიუჯეტი 14 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც "სტალიჩნაიაზე" დახარჯულ ერთად აღებულ ყველა სამარკეტინგო გასავლის ნახევარს უდრის.

ახალი რეკლამა ბევრად მიწიერია და დემოკრატიული ლუდის უფრო გეგონება, ვიდრე - მაგარი სპირტიანი სასმელის; ეს შემთხვევითი სრულიადაც არ გახლავთ. ახალი რეკლამის სამიზნედ უნდა იქცნენ სწორედ 21-დან 29 წლამდე ასაკის ყმაწვილები, რომლებიც ჯერ კიდევ ლუდს შეექცევიან. საქმე ისაა, რომ შეერთებულ შტატებში 21 წლამდე ასაკის მოქალაქეებს საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სპირტიანი სასმელების შეკვეთა და ყიდვა ეკრძალებათ. ამიტომ ამოისუნთქეს ცოტა ხნის წინ დიდი შვებით პრეზიდენტმა ბუშმა და პირველმა ლედიმ - ლაურამ. მათი ტყუპი ქალიშვილები ხომ 21 წლის შესრულდნენ და ამიერიდან, ყალბი დოკუმენტების წარდგენის გარეშეც, შეუძლიათ სპირტიანი სასმელების შეკვეთა. წინა რეკლამა 25-დან 34 წლამდე ასაკის მამაკაცებს და ქალებს უმიზნებდა, ახალს კი არავითარი გამჭოლი მოქმედების (სტანისლავსკი არ გეგონოთ) მიზანი არ ჰქონდა. გაზეთებში და სარეკლამო ბილბორდებზე შეყვარებულთა ფოტოებს ნახავთ, რომელზეც მომღიმარ ახალგაზრდებს "სტალიჩნაიათი" სავსე ჭიქა უჭირავთ.

წინა სარეკლამო-ესთეტიკურ კამპანიას, რომელიც 2002 წლის თებერვალში იღებდა სათავეს, საკმაოდ საოცარი დევიზი ამშვენებდა – "ნახე, რა ამბავი დატრიალდეს!" არადა, ყურება კი არა, ჭიქის ბოლომდე დაცლაა საჭირო, რათა შემდგომ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდო. ეს, იმითაცაა, მნიშვნელოვანი, რომ ამერიკულ ბაზარზე "თეთრმა" სასმელებმა (არაყი, ჯინი, რომი) მნიშვნელოვნად დაჯაბნეს "ყავისფერები" (სკოჩი, ბურბონი, კონიაკი).

უკანასკნელ წლებში შეერთებულ შტატებში "სტალიჩნაიას" იმპორტი თანდათანობით იზრდება, მაგრამ ბოლო დროს სხვადასხვა ბრენდის (მაგალითად - "ბელვედერის", "შოპენის", "ნაცრისფერი ბატის", "სამი ზეთისხილის" და სხვათა) რეკლამები აშკარად წინ უსწრებს. "სტალიჩნაიას" სპირტიან სასმელებში მეორე ადგილის (პირველ ადგილს ურყევად ინარჩუნებს არაყი "აბსოლუტი") დაკარგვის შანსი აშკარად რეალური გახდა. შვედური "აბსოლუტი", რომელსაც ფირმა Vin and Sprit აწარმოებს, მხართეძოზე კი არ არის წამოწოლილი, არამედ აგრესიულ მარკეტინგს განაგრძობს. ამჟამად (მუდმივი მომხმარებლის გარდა) მას ჰომოსექსუალები, ლესბოსელები - ანუ ის კატეგორია ჰყავს მიზანში ამოღებული, რომელსაც ფულიც აქვთ და სმაც უყვართ.




კვლევითი ფირმის M. Shanken Communications (ნიუ იორკი) ვიცე-პრეზიდენტის ფრენკ უოლტერსის თქმით, არაყი უდიდესი საიმპორტო კატეგორიაა. მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 9-10 მილიონი ყუთი არაყი შემოდის. ასე რომ, შემდგომი იმპორტის გაზრდისთვის ადგილი კიდევ რჩება. უოლტერსის ფირმა სპირტიანი ბრენდის მოძრაობას თვალყურს ადევნებს და ბაზარზე სპირტის გავლენის შესწავლის შედეგებს რეგულარულად აქვეყნებს. უოლტერსის თქმით, გასულ წელს "აბსოლუტი" პირველ ადგილს (4,5 მილიონი ყუთი) სრულიად სამართლიანად იკავებდა, ხოლო მეორე ადგილს 1,6 მილიონი ყუთით –"სტალიჩნაია"(2001 წელს - 1,5 მილიონი და 2000 წელს – 1,4 მილიონი ყუთით). "სტალიჩნაიას" რაოდენობის მუდმივი ზრდის მიუხედავად, მას კონკურენტად სხვადასხვა ნაირსახეობის ბრენდი გამოუჩნდა, რომლებიც ბაზარზე სერიოზულ განაცხადს აკეთებდნენ. "ნაცრისფერი ბატი" 1999 წელს ამერიკულ ბაზარზე მხოლოდ 100 ათასი ყუთით შევიდა, შარშან უკვე – 1,1 მილიონი ყუთით. ვერაფერს იტყვი, კარგი ბატია! ნუთუ ჩვენს თეთრ გედს - "სტალიჩნაიას" სჯობია?

თეთრი გედის ესთეტიკური სუფრებიდან ლუდის ბარებში "გადაფრენას" თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს – ერთია დახვეწილი "გედების ტბა" და მეორე – ლუდის ბარის დახლი. მისტერ სტივ ლორეისის (ბრენდის იდენტიფიკაციის ფირმის - Straightline International-ის აღმასრულებელი დირექტორი) თვალსაზრისი ამ საკითხზე ასეთია: "როცა ისეთი იმიჯის მქონე ბრენდიზეა საუბარი, როგორიც "სტალიჩნაიაა", რეკლამის მთავარი მეთოდი განმეორებაა, რაც წლების მანძილზე უნდა კეთდებოდეს".

Allied Domecq და Publicis and Hal-ის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ კარგად არიან ინფორმირებულნი წყალქვეშა დინებების თუ რიფების არსებობის შესახებ. ამიტომაც ახალი რეკლამის ავტორები ბარებს კი არ შეესიენ თავქუდმოგლეჯილები, არამედ, მსოფლიოს ყველა კუთხეში 35 ათასი არყის მსმელი გამოკითხეს. შედეგად კი, ასეთი დასკვნა გააკეთეს: "ჩვენ დავადგინეთ, რომ ბრენდ "სტალიჩნაიას" დიდი პერსპექტივა აქვს იმ კატეგორიის ახალგაზრდებში, რომლებიც ჯგუფურად ერთობიან. კლიენტურას უამრავი სხვადასხვა რეკლამით უჭედავენ ტვინს, ჩვენი მესიჯი კი ნათელია – იგი "სტალიჩნაიას" მოყვარულ აუდიტორიას მიზანში იღებს და ისეთ სასმელებზე, როგორიცაა ლუდი, ტეკილა და რომი, უარს ათქმევინებს".

აქამდე რუსეთში არაყზე ასე არავის ულაპარაკია. მსმელი ადამიანი მთელ ამ აბრაკადაბრას, ალბათ, ჯადოსნური სასმელის შეურაცხოფადაც მიიღებს. ზემოთ მოტანილი ციტატის ავტორი გახლავთ ჟანეტ ოუკი - კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი სტრატეგიული დაგეგმარების დარგში (საინტერესოა, სმის მოყვარულია თუ არა ეს ქალბატონი?).

"სტოლიჩნაიას" შემტევი რეკლამების ფოტოებზე, რომლებიც დევიდ კაცენშტესტის მიერაა გადაღებული, ახალგაზრდა ყმაწვილები ბარმენების და გოგოების კომპანიაში სვამენ. ეს ბარები და ჰოლები, ჟანეტ ოუკის თქმით, დიდებული ღამის კლუბებისა და საბილიარდოებს შორის მდებარეობს; მოკლედ, "სტალიჩნაიასთვის" ტკბილ ბუდეს წარმოადგენს – ასე ვთქვათ, ოქროს შუალედს. კაცენშტესტის ერთ-ერთ რეკლამაზე გამოსახულია ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც სადღეგრძელოს არყით სვამენ. ფოტოზე წარწერაა: "დალევაზე ღირსეული ნეტავ რა უნდა იყოს?" მეორე რეკლამაზე ახალგაზრდა გოგონა "სტალიჩნაიას" თავის ამხანაგებს უსხამს; და ბოლოს, კიდევ ერთი რეკლამა – ლამაზი გოგონა სასმელის წინ პოზირებს. ფოტოზე წარწერაა: "ხვალეს გაუმარჯოს! ხვალე კი უკვე დადგა!" და ერთიც: " ბოლო კაბინაში რომ გოგონები არიან, იმათ გაუმარჯოთ - მერე რა, რომ ჯერ არ ვიცნობთ". რასაკვირველია, რეკლამა ნატიფი ხელოვნებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, რუსეთში არყის ასეთი რეკლამა წარმატებით შეცვლიდა ანტიალკოჰოლურ კამპანიას.

ამერიკაში სულ პირიქითაა - ხომ არ გავიწყდებათ, დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე რომ მდებარეობს. Pablicis and Hal Riney-ს ვიცე-პრეზიდენტის ბრედ ფოგელის თქმით, ზემოთ აღნიშნული რეკლამები ბევრი ფიქრით შეირჩა, ზოგიერთი – უარყვეს კიდეც. თურმე ნუ იტყვით, ისეთი რეკლამები დაიწუნეს, რომლებიც ლუდის რეკლამას უფრო ჰგავდა. "სტალიჩნაიას" მსმელი ხალხი უკეთესადაა ჩაცმული," – აცხადებს მისტერ ფოგელი. მისი აზრით, "აქცენტი "სტალიჩნაიას" რუსულ წარმომავლობაზეც კეთდება და, რაც მთავარია, ეს მის აუთენტურობასა და სინაღდეზე მეტყველებს". ამიტომ პრესაში და ღია ცის ქვეშ განთავსებული ყოველი რეკლამა წითელ ჩარჩოში მოთავსებული თეთრი ასოებით გვამცნობს: "სტოლიჩნაია" რუსული არაყია".

"სტოლიჩნაიას" ახალი და უფრო ენერგიული რეკლამა აპოგეას ივლისის თვეში მიაღწევს. ჯერჯერობით მისი დებიუტი ჟურნალებში - Details Fhm, GQ, Maxim და Playboy-ებშია წარმოდგენილი. სარეკლამო ბილბორდები კი ჩიკაგოს, ნიუ იორკს, ლოს ანჯელესს, სან ფრანცისკოს, ბოსტონს და მაიამის წალეკავს. რადიორეკლამაში აქცენტი სადღეგრძელოებზე იქნება. ერთ-ერთ ამგვარ რეკლამაში ბარმენი და კლიენტი ბელგიური არყის ხარისხზე საუბრობენ, მაგრამ, როცა ჯერი სადღეგრძელოზე მიდგება, ისინი "სტალიჩნაიათი" ხელში შემდეგ სიტყვებს ამბობენ: "და მაინც, თქვენ ხომ იცით, რაც გსურთ!"

მოკლედ, დისტრიბუტერები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა "აბსოლუტს" გადაუსწრონ. ამიტომაც, გამორიცხული არაა, უახლოეს მომავალში რეკლამაში ჰომოსექსუალები და ლესბოსელები გამოიყენონ, რომლებიც შეერთებული შტატების მოსახლეობის ათ პროცენტს შეადგენენ.

გაგიმარჯოთ!

ბოლომდე გადაჰკარით!




### კატრინ დენევი 60-ის გახდა

ცნობილი ფრანგი მსახიობი კატრინ დენევი 60 წლისთავს დაძაბული სამუშაო გრაფიკით ხვდება. მსახიობი ემზადება საკუთარი პირველი დისკის ჩასაწერად, წერს ავტობიოგრაფიულ წიგნს და იწყებს ახალ ფილმში გადაღებას.

დენევის სურვილით, საიუბილეო სამზადისი მინიმუმამდეა დაყვანილი - მსახიობი საკუთარი გულჩათხრობილი ხასიათის ერთგული რჩება.

### პომპეი DVD-ზე



"პინკფლოიდის" პომპეიში გამართული კონცერტის მიხედვით გადაღებული ფილმი DVD-ზე გამოვიდა. Live At Pompeii The Director's Cut-ში შესულია, როგორც ფილმის ორიგინალური ერთსაათიანი ვერსია, ასევე, რეჟისორ ადრიან მეიბენის საათნახევრიანი ვარიანტი. DVD-ს, დამატებითი მასალის სახით, ახლავს ფილმის გადაღების შესახებ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური კადრები და ინტერვიუები რეჟისორთან და ჯგუფის წევრებთან.

როგორც ცნობილია, მასალა ფილმისთვის გადაღებული იყო 1971 წელს პომპეის ამფითეატრში. ლეგენდარულმა ბრიტანულმა ჯგუფმა შეასრულა კომპოზიციები ალბომებიდან: Meddle, Saucerful Of Secrets და Ummagumma.

### ლენონის ნახატები ედინბურგში



ედინბურგში გაიხსნა გამოფენა, სადაც ჯონ ლენონის ნამუშევრების - ოფორტების, ნახატებისა და ლითოგრაფიის კოლექციაა წარმოდგენილი. გამოფენა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ კოლექციის ნაწილს პირველად იხილავს ფართო საზოგადოება.

მოგვიანებით ექს-ბითლის ყველა ნამუშევარი ლონდონის ერთ-ერთ გალერეაში გაიყიდება. იოკო ონომ უკვე განაცხადა თანხმობა და მზადაა, თითოეულ ექსპონატს უსახსოვროს მინაწერი. ვარაუდობენ, რომ კოლექციიდან თითოეული ექსპონატის ფასი ექვსასიდან 6 ათას ამერიკულ დოლარამდე იქნება. აღსანიშნავია, რომ იოკო ონო 1986 წლიდან განუწყვეტლად ყიდის მეუღლის მხატვრულ დანატოვარს.

ედინბურგის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები შესრულებულია 1968 წლიდან 1980 წლამდე ანუ მუსიკოსის გარდაცვალებამდე და ისინი ლენონის ცხოვრებისეული მოვლენების ერთგვარი ილუსტრირებაა. რამდენადაც ცნობილია, ლენონი თავის ნამუშევრებში ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს აღბეჭდავდა.

ლენონმა ხატვა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე გიტარაზე დაკვრა. სამი წელიწადი ლივერპულის ხელოვნების სკოლაშიც სწავლობდა. "ბითლზის" რეპეტიციების დაწყებასთან ერთად კი მხატვრობას, თითქმის, თავი დაანება.

### No Doubt



პოპულარული ამერიკული ჯგუფის No Doubt-ის წევრებმა გადაწყვიტეს, ჩანაწერების სახით, გამოუშვან ყველაფერი, რაც კი მათ არქივში ინახება. ასეთი გადაწყვეტილება, შესაძლოა, ცოტა საეჭვო იყოს ჯგუფისგან, რომელიც აქტიურად აგრძელებს მუსიკალურ მოღვაწეობას და ჯერჯერობით არ მიანიშნებს შესაძლებლობების ამოწურვაზე. თუმცა, ფაქტია, რომ 25 ნოემბრიდან გამოვა კომპაქტ-დისკებისა და DVD-ს გარკვეული სერია. No Doubt, კომპაქტ-დისკის სახით, გამოსცემს ბოლო წლების სინგლებს სახელწოდებით: Singles 1992 – 2003. ადრე გამოცემული სიმღერების გარდა, დისკი შეიცავს ინგლისური ჯგუფის Talk Talk-ის სიმღერის It's My Life-ის ვერსიასაც. ამას გარდა, გამოვა საკონცერტო DVD - Rock Steady Live, რომელიც გადაღებულია შარშან კალიფორნიის შტატში. მასში წარმოდგენილია 21 სიმღერა, ინტერვიუები და კულისებს მიღმა აღბეჭდილი კადრები.

ამ დისკებთან ერთად გაყიდვაში იქნება სპეციალური ყუთი Boom Box. სინგლების ნაკრების გარდა, ის შეიცავს 1997 წელს გამოშვებულ საკონცერტო ფილმს Live In The Tragic Kingdom-ს DVD-ზე; ასევე, დართული ექნება დისკი 15 ვიდეოკლიპითა და კომპაქტ-დისკი 17 იშვიათი ჩანაწერით. დისკზე შეხვდებით მათაც, ვისთანაც No Doubt-ს ოდესმე უთანამშრომლია: ელვის კოტელოს, ბაკენირსა და მის დაინამაიტს.

# "ბასტი ფანტასტი"

სებასტიან დაისლერის ორი გოლი მარტო "ბაიერნს" კი არ დაეხმარა "კაიზერსლაუტერნთან" გამარჯვების მოპოვებაში - ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელის საფეხბურთო ცხოვრებაში სრულფასოვანი დაბრუნება შეიძლება მომხდარ ფაქტად აღვიქვათ.

დიდი ტალანტის რეპუტაცია დაისლერს ბავშვობიდან, ფეხბურთში პირველი ნაბიჯის გადადგმიდანვე თან სდევდა. ის ყველა ასაკის ნაკრებ გუნდში გამოირჩეოდა და, როგორც გერმანელები ამბობენ, ყველა ასაკის გუნდში გავარსკვლავდა. 18 წლის დაისლერი პირველ პროფესიულ კლუბში აღმოჩნდა. მან მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" გააფორმა კონტრაქტი. ერთი წლის შემდეგ დაისლერი ბერლინის "ჰერტამ" გამოისყიდა და ახალგაზრდა ტალანტისთვის პაექრობაში მიუნხენის "ბაიერნს" და დორტმუნდის "ბორუსიას" აჯობა.

1999-2000 წლების სეზონი ახალი დაწყებული იყო, მაგრამ მთელი გერმანია ახალგაზრდა დაისლერის სახელს გაიძახოდა. გამოკვეთილი შემტევი ჰავბეკი შესანიშნავ გადაცემებს ახორციელებდა და ჯარიმიდან ორი გოლიც გაიტანა. მოკლედ, პრესის ძალისხმევით, დაისლერი, შეიძლება ითქვას, ფეხბურთის კურნიკოვად იქცა. ინტერნეტში გაჩნდა ფეხბურთელისადმი მიძღვნილი უამრავი რესურსი, მათ შორის უმთავრესი - საიტი "ბასტის სამყარო", რომელშიც საიტის შემოქმედნი დაისლერის ახალ მეტსახელს - "ბასტი ფანტასტს" ათამაშებდნენ.

მთელი ეს აურზაური იმით დასრულდა, რომ ახალგაზრდა ტალანტი გატყდა. თუმცა, არა იმდენად მორალურად, რამდენადაც ფიზიკურად. არა! დაისლერისთვის მინდორზე საშინელი კვანტი არ გამოუდიათ, მაგრამ შემდგომ ტრავმებში, უდავოა, მის სახელთან ატეხილმა ისტერიამ გარკვეული როლი შეასრულა. ევრო 2000-ის შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა დაისლერი გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ აქცია, მაგრამ საკმარისი უკუგება არ მიუღია. დაისლერი ტრავმებმა გატეხა. ერთს მოიშუშებდა თუ არა, იქვე მეორე შეემთხვეოდა. ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო მუხლი, რომელმაც 2001-2002 წლების სეზონს, ფაქტობრივად, გამოთიშა. ფეხბურთელი სექტემბერში დაშავდა, მაგრამ მინდორზე მხოლოდ გაზაფხულზე გამოჩნდა. ფიოლერმა, რომელიც საკადრო პრობლემებით ისედაც გაწამებული იყო, შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, როგორც გაირკვა, სულ ტყუილად. მწვრთნელმა დაისლერი ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ სრულიად უსარგებლო ამხანაგურ მატჩში ათამაშა და დაისლერმა მომდევნო ექვსი თვე კვლავ მკურნალობას დაუთმო.

მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების წარმატებით გამოსვლამ დაისლერს კარგი სამსახური გაუწია. მისი სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა. გაზეთის პირველი გვერდები კანის, ბალაკისა და სხვათა ფოტოებით იყო აჭრელებული. სებასტიან დაისლერს კი ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ამ დროისთვის დაისლერი უკვე "ბაიერნის" ფეხბურთელი იყო, მაგრამ თავის ახალ გუნდში გამოსვლა მან მხოლოდ 2003 წლის თებერვალში შეძლო.

ფეხბურთელმა იმიჯი შეიცვალა: თმა შეიკრიჭა და წვერ-ულვაში მოუშვა. მოკლედ, ყველას აჩვენა, რომ მზად არის, ყველაფერი თავიდან დაიწყოს. დაკარგულ ორ წელიწადს უკვალოდ არ ჩაუვლია. თავიდან დაისლერი ცდილობდა, რაც შეიძლება, მარტივად ემოქმედა. თამაშს საკუთარ თავზე პრაქტიკულად არ იღებდა და ხისტ შეჯახებებს ერიდებოდა. საკითხავი მხოლოდ ის იყო, შეძლებდა თუ არა დაისლერი გამოეყენებინა თავისი უდავოდ დიდი ტალანტი და ხომ არ გადაიქცეოდა ის ახალ რიკენად ან ივან დე ლა პენიად. როგორც ჩანს, დაისლერის კარიერაში ყველაზე რთული პერიოდი დამთავრდა. მას შეუძლია და უნდა გახდეს მიუნხენის "ბაიერნისა" და ეროვნული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი და თავისი კანონიერი ადგილი დაიმკვიდროს ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავთა შორის.

# 140 წლის წინათ...

140 წლის წინათ, 1863 წლის 26 ოქტომბერს, ლონდონში ჩამოყალიბდა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო ასოციაცია.

როგორც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესსამსახურში განმარტეს, ასოციაციის პირველი საორგანიზაციო შეხვედრა შედგა 1863 წელს "თავისუფალი მასონების" ტავერნაში, რომელიც ლონდონის გრეიტ-ქუინ-სტრიტზე მდებარეობდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უამრავი სკოლისა და კლუბის წარმომადგენლებმა. ყველა ამ სკოლასა თუ კლუბში ფეხბურთს თავისი წესებით თამაშობდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს ერთი მიზანი აერთიანებდათ. მათ სურდათ, ბურთით ეს პოპულარული თამაში გარკვეულ ჩარჩოებში მოექციათ და მისთვის ერთი წესდება დაეწესებინათ. მწვავე დებატები გაიმართა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალში ფეხბურთის წესები. კამათი დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ მეხუთე შეხვედრაზე, 1863 წლის დეკემბერში, მხარეები ამ საკითხზე შეთანხმდნენ.

ისტორიული შეხვედრიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ფეხბურთის წესები გამოქვეყნდა და მას ინგლისის ტერიტორიაზე ყველა კლუბი და სკოლა იყენებდა. 1870 წლისთვის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წევრთა რაოდენობა 39-ს აღწევდა, ხოლო ახლა, პრესცენტრის ინფორმაციით, ამ ორგანიზაციაში 40 ათასამდე წევრია გაერთიანებული.

1871-1872 წლებში პირველად გათამაშდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, რომელშიც 15 გუნდი მონაწილეობდა.

პირველი საერთაშორისო მატჩი კი ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის 1872 წლის 30 ნოემბერს გაიმართა. მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა. ამ დღიდან 7 წლის შემდეგ ინგლისის ნაკრები პირველად შეხვდა უელსის გუნდს.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატებს, ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციასთან (ფიფა) ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის უთანხმოების გამო ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატებზე 1950 წლამდე არ მონაწილეობდა.

ყველაზე დიდი გამარჯვება ფეხბურთის გამომგონებლებმა 1966 წელს მოიპოვეს. თავის სამშობლოში ინგლისის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ინგლისელებმა ფინალში გერმანიის ნაკრები დაამარცხეს - 4:2.

1994 წელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ პირველად ჩაატარა ეროვნული ჩემპიონატი კომერციული სპონსორის მოზიდვით, ხოლო 1999 წელს ფეხბურთის ასოციაციამ ლონდონის "უემბლის" სტადიონი შეიძინა.

## TV სპორტი

### ოთხშაბათი. 29 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "სარაგოსა" – "რეალი"
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:50 "პოსტსკრიპტუმი"
16:20 "ცხრიანი"
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩარლტონი" – "არსენალი"
18:45 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "ინტერი" (იტალია)
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 "დარტყმა გოლისთვის"
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ბოავიშტა" – "პორტუ"
23:40 თავისუფალი დარტყმა
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:15, 21:00 პრესცენტრი
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. ევროლიგა ფიბა. "ხიმიკი" (რუსეთი) – "ნობილესი" (პოლონეთი)
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:30 ცხენოსნობა. კონკური. "Georgenburg Cup"
15:30 ბილიარდი. რუსეთის თექვსმეტი უძლიერესი მოთამაშის ტურნირი. ფინალი
16:25 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. აშშ
17:30 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 "NHL - პლუს"
19:15 "სპორტის აკვატორია"
19:45 როდეო. "Bull Riders"
20:30 "Power week – NHL-ის კვირა"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ათენის გზაზე
00:00 "NHL - პლუს"
02:15 ამერიკული ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატის ფინალი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:30 "Power week – NHL-ის კვირა"
03:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. აშშ
03:30 საჭადრაკო მიმოხილვა

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
14:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
15:00 ფეხბურთი. უეფა
16:00 ფეხბურთი. უეფა
17:00 სპიდვეი. დანიის გრან-პრი
18:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
19:00 ფეხბურთი. უეფა
20:00 ფეხბურთი. უეფა
21:00 ფეხბურთი. უეფა
22:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
23:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
23:15 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
00:15 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
01:15 გოლფი. ჩელენჯ ტურნირი
01:45 აფროსნობა
02:15 ახალი ამბები
02:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
03:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

## ზინედინ ზიდანი:

# "ჯერჯერობით ფორმაში არ ვარ"




*ზინედინ ზიდანი ამ სეზონშიც ისევე ბრწყინავს, როგორც გასულ წლებში, თუმცა, საკუთარი თამაშით ჯერ მთლად კმაყოფილი არ არის. ზიდანს იმედი აქვს, რომ წარმატებებს ამ სეზონშიც მიაღწევს, თუმცა, "რეალთან" ერთად გაცილებით მეტის მოგება სურს, ვიდრე გასულ სეზონში.*

**- ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ "რეალმა" და "იუვენტუსმა" მოახერხა სამივე მატჩის მოგება. ტიტულისთვის ბრძოლაში ეს ორი გუნდია უმთავრესი ფავორიტი?**

- ჩემპიონთა ლიგაში ბევრი ძლიერი გუნდია, რომელთაც ფინალში გასვლის ძალა შესწევთ. "იუვენტუსი" კარგ ფორმაშია, ისევე, როგორც გასულ სეზონში.

**- ჩემპიონთა ლიგის თქვენი უკანასკნელი მატჩი "პარტიზანის" წინააღმდეგ ყველაზე ცუდი იყო მიმდინარე სეზონში?**

- არ ვფიქრობ, რომ ყველაზე უარესი იყო, თუმცა, ვერც საუკეთესოს დავარქმევ. "სელტასთან" მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა "პარტიზანის" წინააღმდეგ სულ სხვა გუნდი იხილეს. გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, ყოველთვის ლამაზად ვერ ითამაშებ. ჩვენ მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, ოღონდ უმაღლეს დონეზე ვერ ვითამაშეთ, მათ შორის მეც. ასეთი რამ ხდება ხოლმე.

**- როგორ მიდის ზიდანის საქმეები?**

- ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაში არ ვარ, კიდევ უნდა მოვუმატო თამაშს. სეზონი კარგად დავიწყეთ. იმედი მაქვს, მთელი სეზონის განმავლობაში იმავე გზით განვაგრძობ სვლას.

**- კარლოს კეიროშის მოსვლის შემდეგ გუნდი შეიცვალა?**

- ის სხვანაირი მწვრთნელია. კეიროში უფრო მეტს საუბრობს ფეხბურთელებთან, ვიდრე დელ ბოსკე. თუმცა, ერთნაირად ისწრაფვიან გამარჯვებისკენ. ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ გამარჯვებაა. ვფიქრობ, ეს სეზონი წინა სეზონის მსგავსი იქნება, ოღონდ, იმედი მაქვს, გაცილებით მეტ ტიტულს მოვიპოვებთ. ჩვენი თამაშის მანერა პრაქტიკულად არ შეცვლილა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კეიროშს ულვაში არა აქვს *(იცინის)*.

**- თქვენს გუნდს ახლა გაორებული ცენტრი აქვს. ეს ცვლილება როგორ აისახა პირადად თქვენზე?**

- მოედნის ცენტრში არავითარ ცვლილებებზე არ ვფიქრობთ. მოთამაშე, რომელიც მოედნის ცენტრში აღმოჩნდება, ისევე მოქმედებს, როგორც ნებისმიერი სხვა ფეხბურთელი იმოქმედებდა მის ადგილზე. სწორედ ეს არის მადრიდის "რეალის" ძალა. ჩვენს ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია რეაგირების მოხდენა.

**- ბექჰემის მოსვლის შემდეგ გუნდი უკეთ ათამაშდა?**

- ჩვენი გუნდი ყოველწლიურად უკეთესი ხდება. დევიდთან ერთად თითქმის ისევე ვთამაშობთ, როგორც გასულ წლებში. იმ პოზიციაზე, რომელზეც ის ახლა თამაშობს, აქამდე არასოდეს უთამაშია, მაგრამ ამას კარგად ახერხებს. მასთან ხშირი ურთიერთობა არ მაქვს, რადგან მე ინგლისური არ ვიცი, დევიდმა კი – ესპანური. მთავარი ის არის, რომ მოედანზე ვუგებდეთ ერთმანეთს.

**- კლუბის ხელმძღვანელების ადგილზე რომ იყო, სალგადოსთან კონტრაქტს გააგრძელებდი?**

- კი, იმიტომ რომ ის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. სალგადო ევროპის საუკეთესო მარჯვენა მცველია. კარგი იქნება, თუ მასთან კონტრაქტს გააგრძელებენ.

**- რას ფიქრობ "ბარსელონაზე", ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება შეუძლია?**

- "ბარსელონას" თვალყურს არ ვადევნებ, თუმცა, ის ანგარიშგასაწევი მეტოქეა ესპანეთის ჩემპიონატში. მისი თამაშები მაინცდამაინც არ მაინტერესებს. ჩემპიონობის კანდიდატად არ მივიჩნევ, თუმცა, საკმაოდ საშიში გუნდია.

რაგბი

# ურუგვაიმ რეალობა გვიკარნახა

## ანუ მთავარია მონაწილეობა

პაატა თოთაძე

**საქართველო – ურუგვაი 12:24**

**საქართველო:** *შველიძე, დადუნაშვილი (ა. გიორგაძე), კოპალიანი (ნიკოლაენკო), მჭედლიშვილი, გუჯარაიძე (წიკლაური), ჩხაიძე, იაშვილი, ზედგენიძე, მოდებაძე, ჯიმშელაძე (კვირიკაშვილი), ქავთარაშვილი (ხამაშურიძე), ი. გიორგაძე (კაცაძე), ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი*
**3 საჯარიმო** – *ურჯუკაშვილი, კვირიკაშვილი 3*

**ურუგვაი:** *სანჩესი (ბერუტი), ლამელასი (პერესი), ლემოინი (სტორასი), ბადო, ალსეტა (ბრინიონი), პონტე (გუტიერესი), გრილე, კაპო, კამპომარი (ამარილო), ს. აგირე, ბალდასარი, მედარო (პასტორე), დ. აგირე, კარდოსო, მენჩასა*
**3 ლელო** – *კარდოსო. ლამელასი, ბრინიონი*
**3 გარდასახვა** – *დ. აგირე 2, მენჩასა*
**1 საჯარიმო** - *მენჩასა*

კლოდ სორელისა და საქართველოს ნაკრებისთვის ათთვიანი დაძაბული პერიოდი დასრულდა. თებერვალში ევროპის ერთა თასზე მსოფლიო თასისთვის დაწყებული სამზადისი გუშინ პლანეტის უმთავრეს ტურნირზე ურუგვაისთან მატჩით დასრულდა. დასრულდა, ალბათ, ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო – წესით, ჩვენებს ვერც ერთი მატჩი ვერ უნდა მოეგოთ.

ერთადერთი მეტოქე, რომელთანაც ქართველებს მცირე, მაგრამ მოგების რაღაც შანსი მაინც ჰქონდათ, ურუგვაი იყო. აბსოლუტურად მცდარი გახლდათ აზრი იმის შესახებ, რომ ამ მატჩში ფავორიტები ჩვენ უნდა ვყოფილიყავით. მცდარი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ურუგვაი ჩვენზე გამოცდილი გუნდია და მსოფლიო თასზეც ჩვენსავით პირველად არ გამოდის; მცდარი იყო იმიტომაც, რომ ამ მატჩამდე ურუგვაიმ ჩვენს გუნდზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკასთანაც და სამოასთანაც უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდა. სწორედ ამ მატჩებში გამოჩნდა მათი შერკინების ძალა, რომელმაც ჩვენი გუშინდელი დამარცხება განაპირობა კიდეც. ყველაფერ ამას დაემატა მეტოქის ტაქტიკურად გამართული თამაში, ქართველთა უამრავი შეცდომა და შედეგად მივიღეთ მეოთხე მარცხი.



*პალიკო ჯიმშელაძე ურუგვაელების წინააღმდეგ*

ორივე გუნდი, ძირითადად, მორკინალების ხარჯზე ცდილობს სასურველი შედეგის მიღწევას. უკანა ხაზით ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის, მაგრამ, ქართველებისგან განსხვავებით, ურუგვაელებზე არავინ ამბობს, ბეკებმა თამაში არ იციანო. რა ხანია, გრძელდება საუბარი იმაზე, რომ ქართველმა უკანახაზელებმა თამაში არ იციან. საგანგებოდ მათ გასაწვრთნელად სორელმა ნაკრებში პატრიკ ფორიც კი მიიწვია. თითქოს გარკვეული წინსვლაც შეინიშნებოდა, მაგრამ ასეთი საუბარი დღემდე გრძელდება. უცხოთაგან ამ თემაზე საუბარი დასაშვებია, კრიტიკაც საჭიროა, მაგრამ ნაკრების თუ კავშირის ხელმძღვანელობისგან ამის აღნიშვნა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. მწვრთნელი იმისთვისაა, რომ ხარვეზები აღმოფხვრას, თორემ ლაპარაკით, შესაძლოა, სხვამ გაცილებით უკეთ ილაპარაკოს. გუშინ ვერც ქართველმა ბეკებმა ითამაშეს სათანადოდ, თუმცა ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეუტიეს. ურუგვაელი ფორვარდები გაცილებით უკეთ უტევდნენ და სამივე ლელო მათი დამსახურებაა. პირველ შემთხვევაში მორკინალებმა ბევრჯერ დაარტყეს და უკანახაზელებს უპირატესობა შეუქმნეს, რის შედეგადაც მარჯვენაფლანგელ კარდოსოს ლელოს გატანა არ გასჭირვებია. მეორედ შერკინებამ მოლში ივარგა – კარგად მიაწვა და ქართველთა ლელოში შესვლა დიდად არ გასჭირვებია. იქ კი ლელოს დადებას ბევრი აღარაფერი უნდოდა. რაც შეეხება მესამე ლელოს, აქ უკვე დიეგო აგირემ იყოჩაღა – ქართველთა ხაზი გაჭრა, მისი წამოწყებული შეტევა კი მეორეხაზელმა ბრინიონმა დააგვირგვინა.

შეტევაში ხომ გვაჯობეს და, მეტოქემ იმგვარად დაიცვა თავი, ბორჯღალოსნებს ლელოს გატანის შანსი არ მიეცათ. ამაში, მეტოქესთან ერთად, საქართველოს ნაკრებიცაა დამნაშავე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვენებმა არ იცოდნენ, როგორ შეეტიათ. არც ფეხით თამაში გამოსდიოდათ კარგად. მთელი მატჩის განმავლობაში იყო არაერთი ეპიზოდი, როცა ჩვენი ბურთი ფეხით ცუდი დარტყმის გამო მეტოქეს ჩავაბარეთ და შეტევის საშუალება მივეცით. მეტოქემ ამაშიც გვაჯობა – ურუგვაის კვალობაზე, კარგად და ზუსტად გადაჰქონდა ბურთი ჩვენს ნახევარზე. ბურთის დაკარგვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. გუშინ ქართველებს 13-ჯერ გაუვარდათ ბურთი ხელიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ 13-ჯერ დავუთმეთ ბურთი მეტოქეს. ვერც ნახევარმცველებმა მოახერხეს თამაშის დალაგება. პირველ ტაიმში მოდებაძე-ჯიმშელაძის წყვილმა რომ არ გაამართლა, მეორე ტაიმში სორელმა მოდებაძეს კვირიკაშვილი შეუწყვილა. შესვენების შემდეგ ბორჯღალოსნები მცირე ხნით კი დაეუფლნენ უპირატესობას და ანგარიშში სხვაობა 1 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ მერე ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც მანამდე იყო. ახლა აზრი არა აქვს იმაზე საუბარს, შეცდა თუ არა სორელი შემადგენლობის არჩევისას, სათამაშო ტაქტიკის შერჩევისას. შედეგი უკვე მომკილია. ეჭვი არ არის, ეს აუცილებლად გახდება განხილვის საგანი.

მატჩის შემდეგ მწვრთნელებს და კაპიტნებს, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარი განწყობა ჰქონდათ. "ჩვენთვის მთავარი იყო, ბურთი, რაც შეიძლება, დიდხანს ყოფილიყო ქართველთა ნახევარზე და იქ გვეთამაშა. ბიჭებმა ეს დავალება შეასრულეს – დაცვაშიც ჩინებულად ითამაშეს და სასურველი შედეგიც მიიღეს", - განაცხადა ურუგვაელთა მწვრთნელმა დიეგო ორმაეჩეამ. კაპიტნის, დიეგო აგირეს თქმით კი: "ჩვენ მთელი კვირა ვემზადებოდით ამ მატჩისთვის. ვიცოდით, რომ ქართველები ფიზიკურად ძლიერები არიან, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები აღმოვჩნდით. შეიძლება ითქვას, საუკეთესო თამაში ვითამაშეთ".

რაც შეეხება ქართველებს, შედეგით არა, მაგრამ კლოდ სორელი თავისი ბიჭების თამაშით კმაყოფილი დარჩენილა: "მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით. ტურნირზე თამაშით მათ გარკვეულ დონეს მიაღწიეს, თუმცა, ურუგვაი დღეს გაცილებით უკეთესი იყო".

**C ჯგუფი**

| | თ | ქ |
|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 14 |
| ს. აფრიკა | 3 | 10 |
| სამოა | 3 | 10 |
| ურუგვაი | 3 | 4 |
| საქართველო | 4 | 0 |

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს კვლავ სასამართლოში აქვს საქმე. მეორე რუსმა მილიარდერმა, მიხაილ ჟივილომ აშშ-ს სასამართლოში აბრამოვიჩის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ჟივილო აბრამოვიჩს გამოძალვაში ადანაშაულებს და მისგან 2 მილიარდი ფუნტის გადახდას მოითხოვს. ჟივილო ადრეც უჩიოდა აბრამოვიჩს, მაგრამ აშშ-ს სასამართლომ ჩათვალა, რომ ორი რუსი ბიზნესმენის საქმე რუსეთში უნდა განხილულიყო. ახლა, როდესაც აბრამოვიჩი ინგლისური "ჩელსის" მფლობელი გახდა, აშშ-ს სასამართლო მზად არის ჟივილოს სარჩელის განსახილველად. იმ შემთხვევაში, თუ აბრამოვიჩი პროცესს წააგებს, ჟივილოსთვის მას, კომპენსაციის სახით, "ჩელსის" გადაბარება მოუწევს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აბრამოვიჩის ადვოკატებმა უკვე გააკეთეს განცხადება. მათი თქმით, აბრამოვიჩისთვის "ჩელსის" წართმევის ყოველი მცდელობა მხოლოდ და მხოლოდ მისი მტრების შავი პიარია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" კაპიტანმა, სტივენ ჟერარდმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში კლუბთა კონტრაქტს გააგრძელებს. ამით მან უარყო ყველა ის ჭორი, რომელიც სხვა კლუბში მის შესაძლო გადასვლას უკავშირდებოდა. "ლივერპულში" დიდ პოტენციალს რომ ვერ ვხედავდე, ახალ კონტრაქტს არაფრით მოვაწერდი ხელს. ეს არის გუნდი, რომელსაც ინგლისის ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეუძლია. მე ამ კლუბში გავიზარდე და აქედან წასვლის არავითარი სურვილი არა მაქვს. "ლივერპულს" გამარჯვებებში დავეხმარები. დარწმუნებული ვარ, ამ გუნდში არაერთ ტიტულს მოვიპოვებ", - განაცხადა ჟერარდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსის" გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოჯის თქმით, კლუბის ჰოლანდიელ ლეგიონერს, ედგარ დავიდსს, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, ტრანსფერზე დააყენებენ. "სეზონის ბოლოს დავიდსმა უნდა გადაწყვიტოს, სად გააგრძელებს კარიერას. მას მიეცემა შესაძლებლობა, კლუბი აირჩიოს. შევეცდებით თუ არა მის შენარჩუნებას? არა მგონია", - განაცხადა მოჯიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბაიერნისა" და "კაიზერსლაუტერნის" უკანასკნელი მატჩის შემდეგ "კაიზერსლაუტერნის" გენერალურმა მენეჯერმა, რენე ჯოგიმ განაცხადა, რომ მისი კლუბი მზად არის, საუკეთესო თავდამსხმელი, მიროსლავ კლოზე გაყიდოს. "დადგა დრო, როდესაც კლოზე უნდა გავყიდოთ. სეზონის დაწყების წინ 5-მილიონიანი კრედიტი ავიღეთ. კლოზეს გაყიდვით ამ ვალის გასტუმრებას შევძლებთ", - ამბობს ჯოგი. შეგახსენებთ, რომ კლოზეს შეძენა მოსკოვის "სპარტაკსაც" სურდა, თუმცა, "კაიზერსლაუტერნი" უარზე იყო. ახლა მოსკოველებს სურვილის ახდენის კარგი საშუალება ეძლევათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** როგორც ჩანს, დიდი სურვილის მიუხედავად, გლაზგოს "სელტიკის" ხელმძღვანელობა მაინც ვერ შეძლებს შვედი ფორვარდის, ჰენრიკ ლარსონის შენარჩუნებას. ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სეზონის ბოლოს, როდესაც კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება, ის აუცილებლად წავა "სელტიკიდან". "ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს აღარ გავაკეთებ. უკვე არაერთხელ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია და გადაფიქრებას არ ვაპირებ", - განაცხადა ლარსონმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მილანის "ინტერის" მწვრთნელის პოსტზე თავისი დებიუტი იზეიმა ალბერტო ძაკერონიმ. "ინტერისა" და "რომას" მატჩი ფრედ – 0:0 დასრულდა. შედეგით უკმაყოფილი მილანელი ქომაგები "ინტერის" პრეზიდენტს, მასიმო მორატის გადადგომისკენ მოუწოდებდნენ. არადა, ძაკერონის თქმით, მორატი მატჩით კმაყოფილი დარჩენილა. "მასიმო მორატიმ მითხრა, რომ ჩვენი თამაშით კმაყოფილია. მან დაინახა, რომ გუნდს პერსპექტივა აქვს. "რომასთან" მატჩში მხოლოდ გოლი გვაკლდა, რომელსაც ძალიან ვიმსახურებდით", - თქვა ლარსონმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილია, რომ ლონდონის "ჩელსი" რაულის შეძენას ცდილობდა, თუმცა აბრამოვიჩს ხელი მოეცარა. რუსი მილიარდერი ახლა ლივერპულელი მაიკლ ოუენის გადაბირებას აპირებს. თავდამსხმელის სანაცვლოდ ის 50 მილიონ ფუნტს სთავაზობს "ლივერპულს". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოუენის კონტრაქტი "ლივერპულთან" სეზონის ბოლოს იწურება და ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით მილაპარაკებები ჩიხში მოექცა, "ჩელსის", მართლაც, კარგი შანსი აქვს, ოუენი შეიძინოს. აბრამოვიჩმა კიდევ ერთი თავდამსხმელის შეძენა განიზრახა – ბრაზილიური "პორტო ალეგრეს" 19 წლის თავდამსხმელს, ნილმარს დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ ის 5,3 მილიონ ფუნტს იხდის. "პორტო ალეგრეს" მძიმე ფინანსური პრობლემები აქვს და, ალბათ, ნილმარის გაყიდვაც მოუწევს.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** ამერიკელმა დონ ნელსონმა ლიტვისთვის გაწეული ღვაწლისთვის ამ ქვეყნის მთავარი ორდენი, "კომანდორის დიდი ჯვარი" მიიღო. მაღალი ჯილდო აშშ-ის მოქალაქეს თავად ლიტვის პრეზიდენტმა როლანდას პაკსასმა გადასცა. ნელსონის დამსახურება ის არის, რომ შვედეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ის ბალტიისპირელებს ეხმარებოდა. ლიტვის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კარს მომდგარი რეგულარული ჩემპიონატის დაწყების წინ "სიეტლ სუპერსონიქსმა" მცველი რეი ალენი დაკარგა. "დრიმ თიმის" წევრი გამოტოვებს თავისი გუნდის ორ მატჩს "კლიპერსის" წინააღმდეგ, რომელიც იაპონიაში გაიმართება. ამ კვირაში ალენს მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" ისარგებლა ოპციონის უფლებით და რიჩარდ ჯეფერსონს (ფორვარდი) და ჯეისონ კოლინზს (ცენტრი) კონტრაქტები გაუფორმა. მათ ეს რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გააკეთეს. ახალი შეთანხმება 2004-2005 წლების ჩემპიონატის დასრულებამდე იქნება ძალაში. ორივე კალათბურთელი "ნეთსში" "ჰიუსტონიდან" 2001 წელს გადავიდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ზუსტად რეგულარული ჩემპიონატის დაწყების წინ კვლავ გაჩაღდა ძველი უთანხმოება "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავებს - შაკილ ო`ნილსა და კობი ბრაიანტს შორის. "შაკი" მიიჩნევს, რომ მის პარტნიორს, მეტოქის ფარის ინდივიდუალურად დაცხრილვას, ურჩევნია, გუნდურ თამაშზე გაამახვილოს ყურადღება და, რაც შეიძლება, მეტი შედეგიანი გადაცემები დაარიგოს. შეგახსენებთ, რომ კობი შარშანდელ სეზონში სწორედ ასე თამაშობდა. მარტო უტევდა მეტოქის კალათს და თავისი შედეგიანობით სპეციალისტთა გაოცებას იწვევდა (მასზე უფრო შედეგიანი მხოლოდ ტრეისი მაკგრეიდი იყო). თუმცა, ამან "ლეიკერსს" წარმატება არ მოუტანა. გუნდი პლეიოფში კი გავიდა, მაგრამ ფინალამდე ვერ მიაღწია. მიუხედავად ამისა, ბრაიანტი აცხადებს, რომ არ შეიცვლება.

■ ■ ■

**კრივი.** ბრიტანელმა მაიკლ გომესმა ალექს არტურთან ედინბურგში გამართული ბრძოლის მეხუთე რაუნდში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და მეტოქე ნოკაუტში გაისტუმრა. გომესის პრომოუტერი ფრენკ უორენი აცხადებს, რომ თავისი კლიენტისთვის უახლოეს მომავალში აუცილებლად გაჩარხავს სატიტულო ბრძოლას. "ის მსოფლიო ტიტულისთვის ბრძოლას უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში მიიღებს", - ამბობს უორენი.

■ ■ ■

**კრივი.** 2005 წელს მოსკოვში გაიმართება მსოფლიო თასის გათამაშება. ამის შესახებ რუსთა ფედერაციას სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ უკვე გაუგზავნა შეტყობინება. ახლო მომავალში კი გადაწყვეტილება ოფიციალურ სახეს მიიღებს. თუმცა, როგორც რუსეთის კრივის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ანატოლი ჩერკასოვმა განაცხადა, ეს პროცედურა უბრალო ფორმალობაა და მეტი არაფერი.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გასულ სეზონში "მაკლარენ-მერსედესის" ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ახალგაზრდა მრბოლის ტალანტი შეაფასეს იაპონელმა გულშემატკივრებმა, რომლებმაც რაიკონენი "AS+F"-ის ვერსიით საუკეთესო პილოტად აღიარეს. რაიკონენს მილიონზე მეტმა იაპონელმა გულშემატკივარმა მისცა ხმა. საინტერესოა, რომ მისი თანამემამულე და წინამორბედი მიკა ჰაკინენიც იაპონელ გულშემატკივართა სიმპათიით სარგებლობდა. აზიელებმა ისიც საუკეთესოდ აღიარეს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ამ დღეებში მიუჯელოში გამოჩნდებიან "ფერარის" ფერებში გამოწყობილი "მინარდის" ორადგილიანი ბოლიდები. საჭეს მიუსხდებიან ჯანმარია ბრუნი, მატეო ბობი და ანტონიო ლუიცი, რომლებიც 2004 წლის სეზონში "მინარდის" კოკპიტზე აცხადებენ პრეტენზიას. რა თქმა უნდა, ფერარის" ფერებში გამოწყობა "მინარდის" მანქანებს სიჩქარეს ვერ შემატებს, მაგრამ მანქანების უჩვეულო გარეგნობა თავისთავად სიამოვნებას მოჰგვრის როგორც პილოტებს, ისე გუნდის გულშემატკივრებს. შარშან "მინარდის" ორადგილიან ბოლიდებში მეუღლეებს ასეირნებდნენ მიხაელ შუმახერი და იოს ფერსტაპენი.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ორი ჩინელი მძლეოსანი დეენ იუნ ჯი და ლი ხუ ქუანი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. როგორც საინფორმაციო სააგენტო სინხუა იუწყება, წინა კვირაში აღებულმა დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა აკრძალულ პრეპარატზე - ერითროპოეტინი. ჩინეთის ანტისადოპინგო სააგენტოს შეფმა ში კან ჩენგმა განაცხადა, რომ ორივე ათლეტი მოიხსნება სრულიად ჩინეთის მეხუთე თამაშებიდან (რომელიც ახლა მიმდინარეობს) და მომავალში უფრო მკაცრ სასჯელსაც მიიღებს. აღსანიშნავია, რომ დოპინგ-ტესტის აღებამდე და მისი შედეგების გამოცხადებამდე ორივე სპორტსმენმა მედლების აღება მოასწრო. დე იუნ ჯიმ 3000 მეტრ დისტანციაზე სირბილში ვერცხლის მედალი მოიგო, ხოლო ლი ხუ ქუანმა 800 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ტამპა-ბეიმ" თავისი ფორვარდი ერკი რაიამაკი "სენტ-ლუისს" დრაფტის მერვე რაუნდის არჩევანში გაუცვალა. წინა ორ სეზონში რაიამაკი ფინეთის ჩემპიონატში თამაშობდა.

## ცხენოსნობა

# თასში ვერავინ შეგვეცილება

ზიზა ზურასაშვილი

ოთხი დღის განმავლობაში ცხენოსნობის მოყვარულთა მზერა თბილისის იპოდრომისკენ იყო მიპყრობილი. იქ, განახლებულ საკონკურე მოედანზე, კავკასიის თასი თამაშდებოდა. მაყურებელი ერთგულად გულშემატკივრობდა საკუთარ რჩეულებს, თუმცა, გუშინ, გათამაშების დასკვნით დღეს, მაყურებელთა რაოდენობა თვალშისაცემად შემცირდა – წვიმიანმა ამინდმა თუ იქონია გავლენა. თუ წინა დღეებში მსაჯებს წამდაუწუმ უწევდათ, მოაჯირს გარშემორტყმული ურჩი მაყურებლისთვის ტრიბუნებისკენ მიეთითებინათ, გუშინ ამის საჭიროება აღარ ყოფილა. წვიმის გამო ისინი, ხეებს შეფარებულნი, ადევნებდნენ თვალყურს საკონკურე მოედანს. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში პატარა ლოჟაში მოკალათებული საპატიო სტუმრები და საწვიმრებითა და ქოლგებით შეიარაღებული მაყურებლები აღმოჩნდნენ. დანარჩენები თავიდან ბოლომდე გავილუმპეთ. მიუხედავად ამისა, მხედრებს შიგადაშიგ ტაშითაც ვამხნევებდით. ტაში და მოკრძალებული ოვაცია კი დაიმსახურა საქართველოს გუნდმა – ის ზედიზედ მესამედ დაეუფლა კავკასიის თასს. ასეთ შემთხვევაში კი, მოგეხსენებათ, თასს სამუდამო მფლობელობას უკანონებენ. სწორედ ასე მოიქცნენ კავკასიის თასის გათამაშების ორგანიზატორებიც.

ასპარეზობა ერთობ დაძაბული გამოდგა. ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა, თუ ვინ მოიპოვებდა უძლიერესი გუნდის სახელს. ამ მხრივ ერთგვარი დუელი შემოგვთავაზეს ქართველმა და სომეხმა მხედრებმა, რომლებიც თანაბარი საჯარიმო ქულებით მისდევდნენ ერთმანეთს. თუმცა, ქართველთა ოთხეულმა ბოლოს ხელი გამოიღო და სომხეთის გუნდს გაუსწრო. ქართველ მხედართა წარ-



BMW სომხეთის გზას გაუყენეს თასი კი ჩვენ დავიტოვეთ

მატება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ, მეტოქეებისგან განსხვავებით, რომელთა ასაკი 30 წელს აღემატებოდა, ქართველთა გუნდი 19-20 წლის ბიჭებით იყო დაკომპლექტებული.

კარგი იქნებოდა, საქართველოს გუნდის რომელიმე წევრს წინა დღით "დიდ პრიზზეც" ეყოჩაღა. "დიდი პრიზი" კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ საუკეთესო შედეგის მქონე მხედარი ჯილდოდ BMW-ს ავტომობილს დაისაკუთრებდა. მანქანა კი, მოგეხსენებათ, სომეხმა ნორაინ სტეპანიანმა დაისაკუთრა.

"უფროსი ასაკის (ძირითადი ცხენები) ცხენებით მოასპარეზე ქართველთა გუნდით აშკარად უკმაყოფილო ვარ, - გვეუბნება იპოდრომის გენერალური დირექტორი ლაშა ჯაიანი. – მეტოქეებმა კი არ მოგვიგეს, ჩვენ თვითონ წავაგეთ. ეტყობა, ფსიქოლოგიური ზეწოლაც დიდი იყო, ბიჭები ზედმეტად დავმუხტეთ. სომხებს, ჩვენგან განსხვავებით, მეტი გამოცდილება აქვთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ ფსიქოლოგიური ტვირთი არ ჰქონიათ. დიდი სურვილის მიუხედავად, მანქანა საქართველოში დარჩენილიყო, არ გამოგვივიდა".

ტურნირის დაწყებამდე შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვითხრეს, ქართველი მხედრები კავკასიაში ლიდერები არიანო და ამაში გათამაშების ყოველ დღეს ვრწმუნდებოდით. ბედის ირონია იყო თუ რა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, ერთადერთხელ წავაგეთ და ისიც მაშინ, როდესაც ავტომობილი გამარჯვებულს ელოდა. ქართველ მხედართა ლიდერობა გუნდურ ასპარეზობაში გამოიკვეთა.

გაისად, როგორც ჯაიანმა გვითხრა, "კავკასიის თასის" გათამაშება შედარებით მასშტაბური იქნება. ყოველ შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით, გვეწვევიან რუსეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან.

შეჯიბრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, სპეციალური პრიზი დააწესა ყველაზე ტქნიკური მხედრისთვის. მას ახალგაზრდა ცხენებით მოასპარეზე ივანე ნორაკიძე ("ფლოქვი") დაეუფლა, ასეთივე ჯილდოს ძირითად ცხენებში – ნორაინ სტეპანიანი ("სკალდი").

**"კავკასიის თასი"**

*(გუნდური პირველობა. 11 დაბრკოლება. 12 ნახტომი. წინაღობათა სიმაღლე 140 სმ-მდე.)*

1. საქართველო
2. სომხეთი
3. აზერბაიჯანი

## ჩოგბურთი

# მობრძანდით, პარიზის კორტები გელიან!

სანდრო ნავერიანი

გუშინწინ პარიზში დაიწყო უკანასკნელი, მეცხრე მასტერსის გათამაშება. პლანეტის წამყვანი ჩოგბურთელები დიდი სლემის გათამაშების შემდეგ ამ ტურნირს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. atp tour-ის ტურნირები მასტერსის მოსამზადებელ პერიოდად ითვლება. წლევანდელი გათამაშება საინტერესო უნდა გამოდგეს. არც შარშანდელი ყოფილა უინტერესო, მაგრამ, წლევანდელთან შედარებით, შარშანდელ ტურნირს გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა – რუსი მარატ საფინი, რომელმაც მოიგო კიდეც გათამაშება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საფინთან შეხვედრას არავინ ნატრობს, არადა, რუსი ნამდვილად არ არის ისეთ ფორმაში, რომ ფერეროს, როდიკსა და მისთანებს კონკურენცია გაუწიოს. წლეულს ნამდვილად ვერ დავასახელებთ ისეთ ფავორიტს, ერთი ხელის მოსმით რომ შეეძლოს ტურნირის მოგება. ყველაზე დიდი შანსი კი იმ ათეულს აქვს, რომელიც საჩემპიონო რბოლას უდგას სათავეში. ძალიან ძლიერი ჩოგბურთელები ჰყავთ არგენტინელებს, ამერიკელებსა და ესპანელებს. ნიკოლას მასუ, ხუან კარლოს ფერერო, ენდი როდიკი – აი, ესენი არიან ტურნირის უმთავრესი ფავორიტები, თუმცა, არც 2001 წლის გათამაშების ტრიუმფატორი, ფრანგი სებასტიან გროსჟანი უნდა ჩამოვწეროთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის საკუთარ კედლებში ითამაშებს და ფრანგი გულშემატკივარი ყველანაირად შეეცდება თავისი ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელის დახმარებას. პირველი წრის 12 შეხვედრა უკვე ჩატარდა და მოულოდნელი მოგება-წაგებებიც დაიწყო. ტურნირს გამოეთიშა ამერიკელი რობი ჯინეპრი, რომელმაც თავისი მატჩი სლოვაკ კაროლ ბეკთან დათმო (7:6, 6:4). ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა რუსი ნიკოლაი დავიდენკოს პარიზული ვოიაჟი ორ სეტში დაამთავრა (6:3, 6:4). ტურნირს გამოეთიშნენ არგენტინელები – მარიანო ზაბალეტა და ხუან იგნასიო ჩელა. ეს უკანასკნელი ფრანგმა ტიერი ასკინემ გამოთიშა შეჯიბრებას, ხოლო ზაბალეტას ესპანელმა ალბერტ კოსტამ გადაუღობა გზა.

აღსანიშნავია ფრანგი ჩოგბურთელების გამოსვლა. ექვსი ფრანგიდან ოთხმა მეორე ტურში გააღწია. დარჩენილი პირველი წრის ოთხ თამაშში ერთმანეთს დაუპი-



გროსჟანი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია

**პირველი წრე**

| | |
|---|---|
| გრეგორი კარა (საფრანგეთი) - რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) | 2:6, 6:2, 7:6 |
| ტიმ ჰენმანი (ინგლისი) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 6:3, 6:4 |
| ჰიხამ არაზი (მაროკო) - პოლ ანრი მატიე (საფრანგეთი) | 7:5, 6:4 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) - რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1:6, 7:6, 6:4 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - მაქს მირნი (ბელორუსი) | 6:4, 4:6, 6:1 |
| ჯეიმს ბლეიკი (აშშ) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 6:3, 6:4 |
| ალბერტ კოსტა (ესპანეთი) - მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) | 6:7, 6:4, 7:5 |
| კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) - რობი ჯინეპრი (აშშ) | 7:6, 6:4 |
| ნიკოლა მაიუ (საფრანგეთი) - იარკო ნიმინენი (ფინეთი) | 4:6, 6:4, 7:5 |
| ვიქტორ იანესკუ (რუმინეთი) - უეინ ფერეირა (სარ) | 2:6, 6:4, 6:3 |
| ტიერი ასკინე (საფრანგეთი) - ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 6:0, 6:3 |
| ანდრეა პაველი (რუმინეთი) - კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 7:6, 6:2 |

**წყვილთა გათამაშება**

| | |
|---|---|
| ბლეიკი/ულიეტი - ბრაიანი/ბრაიანი | 7:6, 6:3 |
| ეტლი/როდრიგესი - პალმერი/რიკლი | 4:6, 6:3, 6:1 |

რისპირდებიან: ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, რომელმაც ორი დღის წინ პეტერბურგის ტურნირი მოიგო, და ამერიკელი მარდი ფიში, რომელმაც ასევე პირველობა მოიპოვა სტოკჰოლმის ტურნირზე. სლოვაკი დომინიკ ჰრბატი ამერიკელ ვინსენტ სპადეას შეხვდება, რუსი მიხაილ იუჟნი – ახალგაზრდა ესპანელს, ფელისიანო ლოპესს, შვედი იონას ბიორკმანი – არგენტინელ ავგუსტინ კალერის. მეორე წრეში ჩოგბურთელები ასე დაწყვილდნენ: 1)კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი). 2)იუნას ელ აიანუი (მაროკო) - ჰიხამ არაზი (მაროკო). 3)ტომი რობრედო (ესპანეთი) - გასტონ გაუდიო (არგენტინა). 4)ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) - ნიკოლა მაიუ (საფრანგეთი). 5)ვიქტორ იანესკუ (რუმინეთი) - ენდი როდიკი (აშშ). 6)ნიკოლას მასუ (ჩილე) - ალბერტო კოსტა (ესპანეთი). საინტერესო იქნება ორი მაროკოელის დაპირისპირება. როგორც ცნობილია, ელ აიანუი ულამაზეს ჩოგბურთს თამაშობს, ხოლო არაზი ცნობილია თავისი ძალისმიერი თამაშით. ასევე საინტერესო იქნება ესპანელ ტომი რობრედოსა და არგენტინელ გასტონ გაუდიოს შეხვედრა. ფერერო და როდიკი, ალბათ, ადვილად გაუსწორდებიან თავიანთ მეტოქეებს, ამიტომ შეხვედრებს მათი მონაწილეობით არავითარი ინტრიგა არ ახლავს. წესით, არც ჩილელ ნიკოლას მასუს უნდა შეექმნას პრობლემები ესპანელ ალბერტო კოსტასთან. უკანასკნელ მასტერსზე, რომელიც მადრიდში გაიმართა, ჩილელმა არაჩვეულებრივად ითამაშა – ტურნირს გამოთიშა ამერიკელი ენდი როდიკი, არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა, მაროკოელი იუნას ელ აიანუი და ფინალში ხუან კარლოს ფერეროსთან დამარცხდა. საინტერესოა, როგორ ფორმაშია ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი. სტოკჰოლმის ტურნირზე ის ნომერ პირველ ფავორიტად იყო დასახელებული, თუმცა პირველივე წრეში გამოეთიშა ტურნირს. ტაილანდელი თავის შეხვედრას სლოვაკ კაროლ ბეკთან გამართავს და მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციას შეეცდება. დანარჩენი შეხვედრების მონაწილეთა ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. მასტერსის წლევანდელი რვა ტურნირიდან ყველაზე მეტი ფერერომ და როდიკმა მოიგეს და თავიანთ ტიტულებს მასტერსის ჩემპიონის ორ-ორი ტიტული მიუმატეს. დიდია იმის ალბათობა, რომ ერთ-ერთი მათგანი გახდეს მესამე მასტერსის ტიტულის მფლობელი. მასტერსის ტურნირები მოგებული აქვთ ასევე ლეიტონ ჰიუიტს, ფელიქს მანტილას, ანდრე აგასის და გილიერმო კორიას. ფრანგებს, კერძოდ, სებასტიან გროსჟანს, კარგი შანსი ეძლევა იმისა, რომ პარიზული მასტერსის მთავარი პრიზი საფრანგეთში დატოვოს და თვითონაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ჩოგბურთის ისტორიაში.

გთავაზობთ ჩატარებული მატჩების შედეგებს. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი 2 450 000 ევროა. გამარჯვებული მიიღებს 450 000 ევროს, ფინალისტი – 225 000-ს, ნახევარფინალისტები – 112 500-ს, მეოთხედფინალისტები – 56 600-ს, მერვედფინალისტები – 28 430-ს, ოცდამეთორმეტედფინალისტები – 15 000-ს. პირველი წრიდან გამოვარდნილები მიიღებენ 7 500 ევროს.

## ფორმულა 1

# "წითელი ბარონი" შვებულებაში მიდის

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გერმანელი მიხაელ შუმახერი სამთვიან შვებულებაში მიდის. მართალია, შუმახერი სპორტული კარიერის დასრულებას არ ჩქარობს, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადა, შარშანდელი ბრძოლის პერიპეტიებმა ძალიან გადაღალა. ასე რომ, ვიდრე "შუმი" მორიგ, მეშვიდე საჩემპიონო ტიტულს შეეჭიდება, დასვენება გადაწყვიტა.

ერთ-ერთ ინტერვიუში გერმანელმა განაცხადა, რომ სუძუკის რბოლის შემდეგ მთლიანად გამოიფიტა. "ჩემი დასვენების გრაფიკი იანვრამდე უკვე დავგეგმე, - თქვა გერმანელმა, - ეს დრო "დიდი პრიზებისგან" სრული განდეგილობის პირობებში ჩაივლის. წინა წლებში ხომ უბრალოდ ფორმულა 1-ით დაავადებული ვიყავი, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევდი, რბოლებისგან მხოლოდ ორი კვირით დამესვენა. ეს კი არ უნდა მექნა. რაღაც ზღვარი ხომ უნდა იცოდე. შვებულება - ეს დამუხტვის ერთგვარი საშუალებაა. საჭიროა, აღივსო ენერგიით, რომ კვლავ ტრასაზე გახვიდე და შტურმი დაიწყო. მომავალ სეზონში კი, დარწმუნებული ვარ, ბევრი ბრძოლის გადატანა მომიწევს. ჩემი გაუთავებელი გამარჯვებებით ბევრი დაიღალა. მეტოქეები შეეცდებიან, დაარღვიონ ჩემი ლიდერობა".

მოკლედ, "წითელი ბარონი" შვებულებისთვის ემზადება. უკანასკნელ პერიოდში "ფერარის" ლიდერს ჩვეულებად ექცა, ზამთრის არდადეგები ნორვეგიაში, თავის დასასვენებელ სახლში გაატაროს. როგორც ჩანს, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა.

"როცა უკან ვიხედები, ვხვდები, რომ სუძუკიში ჩემი გამარჯვება ისტორიულია. მაშინაც კი, როცა შინ მარტო ვრჩები და ვისვენებ, ამ დღეს ვუბრუნდები. თუმცა, ამჯერად შევეცდები, ფორმულა შვებულებაში გარკვეული დროით მაინც დავივიწყო. იმედი მაქვს, ამ საქმეში დამეხმარებიან ჩემი მეუღლე კორინა და ჩემი ორი შვილი, რომლებიც ჩვენ სიცოცხლეზე მეტად გვჭირდება", - ამბობს მიხაელ შუმახერი.

ადრე შუმახერი ყოველთვის ერიდებოდა პირად ცხოვრებაზე საუბარს, ახლა კი ამის შესახებ ხშირად საუბრობს - რაც, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს ფრიად ახარებს.

"მე ბევრ ფულს ვაკეთებ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუდევრად ვფლანგავ! - ამბობს მსოფლიო ჩემპიონი. - უფრო პირიქით. მე და კორინა საშუალო შეძლების ოჯახებში ვიზრდებოდით, ამიტომ ჩვენ ვისწავლეთ, მცირეოდენი თანხითაც კი კმაყოფილი ვიყოთ. ვცდილობთ, ბავშვებიც ასე აღვზარდოთ".

შუმახერი აგრძელებს: "როცა რბოლებისგან თავისუფალ შაბათ დღეს მაღაზიებში დავდივარ, არ ვეტანები ყველაფერს, რაც დახლზე დევს. მე და კორინა ბავშვებს არ ვანებივრებთ, ვცდილობთ, ავუხსნათ, თუ რა დიდი შრომის ფასად ვშოულობთ ფულს. ბუნებრივია, ჯინა-მარია და მიკი ვერ იღებენ ყველაფერს, რაც სურთ: ახალი ბარბი ან კომპიუტერული თამაში. რასაკვირველია, მათ ბევრად უფრო მეტი სათამაშო აქვთ, ვიდრე ამ ასაკში მე და კორინას გვქონდა, მაგრამ ლაპარაკია იმაზე, რომ ბავშვებმა ისწავლონ, არ იყვნენ ცხოვრებაში ზედმეტად თავდაჯერებულნი. ვცდილობთ, ბავშვებს ბუნებრიობის შეგრძნება გავუღვივოთ და, ამავე დროს, ვასწავლოთ, რა არის ცხოვრებაში, მართლაც, ჭეშმარიტი ღირებულება. სწორედ ამიტომ გვყავს სახლში ასე ბევრი ცხოველი. ბავშვები მათზე ზრუნვას სწავლობენ. ბედნიერი ვარ, რომ კორინა ჩემი შვილების დედაა. ბავშვებისთვის ის ყველაფერს აკეთებს", - ამბობს მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც CNN-მა უკანასკნელი ათწლეულის ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის დაასახელა.

საუკეთესო ათეულში შუმახერი აღმოჩნდა ისეთი სპორტსმენების გვერდით, როგორებიც არიან: ამერიკელი ჩოგბურთელები - პიტ სამპრასი და სერენა უილიამსი, გოლფის ოსტატები - ამერიკელი ტაიგერ ვუდსი და შვედი ანიკი სურენსტამი, "ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული ამერიკელი ლენს არმსტრონგი, ავსტრალიელი მოცურავე იან ტორპა, კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი და ფეხბურთელები - ბრაზილიელი რონალდო და ფრანგი ზინედინ ზიდანი.

# ვილნევი "მაკლარენში" გადადის

თუ "ბარის" გუნდის შეფს, დევიდ რიჩარდსს დავუჯერებთ, 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონის ჟაკ ვილნევის გუნდიდან დათხოვნა მნიშვნელოვნად გაზრდის გუნდის 2004 წლის ბიუჯეტს. რიჩარდსი, რომელიც ამტკიცებს, რომ კანადელს გუნდში დარჩენის შანსი მისცა, ამტკიცებს, რომ მომავალ წელს გუნდს საშუალება ექნება, მანქანის ტექნიკურ მხარეს მეტი დრო დაუთმოს.

5 წლის განმავლობაში ვილნევმა "ბარში", ხელფასის სახით, 80 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ახლა მას იაპონელი ტაკუმა სატო შეცვლის. რიჩარდსი ამბობს, რომ ფული, რომელსაც ვილნევი იღებდა, ამიერიდან გუნდის საერთო ბიუჯეტში დარჩება. "ამჟამად ჩვენ აბსოლუტურად გასაგები გეგმები გვაქვს. ჯეფ უილისი ძალიან კმაყოფილია ამით და იმ სახსრებით, რომლებიც 2004 წელს მის განკარგულებაში იქნება", - განაცხადა რიჩარდსმა.

ამასთან, რიჩარდსი იმასაც ამტკიცებს, რომ ვილნევისთვის უხელფასოდ მუშაობა არ შეუთავაზებია. კანადელს ხელფასის შეკვეცა შესთავაზეს. მან კი უარი განაცხადა. "მე და მისმა მენეჯერმა კრეიგ პოლოკმა წერილები გავცვალეთ. მე ვილნევს წინადადება მივეცი, მან უარი განაცხადა", - ამბობს რიჩარდსი.

თუმცა, როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ, ვილნევის ხელფასი წელიწადში 25 მილიონი დოლარი იყო, რამაც არ გაამართლა. "მნიშვნელობა არა აქვს, რა გქვია და წარსულში რა წარმატებებს მიაღწიე", - თქვა "ბარის" შეფმა.

ამასობაში ვილნევის მენეჯერმა კრეიგ პოლოკმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი 2004 წელს "მაკლარენის" ტესტ-პილოტი გახდება. პოლოკი იმასაც ამტკიცებს, რომ 2005 წელს ვილნევს ძირითად პილოტად აქცევს. ყველაფერ ამის შესახებ პოლოკმა კარტის ბოლოსწინა ეტაპზე მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა. "დიახ, ყველაფერი სწორედ ასეა. მთავარია, რომ ჩვენ მას მომავალი სეზონისთვის ადგილი გამოვუნახეთ", - აღნიშნა პოლოკმა.

პრესკონფერენცია დამთავრებულიც კი არ იყო, რომ "მაკლარენმა" უმალ რეაგირება მოახდინა – განაცხადა, რომ ვილნევს გუნდში არ ელოდება. "ვილნევის კანდიდატურა შემოგვთავაზეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით კონკრეტულად არაფერი გვითქვამს", - განაცხადა "მაკლარენის" წარმომადგენელმა.

# ბოსს წინასწარ მისტირიან

სამეფო რბოლების სამყაროში სულ უფრო აქტუალური ხდება თემა: ვინ დაიკავებს ფორმულა 1-ის ბრიტანელი იმპრესარიოს, მხცოვანი ბერნი ეკლსტოუნის სავარძელს. საკითხის აქტუალობის მიუხედავად, ბევრისთვის ფორმულა 1 ეკლსტოუნის გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, ბრიტანელს, რომელსაც მალე 73 წელი შეუსრულდება, ადრე თუ გვიან, სამეფო რბოლების მიტოვება მოუწევს. ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ეკლსტოუნი თავადვე შეუდგა მემკვიდრის ძიებას. საჯინიბოებისთვის მიწერილ წერილში იმპრესარიომ პოტენციურ მემკვიდრეზეც მიუთითა. ეს კი იტალიელი მარკო პიჩინინია. თავდაპირველად იტალიელი უმცროს სარბოლო სერიებში მუშაობდა, ხოლო 1978 წელს ფორმულა 1-ში, "ფერარის" სპორტული დირექტორის პოსტზე აღმოჩნდა. 1990 წელს პიჩინინი იტალიის საავტომობილო კავშირის პრეზიდენტად მუშაობდა. 1998 წლიდან დღემდე კი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის მაქს მოსლის მოადგილეა. "მარკო პიჩინინი ჩემთვის იდეალური მემკვიდრეა", - აცხადებს ეკლსტოუნი.

საჯინიბოების ხელმძღვანელთა აღიარებით, მათ სულაც არ ეხამუშებათ პიჩინინის კანდიდატურა, მაგრამ ვერაფრით ეგუებიან იმ აზრს, რომ სამეფო რბოლებიდან წასვლას აპირებს სამეფო რბოლების სახელოვანი ბოსი. თუ აქამდე "ჯორდანის" შეფი ედი ჯორდანი აცხადებდა, ეკლსტოუნი უალტერნატივოაო, ახლა მას პოლ სტოდარტიც შეუერთდა: "შიშით ველი იმ დღეს, როდესაც ბერნი წასვლას გადაწყვეტს".

ეკლსტოუნის წასვლა-არწასვლაზე იგივე აზრისაა ფორმულა 1-ის ექსპერტი ჰანს-იოაჰიმ შტუკიც: "ამჟამად ვერც ერთ ღირსეულ კანდიდატურას ვერ ვხედავ, რომელსაც ეკლსტოუნის შეცვლა შეუძლია. ვეჭვობ, არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც მოვალეობას ისევე კარგად გაართმევს თავს, როგორც ამას ბერნი აკეთებს".

## დრამატურგი მონაზონი



ქალები მამაკაცთა გულებს იჭერენ – შუა საუკუნეების მინიატურა

X საუკუნის ევროპაში დედათა მონასტრები, ძირითადად, არისტოკრატთა ქალიშვილებით იყო დასახლებული. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასეთი მონასტერი განდერსჰაიმის სავანე იყო დღევანდელ ქალაქ ბრუნსვიკში, რომელიც მაშინ საქსონიის საჰერცოგოს ეკუთვნოდა. სწორედ იქ 960-იან წლებში მოღვაწეობდა აბატისა ჰერბერგა, იმპერატორ ოტონ დიდის შვილიშვილი. ამ მონაზონს ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული რეგენსბურგის წმ. ემერანის სამონასტრო სკოლაში.

ჰერბერგას სულიერი წინამძღოლობის ქვეშ მყოფ მონაზონთა შორის იყო ვინმე როზვიტა, აბატისაზე ასაკით ოდნავ უფროსი. ჰერბერგამ შეამჩნია მისი ნიჭი და პირადი ზრუნვის საგნად გაიხადა იგი. როზვიტამ მალე წაიკითხა სამონასტრო ბიბლიოთეკაში დაცული ყველა წიგნი და კიდევ სხვებიც, მისთვის აბატისას მიერ ნაშოვნი. კითხვამ წერის სურვილი გაუღვიძა. ამის შედეგად წარმოიშვა რამდენიმე პოემა წმიდა ქალწულის ცხოვრების შესახებ და გალექსილი მოთხრობა "განდოლფუსი", ერთსა და იმავე დროს სახუმაროც და სულის მარგებელიც.

მთელი ლიტერატურული პროდუქციიდან განსაკუთრებით გამოიყოფა სამი უცნაური პიესა, რომლებშიც ახალგაზრდა მონაზონი ცდილობს ტერენციუსის ხელოვნება სამსახურში ჩაუყენოს ქრისტიანულ აღზრდას. ტერენციუსის მიბაძვა არ გამოუვიდა როზვიტას, მაგრამ ამის გამო მისი დრამატურგია ნაკლებად ღირებული არაა. აი, ერთ-ერთი პიესის, "კალიმაქეს" შინაარსი.

კალიმაქე გაუმიჯნურდა მშვენიერ დრუზიანას, რომელიც ქრისტიანი იყო და თან გათხოვილიც. თავის გრძობას ჭაბუკი მეგობრებს ანდობს გაუთავებელი პედანტური წიაღსვლებით, რაც, როგორც ეტყობა, იმდროინდელი ახალგაზრდობის წიაღში დახვეწილობის უმაღლეს დონედ აღიქმებოდა. მეორე სურათში იგი თავის სატრფოს ხვდება და ტონიც იცვლება: "მინდა მოგახსენოთ, რომ ყოველ საგანზე უფრო მეტად მიყვარხართ"; "რომელი სისხლით ნათესაობა, ან რომელი კანონი გიბრძანებთ ჩემს სიყვარულს?"; "თქვენი მშვენიერება". "რა ურთიერთობა გაქვთ ჩემს მშვენიერებასთან?"; "ვაი, რომ არავითარი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ვითარება შეიცვლება".

დრუზიანა უფრო მეტადაა შეძრული, ვიდრე ამის გამჟღავნება სურს: იგი ევედრება უფალს, ცდუნებისაგან თავის დასაღწევად სიკვდილი მოუვლინოს. უფალი შეისმენს მის ვედრებას. და აჰა, სცენა წარმოადგენს სასაფლაოს — ზუსტად ისე, როგორც "რომეოსა და ჯულიეტაში". კალიმაქე ფულს უხდის სასაფლაოს დარაჯს, ფორტუნატუსს და დრუზიანას საძვალეში აღწევს.

"ჰოი, დრუზიანა, დრუზიანა! — წამოიძახებს უიღბლო მიჯნური. — ჩემ გრძნობათა რაოდენი ალერსიანობა მოგიძღვენი, რაოდენ გულწრფელი იყო ჩემი სიყვარული, რომელიც მთელს ჩემს შიგნეულობას ცეცხლად ედებოდა. შენ კი მუდამ უარს მეუბნებოდი. ახლა კი შემიძლია ყოველივე გიყო, რაც კი მსურს".

მაგრამ ორივე მამაკაცი — კალიმაქეც და ფორტუნატუსიც — გველის ნაკბენისგან კვდება. გულმოწყალე ღმერთი მკვდრეთით აღადგენს სასოწარკვეთილ მიჯნურსა და ქმრის ერთგულ ცოლს. სინდისის ქენჯნით შეპყრობილი კალიმაქე ქრისტეს სჯულზე მოიქცევა. ფრუზიანა უფლისგან ფორტუნატუსის გაცოცხლების მადლსაც იღებს. მაგრამ ეს ბოროტების მსახური არსება კვლავ სიკვდილს ამჯობინებს, რადგან ვერ უძლებს გამარჯვებული სიქველის ხილვასა და თავისი ყოფილი მეტოქის სიხარულს. ამგვარად, ფორტუნატუსის ხვედრი სამუდამო წარწყმედაა. მაყურებელი ხედავს, რომ უფლის წყალობა მუდამ ეფინება ცოდვილებს და მხოლოდ მათ აკლდება, ვინც შეგნებულად უარს ამბობს მასზე.

ვხედავთ, რომ საქსონელმა მონაზონმა პირველი ათასწლეულის დასრულებამდე ორმოცითა და პოლ კლოდელამდე ცხრაასი წლით ადრე სარწმუნოების სამსახურში ჩააყენა თეატრი.

საინტერესოა პასუხი კითხვაზე: ხდებოდა თუ არა ამგვარი დრამების წარმოდგენა სცენაზე? ამის საკმაო ალბათობა არსებობს: ცხადია, წარჩინებული ოჯახებიდან გამოსული მონაზვნები მწირ და ღარიბულ ცხოვრებას არ ატარებდნენ. არც ისაა წარმოუდგენელი, რომ ხანდახან თეატრალური წარმოდგენები მონაზვნების მონაწილეობით წარჩინებულ მაყურებელთა თვალწინ იმართებოდა. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ როზვიტას დრამატურგია იზოლირებულ შემთხვევას წარმოადგენს. თუნდაც იმიტომ, რომ შინაარსით მკვეთრად განსხვავდება იმ საკრალური წარმოდგენებისაგან, რომლებიც წმინდანთა ცხოვრების ან საღვთო წერილის ეპიზოდთა ინსცენირებისაგან შედგებოდა და სულ სხვა სახის ფენომენი იყო.



როზვიტა მონასტრის ბაღში

# ზნეობა და კანონი შუა საუკუნეების ევროპაში

დასაწყისი №490-ში

კვლავ ვუბრუნდებით XI საუკუნის ვორმსის ეპისკოპოსის, **ბურკჰარდტის** საკანონმდებლო კოდექსს, რომელშიც აღნუსხულია ყველა ის დარღვევა და შეცოდება, რომლისთვისაც უნდა დასჯილიყო იმდროინდელი ქრისტიანი, თუ, რა თქმა უნდა, აღსარებისას ნებაყოფლობით გაამჟღავნებდა თავის საქციელს.

მრუშობა, რომლის განხილვა დავასრულეთ ერთი კვირის წინ, იმ ეპოქაში წმინდა მამაკაცურ ცოდვად ითვლებოდა. ცოდვები, რომელთა მთავარ ჩამდენად ქალი იყო მიჩნეული, ერთგვარად განსხვავებულია. უმთავრესი ამ ცოდვათაგან ორსულობის შეწყვეტაა, რისთვისაც ბურკჰარდტი ერთი წლის სინანულს უსჯის დამნაშავეს, თუ ნაყოფი ჯერ არ შერხეულა, ან სამი წლისას, თუ უკვე შეირხა, და თან დასძენს: "ძველ დროში ამგვარი დედაკაცები სიცოცხლის ბოლომდე განიკვეთებოდნენ ეკლესიისგან, რადგან ჩასახვის ყოველგვარი დაბრკოლება მკვლელობად მიიჩნეოდა. და მაინც, საბრალო ქალი, რომელსაც შვილის აღზრდა გაუჭირდებოდა, ძლიერ განსხვავებულია იმ ქალისაგან, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ცოდვის დაფარვა განუზრახავს".

მაგრამ ამის გარდა ქალები სხვა, ბურკჰარდტის აზრით, არანაკლებ მძიმე ცოდვებისკენ არიან მიდრეკილნი. ზოგიერთები — და ამ შემთხვევაში ვორმსის ეპისკოპოსი გაცილებით უფრო ზუსტად და დეტალურად აღწერს ვითარებას — ისეთ საგანგებო აღჭურვილობას იყენებენ, რომ სხვა ქალთან მამაკაცის მაგივრობა გასწიონ. ამ შემთხვევაში სინანულისა და მარხვის ვადა სამი წელია. თუკი ქალი თავის თავთან განმარტოებული იყენებს იგივე მოწყობილობას, სასჯელი ერთ წლამდე მცირდება. მაგრამ თუ ორი ქალი ინტიმურ კავშირში ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე შედის, სინანულის ვადა მაინც სამი წელია. და თუ პარტნიორის როლში რომელიმე ცხოველი აღმოჩნდა, ბურკჰარდტი ამას მსგავს ცოდვებში ყველაზე მძიმედ მიიჩნევს და სასჯელიც, შესაბამისად, ყველაზე მკაცრია : შვიდი წლის მარხვა პურითა და წყლით და სინანული მთელი ცხოვრების განმავლობაში.



ჯადოქარი ქალების შეკრება გაზაფხულის ღამეს

### სექსუალური მაგია

შუასაუკუნეობრივი ეთიკის გენდერული ასპექტი ამით არ ამოიწურება. პირიქით, თუ ზემოთ უკვე განხილული მოვლენები დღეს კიდევ უფრო გავრცელებულია სექს-შოპებისა და პორნოინდუსტრიის არნახული განვითარების წყალობით, შუა საუკუნეებში უფრო გავრცელებული იყო სულ სხვა პრაქტიკა, რომლის კვალს დღეს იშვიათად თუ წავაწყდებით სადმე საქართველოს ტელეარხებზე პოპულარული მორბენალი სტრიქონის გარდა.

და მაინც, ყველა ეპოქაში არსებობდნენ ქალები, რომლებსაც ეშინოდათ პარტიორი მამაკაცის დაკარგვა და ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ხერხებს მიმართავდნენ. ბურკჰარდტიც იცნობს რამდენიმე ასეთ წესს. აღსარებისას ის ეკითხებოდა მონანულ ქალებს, მამაკაცის დასაჭერად თუ გადაუყლაპიათ მისი სპერმა. დადებითი პასუხის შემთხვევაში ქალს შვიდი წლის სინანული ელოდა. აღმსარებელი იმითაც ინტერესდებოდა, თუ უთხოვიათ მისთვის ცოცხალი თევზი, რათა შემდეგ საშოში შეეყოთ ის და შიგ ჰყოლოდათ, სანამ სული არ ამოხდებოდა. თევზის მაგიერ მამაკაცის შემოთავაზებული პურიც ივარგებდა, ოღონდ ამ შემთხვევაში პურის გული საჯდომის შიშველ კანში უნდა შეეზილათ. ამგვარი ხერხის გამოყენებისთვის სინანულის ვადა ორი წელი იყო. თუ ეს ყოველივე რაიმე მიზეზების გამო ძნელი შესასრულებელი იყო, შეიძლებოდა ქმრის ან საყვარლის საჭმელში ცოტაოდენი მენსტრუალური სისხლის დამატება, ოღონდ ამ შემთხვევაში სინანულის ვადა ხუთ წლამდე აღწევდა.

არსებობს ერთი განსაკუთრებული შემთხვევა: ცოლიანი კაცის საყვარელი ამჩნევს, რომ კაცს ის მოსწყინდა და მალე ცოლს დაუბრუნდება — ამ შემთხვევაში ქალი თავის პარტნიორს მაგიის გამოყენებით იმპოტენტად აქცევს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ბურკჰარდტი მაგიურ რიტუალებს არ აღწერს და მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალბატონებს ვერაფრით დავეხმარებით. ისღა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ სინანულის ზომა ძალიან მცირეა: სულ რაღაც ორმოცდღიანი მარხვა. საქმე ისაა, რომ ბურკჰარდტის ეპოქაში ეკლესიას მიაჩნდა, რომ სქესობრივი აქტი გარდაუვალი ბოროტება იყო, ესე იგი, რაც ნაკლებია, მით უკეთესი. ასე რომ, მამაკაცის იმპოტენტად გადამქცევი ქალი ერთგვარად ხელს უწყობდა ამქვეყნად სიძვისა და მრუშობის შემცირებას.

ამავე მოტივით მცირე სასჯელი ეკუთვნის ქალს, რომელიც იმპოტენციას საკუთარ ქმარს შეჰყრის, მაგალითად, შურისძიების მიზნით. ამ შემთხვევაში ბურკჰარდტი დაწვრილებით აღწერს მაგიურ რიტუალს: ქალი სრულიად უნდა გაშიშვლდეს, ტანზე თაფლი წაისვას და იატაკზე მიმობნეულ ხორბალზე უნდა იგორაოს; შემდეგ კანზე მიწებებული ხორბლის მარცვლები უნდა შეაგროვოს და ჯარაში დაფქვას, ოღონდაც სახელური აუცილებლად მზის მოძრაობის საწინააღმდეგოდ უნდა ატრიალოს. მიღებული ფქვილისგან ცხვება პური, რომელსაც უიღბლო ქმარს მიართმევენ.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ბურკჰარდტი არსად არ მიგვანიშნებს, რომ მამაკაცები მიმართავდნენ მაგიას ქალის შესაკავებლად. ბუნებრივია, რომ ასეთი რიტუალები არ არსებობდა, ან ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. თითქოსდა ბურკჰარდტის სამყაროში მხოლოდ ქალები აფასებდნენ მამაკაცებს, თვითონ კი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ. ამგვარი ვითარება ალბათ გააბრაზებდა ფემინისტებს, მაგრამ ის სრულიად ბუნებრივია და ლოგიკური ყოველ განუვითარებელ ცივილიზაციაში: აქ უპირველესი ღირებულება ფიზიკური ძალაა — ენერგიის ყველაზე გავრცელებული წყარო. ამიტომაც სოციალური მოწყობა უპირატესობას იმ სქესს ანიჭებს, რომელსაც უფრო კარგად განვითარებული კუნთოვანი სისტემა აქვს. თვით გამოთქმას — ძლიერი სქესი — სწორედ ამ ხანაში უდევს საფუძველი. აქედან გამომდინარე, უფრო სუსტი საჭიროებს მფარველობას, მხარდაჭერას. მამაკაცის დაკარგვა ქალისთვის კატასტროფაა, ამის საპირისპირო დებულება კი არაა სამართლიანი. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გარკვეული წონასწორობის შეტანა სინამდვილეში, თუკი მამაკაცი მგრძნობიარეა, რაც, ბუნებრივია, ხდება ხოლმე. მაგრამ ეს სიყვარული ქალმა უნდა შეინარჩუნოს. ამაში კი კვლავ მაგია ეხმარება. ეს ხერხი ილუზიას ქმნის, რომ ქალსაც შეუძლია სინამდვილის კონტროლი ან, ყოველ შემთხვევაში, შურისძიება მაინც.

ასეა თუ ისე, XI საუკუნეში მამაკაცის სიყვარული ქალისადმი ჯერ კიდევ შორსაა გვიანდელი რაინდული და კიდევ უფრო გვიანდელი რომანტიული იდეალისაგან. ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ადამიანში აღძრულ სქესობრივ ლტოლვას სიყვარულად საზოგადოებაში არსებული კულტურული სტერეოტიპები აქცევს. ამიტომაც, თუ ქალს უკვდავი პოეტები არ უმღერიან, მას ვერც უბრალო მოკვდავი შეიყვარებს ხანგრძლივად.

თუმცა აქაც არსებობს წესის დამამტკიცებელი გამონაკლისი: საფრანგეთის მეფე, **რობერ ღვთისმოსავი**, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიის საგანია.

### წარმართული ცრურწმენები და მაგიური პრაქტიკა

ბურკჰარდტის კოდექსის 180 მუხლიდან 42 სექსუალური სახის ცოდვებს ეძღვნება. ამის შემდეგ ყველაზე დიდი თავი ცრურწმენებსა და მაგიურ პრაქტიკას ეძღვნება. თუ აღვრიცხავთ კოდექსის იმ ნაწილს, რომელიც სექსთან დაუკავშირებელ მაგიას განიხილავს, სულ 38 მუხლს მივიღებთ.

ბურკჰარდტი დაწვრილებით მოგვითხრობს როგორ მოხდა წარმართული წესების გადაცემა მამიდან შვილზე და როგორ მოაღწია ამ ცრურწმენამ მის ეპოქამდე "თითქმის ხელდასხმის წესის მსგავსად, რომლის სათავეც სატანაა". ამ წესების მიმდევარი ადამიანები თაყვანს სცემენ სტიქიებს, მთვარეს, მზეს, ვარსკვლავთა მიმოქცევას. მათ სწამთ, რომ ყვირილით დააბრუნებენ მთვარეს ახალმთვარეობისას ან მისი დაბნელების დროს. მთვარის ფაზებს ითვლიან სალის აშენებისას ან ცოლის შერთვისას. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ შვიდი წლის სინანული ელოდებათ.

იმდენივეა სასჯელი ახალი წლის წარმართული წესებით აღნიშვნისთვის. ეს, რა თქმა უნდა, წარმართული ქრონოლოგიის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია. ორი წლის მარხვაა გათვალისწინებული მათთვის, ვინც კრავს კვანძებს, მკითხაობს, ჯადოს ამზადებს, კითხულობს შელოცვებს პურზე და წყალზე, შელოცვებით მკურნალობს ადამიანებსა და საქონელს.

კიდევ უფრო მძიმეა სასჯელი ქალებისთვის, რომლებიც ყანების ნაყოფიერებისთვის მისდევენ ჯადოქრობას. უფრო ლმობიერი სასჯელი ელით შალის მქსოველ ქალებს, რომლებიც შელოცვებს იყენებენ ქსოვილის ხარისხის ასამაღლებლად. მათ კი, ვინც ბალახეულის მოგროვებისას მიმართავს შელოცვებს, სულ რაღაც ათი დღის მარხვა ემუქრება. ბურკჰარდტი საოცარი დეტალურობით აღწერს მის დროს გავრცელებულ ყველანაირ წვრილმან მაგიურ პრაქტიკას და ყოველ მათგანს შესაბამის სასჯელს უფარდებს.

ვრცელი ადგილი უჭირავს იმ ქალების ცოდვათა განხილვას, რომლებიც ღამ-ღამობით ცოცხზე ან სხვა რამ იარაღზე ამხედრებულნი დაფრინავენ, როცა ქმრებს მშვიდობიანად სძინავთ.

### ქურდობა

სხვისი ქონების უკანონო დაპატრონებას ბურკჰარდტის კოდექსში სულ რაღაც ოთხი მუხლი ეძღვნება. ვაჭარმა, რომელიც მყიდველს წონაში ან ზომაში ატყუებს ოცი დღის განმავლობაში უნდა იმარხულოს პურითა და წყლით. ვინც კი ღამით მალულად შეაღწია ქრისტიანის სახლში ან მის ადგილ-მამულში და მოიპარა ფული, ნივთები ან შინაური ცხოველები, მან ჯერ პატრონს მოპარულის ღირებულება უნდა აუნაზღაუროს, შემდეგ კი ერთი წლის განმავლობაში იმარხულოს პურითა და წყლით.

ერთწლიან მარხვას ბურკჰარდტი არასაკმარისად მიიჩნევს, თუ ქურდობას თან ძალადობაც ახლდა: "გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულია იმის ძარცვა, ვინც ამას ამჩნევს, ვიდრე იმისა ვისაც, მაგალითად, სძინავს, ან სხვაგან იმყოფება". მაგრამ აქ ბურკჰარდტი არ აზუსტებს სინანულის ზომას, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მითვისებული ქონების რაოდენობასთან შეფარდებით.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულად ბურკჰარდტი ეკლესიის გაძარცვას მიიჩნევს: ზარალის ანაზღაურება და სამი დიდმარხვა წელიწადში შვიდი წლის განმავლობაში. იგივე სასჯელი ელის მას, ვინც ეკლესიიდან არათუ მატერიალურ ფასეულობას, არამედ წმიდა ნაწილებს მოიპარავს.

### ბურკჰარდტის კოდექსი და რეალობა

რა თქმა უნდა, ამ კანონების გაცნობისას ადამიანს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა შეექმნება შუა საუკუნეების ზნეობისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, მაგრამ ამავე დროს გაუჩნდება შეკითხვაც: ხანგრძლივი მძიმე მარხვები ყოველგვარი მცირე შეცოდებისათვის — ნუთუ მართლა შეიძლებოდა ამის რეალურად განხორციელება ?

სინამდვილეში ეს ყოველივე მართლაც იმდენად ძნელი განსახორციელებელი იყო, რომ დაშვებულ იქნა მრავალი შერბილება. მაგალითად, მონანულებს მარხვა შეიძლება რამდენიმე ლოცვის წარმოთქმით შეეცვალათ. უფრო მეტიც, ხანგრძლივი ლოცვების წარმოსათქმელად შესაძლებელი იყო საგანგებო მლოცველის დაქირავება. არავინ იცის, წაიკითხავდა თუ არა ის ლოცვებს, მაგრამ გასამრჯელოს აიღებდა, ასე რომ ნამდვილ ცოდვილს გაღებული მოწყალება მაინც დაუმშვიდებდა სინდისს. ასევე შეიძლებოდა პილიგრიმების დაქირავებაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პენიტენციალი, რომელიც მართლად ასახავს თანამედროვე ცხოვრებას, სწორედ იმაში გვატყუებს, რას მისი არსებობის აზრია: მასში ჩამოთვლილი სასჯელების განხორციელება შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, მდიდრები ფულს იხდიდნენ, რომ თავიანთ გუნებაზე ეცხოვრათ, ღარიბები კი ამით სარგებლობდნენ.

გარდა ამისა, პენიტენციალებში აღწერილი საზოგადოება სულაც არ ზრუნავს იმისათვის, რომ იცხოვროს პატიოსნად, გამოისყიდოს ცოდვები და შეინარჩუნოს უმანკოება. კერძოდ, 1033 წელს ფრანგი ქრონისტი რაულ გლაბერი წერს: "ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები ჩაფლულნი იყვნენ საკუთარ გულისთქმებში, ყოველგვარი ქურდობითა და ყაჩაღობით იკმაყოფილებდნენ საწადელს. მათი მაგალითით შეგულიანებულნი კი საშუალო და დაბალი ფენებიც გადაეშვნენ უსჯულოებასა და მანკიერებაში. მართლაც, ვის გაეგონა აქამდე ამდენი სისხლის აღრევის, მრუშობისა და ბოროტების შესახებ?" მართალია, ეს და მისი მსგავსი სხვა პასაჟები შეიძლება განვიხილოთ როგორც მჭევრმეტყველებაში ვარჯიში, ან 1033 წლის 29 ივნისს მომხდარი მზის სრული დაბნელების ეთიკური ინტერპრეტაცია. ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს ისტორიული ეპოქა, რომელშიც ადამიანთა ზნეობა დამაკმაყოფილებელი ყოფილიყოს. მაგრამ რაულის ქრონიკაში კიდევ ერთ რასმე საგულისხმოს ვპოულობთ: მასში არსად არაფერია ნათქვამი პენიტენციალური მექანიზმის გამოყენებაზე.

ბურკჰარდტისთვის ერთი რამ იყო მთავარი: დაევიწყებინა ხალხისთვის ძველი წარმართული რელიგია და ხორციელი სიამენი, რომლებსაც ეს რელიგია არ კრძალავდა. ამიტომაც მის მიერ ჩამოთვლილი სინანული მხოლოდ ერისკაცებს შეეხება. სამღვდელო პირები ხომ იმთავითვე პატიოსანი ქრისტიანები არიან. სამღვდელოთა ცოდვების შესაცნობად სხვა წყაროების გაცნობაა საჭირო.

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

## ლონდონში საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა

რეჟისორ ჯეინ კემპიონის უკანასკნელი ფილმის (მთავარ როლს ცნობილი ამერიკელი მსახიობი მეგ რაიანი ასრულებს) პრემიერით გაიხსნა ლონდონის რიგით 47-ე საერთაშორისო კინოფესტივალი. ორი კვირის განმავლობაში მაყურებელი იხილავს მსოფლიოს 45 ქვეყნიდან წარმოდგენილ კინოსურათებს. ამ ფილმების ხანგრძლივობა სამწუთიანი მოკლემეტრაჟიანიდან 9 საათიან კინოეპოპეამდეა.

კინოფესტივალზე საკუთარ ნამუშევრებს აჩვენებენ ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიც არიან: ბერნარდო ბერტოლუჩი, ოლივერ სტოუნი, სოფია კოპოლა. ორგანიზატორების პროგნოზით, ფესტივალი 100 ათასზე მეტ ლონდონელს მიიზიდავს.

## გარდაიცვალა ამერიკელი მომღერალი

ცნობილი ამერიკული ანსამბლის "პლატერსის" 77 წლის სოლისტი ენდი მოსი ჩილეს ქალაქ სან-ანტონიოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მომღერალს საყოველთაო პოპულარობა მოუტანა სიმღერამ Only You.

პარკისონით დაავადებულმა კომპოზიტორმა და მომღერალმა უკანასკნელი წლები სიღარიბეში გაატარა. ჟურნალისტებმა იგი ჩილეს ერთ-ერთ მოხუცთა სახლში აღმოაჩინეს. მაშინ, ენდი მოსმა რეპორტიორებს უამბო, რომ ჩილეში იგი ერთ-ერთ მუსიკალურ ჯგუფს გაჰყვა. ხოლო, როდესაც ანსამბლის ხელმძღვანელებმა მუსიკოსის დაავადების შესახებ შეიტყეს, მოსი ბედის ანაბარა მიატოვეს.

მუსიკოსს ჩილეში დაკრძალავენ.

## მეცნიერებმა ადამიანის წარმოშობის ბიბლიური კონცეფცია დაადასტურეს

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვეულებრივი თიხა შეიცავს ბიოლოგიური სიცოცხლის ძირითად ელემენტებს. ამ აღმოჩენით დასტურდება ბიბლიური თხრობა თიხისგან ადამიანის სხეულის წარმოშობის შესახებ.

ჰოვარდ ჰიუზის სამედიცინო ინსტიტუტისა და მასაჩუსეტსის მეცნიერთა ჯგუფმა გამოკვლევებისას თიხაში აღმოაჩინეს ელემენტები, რომლებიც ადამიანის ქსოვილის მემბრანებს შეიცავს, ისევე, როგორც სხვა ბიოლოგიური ორგანიზმები.

მემბრანები თანამედროვე მეცნიერების მიერ ბიოლოგიური ორგანიზმის უმნიშვნელოვანეს შემადგენლობად არის მიჩნეული. ისინი მონაწილეობენ არა მხოლოდ ქსოვილის განვითარებაში, არამედ შეიცავენ ორგანიზმის გენეტიკურ კოდსაც - რიბოქსინ ნუკლეინის მჟავას. ეს უკანასკნელი კი ამჟამად ბიოლოგიური სიცოცხლის საფუძვლად მიიჩნევა.

## ახალი სუპერჯგუფი

Black Sabbath-ის, Uriah Heep-ის, Deep Purple-ის, Rainbow-ის წევრებისა და ოზი ოსბორნის ყოფილი ბას-გიტარისტის ბობი დეილის შემადგენლობით ახალი სუპერ-ჯგუფი ჩამოყალიბდა. კოლექტივის სახელწოდებაა Rage და ის აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების წევრებს: დრამერს ლი კერსლეიკს, ქიბორდისტებს: ჯონ ლორდსა და დონ ერის; გიტარისტ სტივი მორსს და ვოკალისტ ჯიმი ბარნსს.

Rage-ის პირველი, სადებიუტო ალბომი Relentless მომავალი წლის დასაწყისში გამოვა. დისკი ფლორიდაში პროდიუსერ დარენ შნაიდერსის სტუდიაში ჩაიწერა. ცნობილია, რომ შნაიდერი თანამშრომლობდა ცნობილ ჯგუფებთან: Deep Purple, Matchbox 20 და Creed. მუსიკოსების თქმით, ჩანაწერში შევა ხუთი ახალი სიმღერა, ასევე ოზი ოსბორნის ჰიტების ახალი ვერსიები.




## TV პროგრამა

29 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი „ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები" **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი" **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ. ფილმი „ლიფტი". მთ. რ-ში: ჯეიმს მარშალი, ნაომი უოტსი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჩემი პატარა, ძვირფასი პლანეტა" **10.00** საპარლამენტო არჩევნები **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15, 18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი - „მსოფლიოს ქალაქები" **14.45** თქვენი უფლებები **15.15** მხ. ფილმი „სპირალი" **16.35** დოკ. სერიალი - „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ" **18.00** შეხვედრა ოლიმპიელებთან **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.35** ავიაშოუ **21.45** „მათი შვილები" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „ორნი ქალაქში".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ბეტმენის დაბრუნება" მთ. რ-ში მაიკლ კიტონი, დენი დე ვიტო. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო" „უცხო პლანეტა". მთ.რ-ში კლაუდია კარვენი, ნაომი უოტსი. **02.00** „ღამურა" „ამერიკელი ფსიქოპატი" მთ. რ-ში კრისტიან ბეილი, ჯარედ ლეტო. **03.00** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** „ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „არგაი" **19.00** სერიალი „მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.45** მხ. ფილმი „ქერა ქალი და კანონი" **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი „ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „მიზანი - დედამიწა" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი „ერთადერთი გამოსავალი".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „სკარლეტი" **15.00** მხ. ფილმი „ტალღის ქიმზე" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ.ფილმი „ბარი „ველური კოიოტი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნაწილი.

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია" **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „აფრიკელი" **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ქრონოსი".

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი „ნეკრესი" **10.15, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი „ჩემი მეგობრის საცოლე" **13.15** „ცხელი ცხრიანი" **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **14.50** „ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ღამის ექიმები" **20.00** „ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი „მოჯადოება" **22.10** კონცერტი. იურაი ჰეეპ **23.30** კინოგადაცემა „ნუმერატორი" **00.30** მხ. ფილმი „ცდუნება".

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.40, 02.15** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** მერიდიანი (თურქეთი) **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე" **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „გაიხსენო ყველაფერი" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. დალას მევერიქსი-ლოს ანჯელეს ლეიკერსი. **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **17.20** რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **20.15** არტ-ბულვარი **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** პრემიერა: „ღმერთო რისი გულისათვის" 1-ლი ფილმი. **00.20** ფანების კინოკლუბი „ღმერთი დიდია მე კი პატარა".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** სათავგადასავლო ფილმი „მარტო ტყეში" **10.50, 15.45, 02.45** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი „აკვნიდან სამარემდე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია „იტალიელების დაუჯერებელი თავგადასავლები რუსეთში" **16.20** მულტფილმების კრებული **17.25** „ქართული კინო" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.00** ისტორიული ფილმი „ყელსაბამის ისტორია" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა „ანჟელიკა და მეფე" **03.40** ფილმი-ფანტასტიკა „კონტრაქტი".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.20** „აჩიკუდა" **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** მობილურები **11.15** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **12.15** ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო" - მე-19 სერია **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.20** „ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.20** მობილურები **22.55** „კინოკლუბი „ - „პატრიოტთა თამაშები". მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ბრეტ პიტი, ჰარისონ ფორდი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ჯვაროსნული ლაშქრობა" -მე-3 სერია **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

### ОРТ

**07.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20** Сериал "Убойная сила: Подземка" **11.30 Сериал "ТАЙНЫ ТРЕТЬЕГО РЕЙХА" 12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20** "Город женщин". **14.00 Комедия "Последнее дело Вареного" 15.30** Новые чудеса света. "Асуанская плотина". **16.20, 01.50** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00** "Большая стирка" **19.30** Смехопанорама **20.50 Сериал "ПОБЕГ" 22.00, 00.30** Время **22.30** Сериал "Убойная сила: Чертово колесо". **23.30 Сериал "ЗАКРЫТОЕ ДОСЬЕ. СМЕРТЬ ИЗГНАННИКА" 00.50** "Формула власти". Герхард Шредер. **01.20** "Большие гонки" **02.20, 04.05 Триллер "Невиновный" 04.30 Вуди Аллен в фильме "КОРОЛЬ ЛИР".**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Телесериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45** Сам себе режиссер. **11.45, 14.45, 17.25, 00.50** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** Короткое замыкание **13.50, 23.00 Телесериал "БАЯЗЕТ" 15.30** Что хочет женщина **16.30 Телесериал "ЛЕДИ БОСС" 18.10 Телесериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Телесериал "УНДИНА" 20.00 Телесериал "КОМИССАР РЕКС" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Телесериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 00.00** Вести+. **00.20** Авторитет с Дмитрием Киселевым **01.05** Народный артист **01.20 Фильм-катастрофа "ТРЕВОЖНОЕ ВОСКРЕСЕНЬЕ" 03.05** Дорожный патруль. **03.20 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 04.15 Сериал "ТИТАНЫ".**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: Иванушки International. **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.25** Сегодня **13.35 Худ. фильм "ПРЕЗУМПЦИЯ НЕВИНОВНОСТИ" 15.35** По праву **16.35** "Независимые дети". Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "КОДЕКС ЧЕСТИ" 19.35** Чистосердечное признание **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ" 01.10 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 02.45** Гордон **03.35** Ленивая ночь.

## სკანვორდი



# ზღაპრული ხალიჩები აღმოსავლეთიდან

## დღეს თურქეთის რესპუბლიკის დღეა

**თურქეთი** - ფართობი: 814,578 კვ.კმ.
**დედაქალაქი** - ანკარა
**მოსახლეობა** - 65 599 206 მილიონი ადამიანი
**ეთნიკური შემადგენლობა** - თურქები 80%, ქურთები 17%, ბერძნები, სომხები, ებრაელები 3%
**ენა** - თურქული (სახელმწიფო), ქურთული, არაბული.
**სარწმუნოება** - ისლამი 99% (ოთხი მეხუთედი – სუნიტები, ერთი მეხუთედი - შიიტები)
**უდიდესი ქალაქები** – სტამბული, ანკარა, იზმირი, ადანა, ბურსა.
**სახელმწიფო წყობა** – რესპუბლიკა.
**ფულის ერთეული** - თურქული ლირა.
**ეროვნული დღესასწაული** – რესპუბლიკის დღე (29 ოქტომბერი).

ეკა გვახარია





*თურქული შედევრები*

თურქეთმა ძველი დროიდან სახელი გაითქვა ულამაზესი და ძალიან ხარისხიანი ხალიჩების წარმოებით. მართალია, თურქები თვლიან რომ პირველად სწორედ მათ გამოიგონეს ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგია, ხელოვნების ეს დარგი ბევრად უფრო ადრე არსებობდა და დაკავშირებული იყო ცენტრალურ აზიაში მომთაბარე ტომებთან და ხეთებთან. თურქეთის ტერიტორიაზე, ხეთების ქალაქ ჩატალ-ჰუიუკში ( 6500-5300 ძვ.წ.აღ.) აღმოჩენილ ფრესკებზე გამოსახულია სხვადასხვანაირი ნოხები და ქსოვის პროცესები. ქალაქ გორდიონში კი საქსოვი დაზგის ნაწილებს მიაგნეს.

თურქებმა მოგვიანებით ეს უძველესი ტრადიცია გაამდიდრეს და ხალიჩების ქსოვის ხელოვნება სრულყოფილებამდე აიყვანეს. ნამდვილი თურქული ხალიჩების ნახვა შესაძლებელია სტამბულის თურქული და ისლამური ხელოვნების მუზეუმში. იქ წარმოდგენილია სხვადასხვა სტილის ექსპონატები დაწყებული სელჩუკების პერიოდიდან (XIII ს) დამთავრებული მე-19 საუკუნით.

ულამაზესი თურქული ხალიჩები, ძირითადად, მეფის კარზე არსებულ სახელოსნოებში იქმნებოდა, თუმცა ხშირი იყო ოჯახური წარმოებაც. მატყლისაგან მიღებულ შალის ძაფებს ადგილობრივი მცენარეული საღებავით აფერადებდნენ, რომელიც ფერების ფართო არჩევანს იძლეოდა. ყველაზე გავრცელებული - ენდროს ფესვებისაგან, შესაძლებელი იყო წითელი ფერის ნებისმიერი ტონის მიღება, დაწყებული ღია აგურისფრით და ვარდისფრით, დამთავრებული მუქი მეწამულით. ინდიგოსაგან იღებდნენ ლურჯ ფერს, ზაფრანასაგან - ყვითელს, ნიგოზისგან კი შავს და ყავისფერს. თურქეთის სხვადასხვა რაიონებში არსებობდა სპეციალური სამღებროები, სადაც ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ძაფი იღებებოდა. ძალიან გავრცელებული იყო მოხეტიალე მღებავების პროფესიაც. მცენარეულ საღებავს, მართლაც, განსაკუთრებული მყარი ელფერი და ელვარება ჰქონდა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე სინთეთიკური საღებავებისაგან. სწორედ შალის ძაფისგან ნაქსოვი, მცენარეული საღებავით შეღებილი ხალიჩები ყველაზე მეტად ფასობს თანამედროვე კოლექციონერებში.

თურქული ხალიჩა ფერებთან ერთად, ასევე ორნამენტებისა და ქსოვის სტილის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგალითად, აღმოსავლეთ თურქეთში, ძირითადად, იგრძნობა შუა აზიური და ირანული ორნამენტების გავლენა. დასავლეთში, კერძოდ, ქალაქ მილიასაში ძირითადი ადგილი უკავია ტიტას მოტივს - რაც ნამდვილ თურქულ ორნამენტს წარმოადგენს (ტიტა ყველაზე პოპულარული ყვავილი იყო ოსმალურ პერიოდში). ძალიან ხშირია სხვადასხვა ცხოველისა თუ ფრინველის გამოსახულებებიც, რაც ძველი მომთაბარე თურქული ტომების რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორნამენტია "ელიბეიანდე" რომელიც ასევე უძველესი დროიდან მოდის და ფორმით ძალიან ჰგავს ხეთების ნაყოფიერების ღვთაებას. თურქეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდებოდა კავკასიური ორნამენტიც. ხშირია ორნამენტებში ჩინური იეროგლიფების მსგავსი ფიგურებიც, რომელსაც თურქები ჩინეთის კედელთან მონღოლებთან გამართულ ბრძოლების დროს გაეცნენ.

თურქული ხალიჩები ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში. აღმოსავლური ეგზოტიკა ყოველთვის იზიდავდა დასავლელ მონარქებს. მაგალითად, ინგლისის მეფე ჰენრიხ VIII დაახლოებით 800 თურქული ხალიჩის მფლობელი გახლდათ და ძალიან ამაყობდა თავისი კოლექციით. სამეფო სასახლე მოფენილი იყო ულამაზესი თურქული ნოხებით. ჰოლბეინის ფერწერულ ტილოზე კი ბრიტანელი მეფე სწორედ თურქული ხალიჩის ფონზეა გამოსახული.

დღეს თურქეთში კვლავ აქტიურად ქსოვენ ხალიჩებს, არის ძველი ტრადიციების აღდგენის მცდელობები, თუმცა არც თანამედროვე წარმოება რჩება განვითარების გარეშე. ქალაქ ხიკიარში იქმნება თანამედროვე აბსტრაქტული ფერწერის მსგავსი ხალიჩები, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. დღევანდელ სახელოსნოებში, მართლაც, საოცრებებს აკეთებენ მქსოველი გოგონები, თუნდაც ის რად ღირს რომ მათ წუთში 30 კვანძის გაკეთება შეუძლიათ.

რაც შეეხება ხალიჩების ყიდვას, თურქეთში უამრავი ბაზრობები და მაღაზიებია. გამოცდილი გამყიდველები იმისათვის, რომ კარგად ივაჭრონ, რას არ იგონებენ, ჰყვებიან უამრავ ზღაპრულ ისტორიებს, ამა თუ იმ ხალიჩის წარმომავლობის შესახებ. თუმცა, დღეს თურქეთის ბაზარზე, ძირითადად, თანამედროვე ნაწარმი ტრიალებს. ანტიკვარული ხალიჩების მოყვარულებს კი სპეციალური ექსპერტიზისა და უფლების გარეშე ხალიჩის ქვეყნიდან გატანა ეკრძალებათ.



*სტამბოლი*

## აშშ საელჩოს განცხადება

აშშ საელჩო თბილისში 2003 წლის 15 ნოემბერს აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ტიპის ნახმარი ავეჯი, საოჯახო და კომპიუტერული ტექნიკა, ნახმარი ავტომობილები. ყველა წარმოდგენილი ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში," ნებისმიერი გარანტიის გარეშე. მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს. ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9-დან 11 საათამდე.

**აუქციონი დაიწყება 11 საათზე.**
**აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:**

ლილო, რუსთაველის ქუჩა 4. აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.
ცნობებისათვის დარეკეთ: 98-99-67, 98-99-68, შიდა 4201.

"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.